ISSN 1512 - 4649

# ახალი ეკონომისტი

## საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

№2, 2014 წელი

ეკონომიკური პოლიტიკა (მთავრობის, ბიზნესმენთა და მეცნიერთა პოზიციები)

გადასახადები, ბუღალტრული აღრიცხვა, აუდიტი

ბიზნესი და მენეჯმენტი

საბანკო საქმე (ბანკირი, ბიზნესმენი, მეანაბრე)

საკანონმდებლო სიახლენი (სამეწარმეო სამართალი), კომენტარები

მეწარმეთა კითხვები და პროფესიონალთა პასუხები

**ჟურნალი "ახალი ეკონომისტი" რეფერირდება:**

სსიპ ინსტიტუტ ტექინფორმის ელექტრონულ გამოცემებში "ქართულ რეფერატულ ჟურნალში".

**აღიარებულია რეფერირებულად:**

- საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია;
- საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ილია სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, ESM ბიზნესის სკოლა;
- კავკასიის უნივერსიტეტი;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი;
- ოდესის მეჩნიკოვის სახელობის ეროვნული უნივერსიტეტი (ქ. ოდესა, უკრაინა);
- კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტი (ქ.ბაქო, აზერბაიჯანი);
- ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (ქ. მინსკი, ბელორუსია);
- ყაზახეთის ეკონომიკის, ფინანსებისა და საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

**მისამართი:** 0105, საქართველო, თბილისი ჯორჯაძის ქ. №5
ტელ.: +995 (32) 422 771; +995 (32) 990 576;
მობ.: +995 (55) 277 554; +995 (95) 32 30 34;
ელ ფოსტა: economist_n@yahoo.com
ვებ-გვერდი: www.economisti.ge; www.loi.ge

**The Magazine "Akhali Ekonomisti" (New Economist) IS REVIEWED:**

In "Georgian Reviewed Magazine" P.L.L.E. Iinstitute of Techinform

**IS KNOWN AS REVIEW BY:**

- Georgian Academy of Business Sciences;
- Georgian Academy of Economical Sciences;
- I. Javakhishvili Tbilisi State University;
- Ilia State University;
- Georgian Technical University;
- Grigol Robaqidze University;
- Tbilisi Free University, ESM Business School;
- Caucasus University;
- Sukhumi State University;
- Shota Rustaveli State University;
- Akhaltsikhe State University;
- Shota Meskhia State University of Zugdidi;
- Akaki Tsereteli State University;
- Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia
- Odessa Mechnikov National University (Odessa, Ukraine)
- Institute of Strategic Studies of the Caucassus (Baku, Azerbaijan);
- State University of Byelorussia; (Minsk, Byelorussia);
- University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade

**ADDRES:** 5 Jorjadze str., Tbilisi, Georgia, 0105
tel.: +995 (32) 422 771; +995 (32) 990 576;
mob.: +995 55 277 554; +995 (95) 32 30 34;
e-mail: economist_n@yahoo.com
veb-site: www.economisti.ge; www.loi.ge

# ახალი ეკონომისტი

ყოველკვარტალური საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი №2(33), 2014



ლოიდ ქარჩავა - მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი; საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი; საქართველოს ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

## სარედაქციო კოლეგია:

### მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:

რამაზ აბესაძე (პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი); ანზორ აბრალავა; იური ანანიაშვილი; როზეტა ასათიანი; თეიმურაზ ბაბუნაშვილი (საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); ევგენი ბარათაშვილი; ელგერდ ბატიაშვილი; როსტომ ბერიძე (ბათუმის უნივერსიტეტი); თამარ გამსახურდია; თინა გელაშვილი; სიმონ გელაშვილი; რევაზ გველესიანი (ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტის დირექტორი); რევაზ გოგოხია (ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესი“-ს მთავარი რედაქტორი); ვლადიმერ გრიგოლაია (მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია); ალექსეი დანილჩენკო (ბელარუსის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე); ვოლფგანგ ვენგი (ბერლინი,გერმანია); შოთა ვეშაპიძე; ნუგზარ თოდუა; გოჩა თუთბერიძე; სერგეი იაკუბოვსკი (ოდესის ეროვნული უნივერსიტეტი,უკრაინა); ელდარ ისმაილოვი (კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტის დირექტორი, აზერბაიჯანის ბანკების ასოციაციის პრეზიდენტი); მერაბ კაკულია; ალექსანდრე კვაშილავა; გია კვაშილავა; მურთაზ კვირკვაია (სამეცნიერო ნაწილის რედაქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი); ვასილ კიკუტაძე; ირაკლი კოვზანაძე (საქართველოს საპარტნიორო ფონდის თავმჯდომარე); კახა კორძაია (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი) პაატა კოღუაშვილი (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრი); ჰერალდ კუნცი (ბრანდენბურგი, გერმანია); ენვერ ლაგვილავა; ქაბილ მანაფოვი (აზერბაიჯანის სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტის კომერციული ფაკულტეტის დეკანი); შალვა მაჭავარიანი (კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი); ელგუჯა მექვაბიშვილი; ნუგზარ ნადარაია (ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); დავით ნარმანია (თბილისის მერი); თედო ნინიძე; სოლომონ პავლიაშვილი (თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი); ვახტანგ სართანია (საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის ფაკულტეტის დეკანი); ეთერ სარჯველაძე; ავთანდილ სილაგაძე (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი); ალექსანდრე სიჭინავა (ჟურნალ „ბიზნეს-ინჟინერინგი“-ს მთავარი რედაქტორი); გელა სვირავა (ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი); დამეტკენ ტურეკულოვა (ყაზახეთის რესპუბლიკის ესთეთიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი); სლავა ფეტელავა; რუსუდან ქუთათელაძე (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი); თეიმურაზ შენგელია; გიორგი შიხაშვილი; ომარ შუდრა; ვაია შულენბაევა (ყაზახეთის რესპუბლიკა); ლალი ჩაგელიშვილი; მიხეილ ჩიკვილაძე; ლეო ჩიქავა (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); ნიკო ჩიხლაძე; ავთანდილ ჩუთლაშვილი; ნოდარ ხადური (საქართველოს ფინანსთა მინისტრი); ელენე ხარაბაძე; ეთერ ხარაიშვილი; რევაზ ხარებავა; მერაბ ხმალაძე; დავით ჯალაღონია (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი); ჯამლეტ ჯანჯღავა (მთავარი რედაქტორის მოადგილე); ემზარ ჯგერენაია (ჟურნალ ,,საქართველოს ეკონომიკა“-ს მთავარი რედაქტორი); მიხეილ ჯიბუტი.


შეიძლება რედაქცია ყოველთვის არ იზიარებდეს ავტორის აზრს.


© ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, 2014წ.
© გამომცემლობა „ლოი“


ფასი 5 ლარი

# The New ECONOMIST

**QUARTELY INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE, PRECISED AND REVIEWED №2(33), 2014**

**LOID KARCHAVA** - Editor-in-Chief and Head of Editorial Board, Doctor of Busines Administration, Assosiated Professor, Academician, Member of the Presidium of the Georgian Academy of Business Sciences. Academician of the Georgian Academy of Fazisi Sciences.

**EDITORIAL BOARD**

Doctors of science, Professors:

RAMAZ ABESADZE (Director of Paata Gugushvili Economic institute); ANZOR ABRALAVA; IURI ANANIASHVILI; ROZETA ASATIANI; TEIMURAZ BABUNASHVILI (Prezident of the Georgian Academy of Business Sciences; EVGENI BARATASHVILI; ELBERD BATIASHVILI; ROSTOM BERIDZE (Batumi state university); TAMAR GAMSAKHURDIA; TINA GELASHVILI; SIMON GELASHVILI; REVAZ GVELESIANI (Director of Georgian-German Institute of Economic Policy and Economic Education); REVAZ GOGOKHIA (Editor-in-Chief of magazine „Economy and Business“); VLADIMIR GRIGOLAIA (Moscow, Russian Federation); ALEKSEY DANILCHENKO (Deputy of Rector of BelarusiaState University); WOLFGANG WENG (Berlin, Garmany); SHOTA VESHAPIDZE; NUGZAR TODUA; GOCHA TUTBERIDZE; SERGEY YAKUBOVSKIY (Odesa I.I.Mechnikov Odessa National University, Ukraine); ELDAR ISMAILOV (Director of Institute of Strategic Studies of the Caucassus, President of Azerbaijan Banks Association); MERAB KAKULIA; ALEKSANDRE KVASHILAVA; GIA KVASHILAVA; MURTAZ KVIRKVAIA (Editor of the Scientific part, Dean of Business and Management Scool of G. Robakidze University); VASIL KIKUTADZE; IRAKLI KOVZANADZE; KAKHA KORZAIA (Rector of Caucasus International University); PAATA KOGUASHVILI (member of Georgian Academy of Agriculture); HARALD KUNZ (Brandenburg, Garmany); ENVER LAGVILAVA; QABIL MANAFOV (Dean of Commers Faculty of Azerbaijan State Economical University); SHALVA MACHAVARIANI (Vice-Prasidenrt of Caucasus University in sciens field); ELGUJA MEQVABISHVILI; NUGZAR NADARAIA (Prezident of the Academy of Fazisi Sciences); DAVID NARMANIA (Mayor of Tbilisi); TEDO NINIDZE; SOLOMON PAVLIASHVILI (Rectot of Tbilisi University); VAKHTANG SARTANIA (Dean of Economics and Business Administration Faculty of Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia); ETER SARJVELADZE; AVTANDIL SILAGADZE (Member of Georgian National Academy of Science); ALEKSANDRE SICHINAVA (Editor-in-Chief of magazine „Business Engineering“); GELA SVIRAVA; DAMETKEN TUREKULOVA (Academician of a Esthetical Science Academy of Kazakhstan, University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); SLAVA FETELAVA; RUSUDAN KUTATELADZE (Dean of Business-engineering Faculty of Georgian Tecnical University); TEMUR SHENGELIA; GIORGI SHIKHASHVILI; OMAR SHUDRA; FAIA SHULENBAYEVA (University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); LALI CHAGELISHVILI; MICHAEL CHIKVILADZE; LEO CHIKAVA (Corresponding-member of Georgian National Academy of Science, Prezident of the Georgian Academy of Economics Sciences); NIKO CHIKHLADZE; AVTANDIL CHUTLASHVILI; NODAR KHADURI (Minister of Finance of Georgia); ELENE KHARABADZE; ETER KHARAISHVILI; REVAZ KHAREBAVA; MERAB KHMALADZE; DAVID JALAGONIA (Dean of Economics and Buziness Faculty of Suxumi State University); JAMLET JANJGAVA (Deputy of Editor-in-Chief); EMZAR JGERENAIA (Editor-in-Chief of magazine „Economy of Georgia“); MICHAEL JIBUTI.

## ინტერვიუ

ინტერვიუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთან, აკადემიკოს, ბატონ ვლადიმერ (ლადო) პაპავასთან . . . . . . . . . . . 5

## ეკო-დაიჯესტი . . . . . . . . . . . 10

## მეცნიერება

როლანდ სარჩიმელია, რევაზ ლორთქიფანიძე – რეგიონული ეკონომიკის მართვის ოპტიმიზაციის პრობლემა . . . . . . . . . . . 12

ვასილ ხიზანიშვილი – ქრისტიანობა და ეკონომიკა . . . . . . . . . . . 15

ენვერ ლაგვილავა, რევაზ ხაინდრავა - ღრუბლოვანი ტექნოლოგიების პერსპექტივები ეკონომიკური პროფილის კადრების მომზადებაში . . . . . . . . . . . 19

პაატა კოღუაშვილი - საარსებო მინიმუმის კვეცა მოსახლეობის მკვლელობაა . . . . . . . . . . . 25

თენგიზ ლაჭყეპიანი, ნინელი თევდორაშვილი – სასურსათო ბაზრის განვითარებაზე მოქმედი ძირითადი ფაქტორები . . . . . . . . . . . 29

ნიკო ჩიხლაძე - თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აღსრულების ზოგიერთი აქტუალური საკითხი . . . . . . . . . . . 33

შოთა ვეშაპიძე - ეკონომიკური აზრი და ეკონომიკური მოძღვრება: მეთოდოლოგია, პერიოდიზაცია, მიმართულებები . . . . . . . . . . . 40

ცირა ჯაფიაშვილი - MS Access-ის და SQL Server-ის ერთობლივი გამოყენება მონაცემთა ბაზების მართვაში . . . . . . . . . . . 47

Ж.Сундетулы, Ф.А. Шуленбаева, А. Нукешева - Проблемы малого и среднего бизнеса в агропромышленном комплексе Казахстана. . . . . . . . . . . . 56

## მართვის ახალგაზრდული სკოლა

აბრამიშვილი მ. – მენეჯერი და კარიერა . . . . . . . . . . . 60

Бухальцева В. - К вопросу офисной конфликтологии . . . . . . . . . . . 63

## ახალი წიგნი . . . . . . . . . . . 65

## უცხოეთის ეკონომიკური სიახლეები . . . . . . . . . . . 67

# CONTENTS


**INTERVIEW**

Interview with the Rector of Tbilisi State University, Mr. VLADIMER PAPAVA .................................. 5

**ECO-DIGEST** ................................................................................ 10

**SCIENCE**

**Roland Sarchimelia, Revaz Lordkipanidze** - The problem of optimization of the management regional economics 12

**Vasil Khizanishvili** - Christianity and Economics ................................................ 15

**Enver Lagvilava, Revaz Khaindrava** -The prospects of Cloudy technology for preparing economic-profile personnel ..................................... 19

**Paata Koguashvili** - Reducing the minimum wage is killing of population .................................. 25

**Tengiz Lachkebiani, Nineli Tevdorashvili** - The main factors influencing the development of the food market .... 29

**Niko Chikhladze** - Some of the topical issues of local budgets ............................................ 33

**Shota Veshapidze** - Economic sense and economic doctrine: methodology, periodization, directions ............. 40

**Tsira Ja[iashvili** - Using MS Access and SQL Server in database management ............................... 47

**J. Sundetuly, F.L. Shulenbayeva, A. Nukesheva** - Problems of small and medium businesses in the agricultural sector of Kazakhstan ............. 56

**THE YIUTH SCHOOL OF MANAGEMENT** ................................................ 60

**NEW BOOKS** ................................................................................ 65

**FOREING ECONOMIC NEWS** ..................................................................... 67

# „გვინდა უნივერსიტეტი უფრო ცნობადი გახდეს, იყოს უფრო წარმატებული და საერთაშორისო დონეზე აღიარებული“



ინტერვიუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთან, აკადემიკოს, ბატონ ვლადიმერ (ლადო) პაპავასთან

*ბატონი ლადო პაპავა გასული წლის 16 აგვისტოს აირჩიეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად. მას შემდეგ ერთი წელიც არ გასულა, მაგრამ ბევრი სიახლეები დაინერგა უნივერსიტეტში. ჩვენს მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ უნივერსიტეტი მარტო სასწავლო დაწესებულება არ გახლავთ, არამედ სამეცნიერო-კვლევითი, თანაც, ის ყოველთვის იყო პირველი, როგორც დაარსების თვალსაზრისით, ისე თავისი საქმიანობითა და შესაბამისად - მნიშვნელობით. ამიტომ პირველი უნივერსიტეტის საქმიანობა, მით უფრო წარმატებები, საინტერესოა ჩვენი ჟურნალის მკითხველისათვის. აღვნიშნავთ იმასაც, რომ ჩვენი ჟურნალი ძირითადად სწორედ სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და ამ სფეროთი დაინტერესებული ადამიანებისთვისაა განკუთვნილი, თუმცა მას კითხულობენ სამთავრობო წრეებშიც, ბიზნესის წარმომადგენლები და საზოგადოების სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ადამიანები. დღეს ჩვენი ჟურნალის რუბრიკის - „საუნივერსიტეტო ცხოვრება“, სტუმარია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი, პროფესორი ლადო პაპავა.*

- ბატონო ლადო, როგორც კი გახდით უნივერსიტეტის რექტორი, პირველი მნიშვნელოვანი ცვლილება რაც განახორციელეთ, რა იყო?

- რამდენიმე მიმართულებით გადაიდგა ნაბიჯი პირველივე დღეებიდანვე. ერთ-ერთი პირველი მნიშვნელოვანი იყო ის, რომ უნივერსიტეტში დაწყებულიყო ცნობილი, საერთაშორისო დონეზე აღიარებული სახელმძღვანელოების ქართულად თარგმნა. ამოცანა არის შემდეგი: იმისათვის, რომ დავაახლოვოთ საერთაშორისო სტანდარტებს ჩვენი უნივერსიტეტი, აუცილებელია, იმავე სახელმძღვანელოებით ვასწავლოთ ჩვენ სტუდენტებს, რა სახელმძღვანელოებითაც სწავლობენ სტუდენტები წამყვან უნივერსიტეტებში. ეს არ ნიშნავს, რომ ყველა სახელმძღვანელო უნდა ითარგმნოს. ჩვენ გვაქვს ბევრი კლასიკური სახელმძღვანელოები, ქართველების მიერ დაწერილი, მაგრამ არის რიგი მიმართულებები, მათ შორის თანამედროვე სამეცნიერო მიმართულებები, სადაც საჭიროა ითარგმნოს. ეს კი შედარებით ხანგრძლივი პროცესია. შეიქმნა ახალი სარედაქციო საგამომცემლო საბჭო, დამუშავდა შესაბამისი დებულება, უკვე 100-ზე მეტი წიგნის თარგმნის ლიცენზია გვაქვს აღებული და თარგმნის პროცესი დაწყებულია. ერთ-ერთი უკვე გამოცემული წიგნის პრეზენტაცია მოხდა ერთი თვის წინ. ეს არის სახელმძღვანელო მედიცინაში.

- თარგმნილი სახელმძღვანელოები იქნება ბეჭდურიც და ელექტრონულიც, ხომ?

- ბეჭდურიც და ელექტრონულიც და მათ შორის ის რაც უკვე გვაქვს ბეჭდური, ჩვენი უნივერსიტეტის ძირითადი ფონდი, ის გადაგვყავს ელექტრონულ ვერსიაში, რაც გამოიყენება სასწავლოსთვის. აქ ჩვენთან ტექნიკური პრობლემებიც იყო. ამიტომ პირველივე დღეებიდანვე დავიწყეთ ზრუნვა იმაზე, რომ უნივერსიტეტს ჰქონოდა თავისი რობოტო-სკანერი. ეს არის თანამედროვე ტექნოლოგიური დანადგარი, რომელიც საშუალებას იძლევა, დიდი ოდენობით ლიტერატურა იქნეს დასკანირებული, რათა ელექტრონული ვერსიებით წიგნების არსებობა ხელმისაწვდომი იყოს სტუდენტებისთვის. 2013 წლის შემოდგომაზე ვთხოვეთ ქართველ ბიზნესმენებს, რომ ჩვენთვის საჩუქრად ეყიდათ რობოტო-სკანერი, რომელიც ჯდება 300

ათასი ლარი. სამწუხაროდ, ბიზნეს სტრუქტურებმა დაიწყეს ეშმაკური, არაკეთილსინდისიერი ქმედება, ხშირ შემთხვევაში შეურაცხმყოფელიც კი. იძულებული შევიქმენით მათთან მოლაპარაკება აღარ გაგვეგრძელებინა და ხარჯი 2014 წლის ბიუჯეტში თვითონ გავითვალისწინეთ, გამოვაცხადეთ ტენდერი, ვიყიდეთ და მხოლოდ ამ ზაფხულს მივიღეთ ეს რობოტო-სკანერი, რომელიც ახლა აქტიურად მუშაობს ამ ლიტერატურის გადაყვანაზე ელექტრონული ვერსიის ფორმატში.

ასევე, შემოვიღეთ პოსტდოქტორანტურის წახალისების ინსტიტუტი. ეს სრულიად ახალი მოვლენაა, რაც გულისხმობს შემდეგს: ახალგაზრდებს 35-წლამდე, რომლებმაც დაიცვეს სადოქტორო დისერტაცია, ჩვენ ვუცხადებთ კონკურსს საკმაოდ მკაცრი მოთხოვნით; მათ საშუალება ეძლევათ გააგრძელონ კვლევა და ისინი ამისთვის მიიღებენ შესაბამის ანაზღაურებას. შემოდგომისთვის ჩვენ ვაპირებთ გამოვაცხადოთ კონკურსი 12 ვაკანსიაზე, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ აუცილებლად 12-ს მივიღებთ. ჩვენ ვუშვებთ ასევე, რომ თუ მეტი იქნება მსურველი და დააკმაყოფილებს მოთხოვნებს, მათ შეუძლიათ კერძო დაფინანსებით გააგრძელონ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, მაგრამ დაფინანსება არ იქნება გადამწყვეტი, თუ შესაბამის მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებს.

ჩვენთვის პრიორიტეტულია, რომ უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტს ჰქონოდა თავისი კლინიკა. მედიცინის ფაკულტეტზე სტუდენტის სრულფასოვანი მომზადება შეუძლებელი იქნება, თუ მას არ ექნა წვდომა პაციენტთან, ავადმყოფთან. ჩვენ რამდენიმე მიმართულებით ვმუშაობთ. კერძოდ, რამდენიმე წამყვან კლინიკასთან გავაფორმეთ ხელშეკრულება და ხშირ შემთხვევაში ისინი ყოველგვარი საფასურის გარეშე მზად არიან ჩვენი სტუდენტები მიიღონ. ეს არის ძალიან ცნობილი კლინიკები. მაგრამ მივაღწიეთ იმასაც, რომ 2014 წლის დასაწყისიდან ერთ-ერთი ძველი კლინიკის შენობა გადმოეცა უნივერსიტეტს ბალანსზე. ახლა ვამზადებთ გეგმას, რომლის საფუძველზეც უნდა მოხდეს ამ შენობის რეაბილიტაცია და თანამედროვე 70 ადგილიანი საუნივერსიტეტო კლინიკა იყოს.

ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ასევე, Iთ სამსახურის მოწესრიგებას. იმიტომ, რომ უნივერსიტეტში ყოველთვის იყო პრობლემური აკადემიური რეგისტრაცია. 2013-2014 სასწავლო წელიც არსებული პრობლემებით დაიწყო და სწავლის პირველსავე დღეს იყო გარკვეული საპროტესტო აქცია სტუდენტების მხრიდან. აი, 2014 წელს, რომ დაიწყო საგაზაფხულო სემესტრი, უკვე ეს პრობლემა გადავწყვიტეთ. შევიძინეთ ახალი თანამედროვე ტექნიკა, გარკვეული საკადრო ცვლილებებიც განვახორციელეთ და უკვე, პრაქტიკულად 2014 წლის საგაზაფხულო სწავლების პერიოდში რაიმე შეფერხება აკადემიურ რეგისტრაციაში სტუდენტებს არ ჰქონიათ.

უნივერსიტეტი ცოცხალი ორგანიზმია, მუდმივად ადგილი აქვს ახალ გამოწვევებსა და ახალ მოვლენებს. ერთ-ერთი ასეთი ახალი ინიციატივა არის ახალი, მეშვიდე ფაკულტეტის შექმნა. ჰუმანიტარული ფაკულტეტიდან გამოეყოფა პედაგოგიკის მიმართულება, სოციალური და პოლიტიკური მეცნიერების ფაკულტეტიდან ფსიქოლოგიის მიმართულება და უკვე გადაწყვეტილება მიღებულია აკადემიურ საბჭოსა და წარმომადგენლობით საბჭოზეც, და შემოდგომაზე ჩამოყალიბდება ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი. 2014 წლის ბოლომდე ეს ფაკულტეტი სრულად შეიქმნება.

მიღებულია ასევე, რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. მაგალითად, პირველივე დღეებიდანვე ვიფიქრეთ, რომ აუცილებელი იყო მიგვეღო უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რაც იქნებოდა ხელშეწყობა ქართველოლოგიის საერთაშორისო დონეზე უფრო ფართოდ გასასვლელად. უნივერსიტეტის ისტორიაში პირველად შემოვიღეთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო პრემია, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ მიენიჭება ქართველოლოგიის დარგში მიღებული შედეგებისთვის უცხოელ მეცნიერს. ასე რომ, აპრილში უკვე ჩავატარეთ და ცნობილ გერმანელ ქართველოლოგს, ჰაინც ფეინრიხს მიენიჭა პირველი ეს პრემია. ჩამოვაყალიბეთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამეცნიერო ფორუმი, რომელიც გაიმართება ყოველ წელს და ყველა ფაკულტეტი წარმოადგენს საუკეთესო მოხსენებებს, ხოლო მომხსენებლებს მიეცემათ ფულადი პრემია. პროფესორებისთვის 5000 ლარის ოდენობით, ხოლო სამივე საფეხურის სტუდენტებისთვის შემდეგნაირად ნაწილდება: ბაკალავრის სტუდენტებისთვის 500 ლარი, მაგისტრანტებისთვის - 1000 ლარი, ხოლო დოქტორანტებისთვის - 1500 ლარი.

დებულება მიღებულია, დამტკიცებული და უკვე ამოქმედებულია სტუდენტთა სამეცნიერო წრესთან დაკავშირებით. არის ბევრი სხვა ღონისძიებებიც, მაგალითად შეიქმნა რექტორის სტიპენდია, რომელიც ყველაზე საუკეთესო მაჩვენებლების მქონე ბაკალავრიატის სტუდენტს მიეცემა ერთი სემესტრის განმავლობაში. ეს არის თვეში 250 ლარი. ამ სტუდენტს სხვა სტიპენდია არ უნდა

ჰქონდეს და ამ სტიპენდიას აძლევს უშუალოდ რექტორი თავისი ხელფასიდან.

გარდა ამისა, იოსებ ყიფშიძის ნეშტი გადმოვასვენეთ უნივერსიტეტის პანთეონში. ის ჩვენი უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი იყო. ახლა პრაქტიკულად ყველა დამფუძნებელი აქ განისვენებს, გარდა ექვთიმე თაყაიშვილისა, რომელიც განისვენებს მთაწმინდის პანთეონში. 2014 წლის ბოლომდე იქნება აღმართული ძეგლიც. აგრეთვე, შიგა სივრცეშიც ხდება ჩვენი ცნობილი წინაპრების ბიუსტების აღდგენა, რაც უნივერსიტეტში ყოველთვის იყო.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კიდევ ის არის, რაც გავაკეთეთ, რომ უნივერსიტეტში მიღებულ იქნა დებულება აკადემიური ეთიკის შესახებ. პრაქტიკულად ჩვენ უკვე გვაქვს მექანიზმი, რომლის საშუალებითაც შეგვიძლია ვებრძოლოთ პლაგიატორებს, კომპილატორებს, სამეცნიერო შედეგების გამყალბებლებს. ეს დოკუმენტი მიღებულ იქნა აკადემიურ საბჭოზეც და წარმომადგენლობით საბჭოზეც ივნისის ბოლოს. ამდენად, პლაგიატის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, ასეთ პროფესორთან შევწყვეტთ შრომით ხელშეკრულებას.

- უნივერსიტეტი ძირითადად მაინც სასწავლო დაწესებულებაა და საინტერესოა სასწავლო პროცესებთან დაკავშირებით თუ შეიცვალა მიდგომები?

- მოგეხსენებათ, რომ უნივერსიტეტი არ არის უბრალოდ სასწავლო დაწესებულება. ჯერ კიდევ როგორც დააფუძნა თავდაპირველად მელიქიშვილმა, ჯავახიშვილმა და მათმა თანამოაზრეებმა, ეს არის სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულება. შესაბამისად, ჩვენი ამბიციაც არის, რომ ასეთ ორგანიზაციად სრულფასოვნად ჩამოვყალიბდეთ. რაც შეეხება სასწავლო პროცესს, მასთან დაკავშირებით, ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ზემოთ.

გარდა ამისა, მუდმივად მიმდინარეობს პროგრამების განახლება. მაგალითად, საინტერესო მომენტია ასეთი სიახლე. იმ ავბედით პერიოდში, რომელიც მთელმა საქართველომ გაიარა და ჩვენმა უნივერსიტეტმაც, ძალიან ბევრი რამე გაფუჭდა, ერთ-ერთ ასეთში მოჰყვა დემოგრაფიის კათედრა. ანუ „დემოგრაფია" უნივერსიტეტის სივრციდან განიდევნა. ჩვენ უკვე მივიღეთ გადაწყვეტილება და აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა, რომ ამ წლის შემოდგომიდან ამოქმედდება სამაგისტრო პროგრამა დემოგრაფიაში. ასე რომ, ახალგაზრდებს სექტემბრიდან შეეძლებათ სამაგისტრო პროგრამით მომზადება დემოგრაფიაში. ამჟამად კონკურსი გვაქვს გამოცხადებული და ვფიქრობთ, რომ ღირსეულ პროფესორებსაც ავიყვანთ. აი, ამ თვალსაზრისითაც არის და მუდმივად ხდება გარკვეული სილაბუსების განახლება, ახალი პროგრამის შემუშავება, იმ მოთხოვნებიდან გამომდინარე, რაც არის სასწავლო პროცესის ინტერესების შესატყვისი.

- უნივერსიტეტი ყოველთვის იყო აქტიური საზღვარგარეთის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან ურთიერთობის თვალსაზრისით. რა მდგომარეობაა ამ მხრივ დღეისათვის? რომელ წამყვან უნივერსიტეტებთან გაქვთ ერთობლივი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები?

- ჩვენს უნივერსიტეტს საზღვარგარეთის 40-მდე უნივერსიტეტთან აქვს გაფორმებული ხელშეკრულება. მათ შორის, 2013 წლის შემოდგომიდან 30 უნივერსიტეტთან დაიდო ან განახლდა ხელშეკრულება. ესა როგორც ევროპის, ასევე პოსტსაბჭოური ქვეყნების უნივერსიტეტები. მათი ჩამოთვლა ალბათ, შორს წაგვიყვანდა.

- და, გაცვლითი პროგრამები რომელ უნივერსიტეტებთან ხორციელდება?

- 2013 წლის შემოდგომიდან დღემდე თსუ-ს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული კონკურსებით თსუ-ს სტუდენტები გაცვლითი პროგრამებით იყვნენ ან/და იმყოფებიან 60-მდე სხვადასხვა უნივერსიტეტებში. მათ შორის: ერასმუს მუნდუსის პროექტების ფარგლებში - 31 უნივერსიტეტში, ხოლო ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეკრულებების ფარგლებში - 26 უნივერსიტეტში.

- საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო ბიბლიოთეკები რამდენად არის მოწყობილი და რა გეგმებია ამ მიმართულებით?

- ეს მეტად სერიოზული თემაა. უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა სამწუხაროდ, სავალალო მდგომარეობაშია. მას სჭირდება სერიოზული რემონტი, ისევე, როგორც სხვა კორპუსებს. ჩვენ გარემონტებული გვაქვს უნივერსიტეტის მხოლოდ პირველი კორპუსი. დანარჩენი ყველა კორპუსი საჭიროებს რემონტს. ეს პირველი კორპუსიც გაარემონტა ბიძინა ივანიშვილმა, სანამ პოლიტიკაში წავიდოდა, რისთვისაც უნივერსიტეტი მისი მადლიერია, დანარჩენი საუ-

უნივერსიტეტო სივრცე საჭიროებს რემონტს და ბუნებრივია, ბიბლიოთეკაც. თუმცა ის ბიბლიოთეკა, რომელიც პირველ კორპუსშია, შესანიშნავად არის მოწყობილი. შესანიშნავად არის ტექნიკურადაც უზრუნველყოფილი, მაგრამ ჩვენ გვინდა, რომ მთლიანად საბიბლიოთეკო სისტემა უნივერსიტეტში იყოს განახლებული. ეს ჩვენთვის პრიორიტეტია! მიმდინარეობს ლიტერატურის განახლების პროცესი. ერთ-ერთი მთავარი ამოცანა, რაც დაისახა უნივერსიტეტმა, ესაა ის, რომ სერიოზული თანხები ჩაგვედო ლიტერატურის შეძენაში. პრაქტიკულად მრავალი დასახელების ახალი წიგნი იქნა შეძენილი. ასევე, ჩვენ გვაქვს ჩვენი გამომცემლობა, რომელსაც მკაცრად განესაზღვრა ამოცანები, თუ როგორი ლიტერატურის გამოცემა შეუძლია. აქ გამოიცემოდა მხატვრული ლიტერატურა საკმაოდ მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე, რაც თავისთავად, ზოგადად ცუდი არ არის, მაგრამ როდესაც სტუდენტებს სახელმძღვანელო არა აქვს, პირდაპირ უნდა ითქვას, რატომ დაიხარჯოს საუნივერსიტეტო, ისედაც მწირი, რესურსი მხატვრული ლიტერატურის გამოცემაზე, რომელიც შეიძლება წარმატებით სხვა გამომცემლობებმაც გამოსცეს. ამიტომ, ესეც გარკვეულწილად მოწესრიგდა და ნაბიჯი გადაიდგა ამ მიმართულებითაც.

- კურსდამთავრებულთა დასაქმების კუთხით რა გეგმებია? მემორანდუმები თუ არის დამსაქმებლებთან?

- კურსდამთავრებულთა დასაქმება ესაა აქილევსის ქუსლი მთლიანად ჩვენი საგანმანათლებლო სისტემისათვის. ჩვენ შევქმენით კარიერული ცენტრი. ეს ცენტრი შეიქმნა როგორც ერთ-ერთი საგრანტო პროექტი. ეს უკვე ოფიციალურად ჩამოყალიბებულია. ჩვენ ხელშეკრულება გავაფორმეთ სხვადასხვა უნივერსიტეტებთან. მემორანდუმები გავაფორმეთ და ვთანამშრომლობთ დასაქმების ასოციაციასთან და სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან, და ვფიქრობთ, რომ ამ ფორმით მოხდეს მობილიზება იმ მცირე რესურსებისა, რაც ჩვენ გაგვაჩნია. გვინდა, რომ კარიერული ცენტრი გვქონდეს ყველა ფაკულტეტზე, რომლებიც იმუშავებენ იმ სპეციფიკაზე, რაც ამა თუ იმ ფაკულტეტისთვისაა დამახასიათებელი და თავიდანვე ახალგაზრდები ორიენტირებული იყვნენ იმ მიმართულებებზე, სადაც მეტ-ნაკლებად შესაძლებელი იქნება მათი დასაქმება.

- თვითონ რას დაამატებდით, რაიმე ხომ არ გამოგვრჩა სიახლეების კუთხით?

- ძირითადად სიახლეებზე ვილაპარაკე. არის ასეთი ტექნიკური სიახლეც. როცა უნივერსიტეტში მოვედი, დეკანებს ჰყავდათ 2-2 მოადგილე, ერთი სასწავლო-სამეცნიერო დარგში, მეორე - საფინანსო-ეკონომიკურ დარგში. ჩავთვალეთ, რომ ეს არის აბსოლუტურად გაუგებარი სტრუქტურა. დეკანს არ სჭირდება მოადგილე საფინანსო-ეკონომიკურ დარგში. ამიტომ გავაუქმეთ ეს, სამაგიეროდ დეკანს ეყოლება ისევ 2 მოადგილე, ერთი სასწავლო ნაწილში, მეორე - სამეცნიერო ნაწილში. გვინდა, რომ სამეცნიერო ნაწილი იყოს წამოწეული და პასუხისმგებელი პირი აუცილებელია იყოს ფაკულტეტზე დეკანის მოადგილის სახით.

არის კიდევ ერთი დიდი სიახლე, აი 14 ივლისს გაფორმდა მემორანდუმი საქართველოს მთავრობასა და ათასწლეულის გამოწვევის პროგრამას შორის. ჩატარდა კონკურსი. კონსორციუმში ვართ: ჩვენი უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. ეს სამი უნივერსიტეტი მონაწილეობს საქართველოში ახალი საინჟინრო სკოლის შექმნაში, სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად. პრაქტიკულად ერთი წელი დაგვჭირდება, რომ ეს სკოლა ტექნიკურად გაიმართოს. ჩატარდება სარემონტო სამუშაოები, შეძენილი იქნება თანამედროვე ტექნოლოგიები, რომელმაც უნდა შექმნას ახალი ლაბორატორიები. ჩვენს უნივერსიტეტში იქნება სამი მიმართულება: ელექტრო ინჟინერია, ქიმია და ბიო-ქიმია და კომპიუტერული მეცნიერება. ერთი წლის განმავლობაში უნდა მოხდეს სილაბუსების ჩამოყალიბება, კურიკულუმების შექმნა და ამ პროგრამებმა უნდა გაიაროს აკრედიტაცია როგორც საქართველოში, ისე - ამერიკის შეერთებულ შტატებში. ეს იმას ნიშნავს, რომ ახალგაზრდა, რომელიც ორი წელი ისწავლის აქ, მას შეეძლება ამერიკაში გააგრძელოს სწავლა, სან-დიეგოს უნივერსიტეტში, ან გააგრძელებს სწავლას ჩვენთან, მაგრამ ორივე კურსდამთავრებული ერთდროულად მიიღებს ჩვენი უნივერსიტეტის დიპლომს და სან-დიეგოს უნივერსიტეტის დიპლომს, რაც იქნება იმის საწინდარი, რომ ასეთი დონის სპეციალისტებზე ჩამოყალიბდება საერთაშორისო მოთხოვნა. ეს პროექტი არის 20 წლიანი, ანუ ეს არის სტაბილური განვითარების პროექტი.

- როგორია უნივერსიტეტის სამომავლო გეგმები?

- რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, უწინარეს ყოვლისა, ჩვენ გვინდა, რომ უნივერსიტეტის ჩართულობა საერთაშორისო პროექტებში გაიზარდოს. მაგალითად, უკვე ათი წელია არსებობს გერმანულ-ქართული სამეცნიერო ხიდი, რაშიც გერმანული იულიხის ცენტრია ჩართული. ქართული მხარიდან არის ჩვენი უნივერსიტეტი, ტექნიკური უნივერსიტეტი და ილიას უნივერსიტეტი, რაც ფუნდამენტურ მეცნიერებებში ქართველ მეცნიერებს აძლევს საერთაშორისო დონეზე გასვლის საკმაოდ კარგ შესაძლებლობებს. გვინდა უნივერსიტეტის საერთაშორისო პროექტებში ჩართულობა გავზარდოთ, ის უფრო ცნობადი გახდეს, იყოს უფრო წარმატებული და საერთაშორისო დონეზე აღიარებული.

- დიდი მადლობა ბატონო ლადო, რომ დრო გამონახეთ და გვესაუბრეთ საინტერესო საკითხებზე. ძალიან შთამბეჭდავია ეს ყველაფერი და დარწმუნებული ვართ, უნივერსიტეტს ახალ სიმაღლეზე აიყვანს თქვენს მიერ განხორციელებული ღონისძიებები. წარმატებებს გისურვებთ თქვენ პირადად და დედაუნივერსიტეტს, მის თითოეულ სტუდენტსა და პროფესორ-მასწავლებლებს, ადმინისტრაციას. . .

- თქვენც მადლობა.

ესაუბრა ჟურნალ „ახალი ეკონომისტის“
კორესპონდენტი ხათუნა ბურჭულაძე

# ეკო-დაიჯესტი

## ინვესტიციების მოცულობა იზრდება

2014 წლის პირველ კვარტალში საქართველოში 260 მლნ აშშ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია შემოვიდა, რაც შარშანდელზე 15%-ით მეტია. ამასთან, 2011 წლის იმავე პერიოდში ეს მაჩვენებელი იყო 201 მლნ იყო, 2012-ში – 261, ხოლო შარშან – 226 მილიონი. ყველაზე დიდი ინვესტიცია ნიდერლანდებიდან შემოვიდა, ყველაზე მიმზიდველი კი საფინანსო სექტორი აღმოჩნდა.

## შემუშავებულია კონკურენციის დაცვის მეორადი კანონმდებლობა

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (GIZ) დაფინანსებით, უცხოელ (ლიტველ და გერმანელ) და ადგილობრივ ექსპერთა მონაწილეობით შემუშავდა „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტთა პროექტები. კერძოდ, სსიპ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანების პროექტები - 1)„ბაზრის კვლევის მეთოდური მითითებების დამტკიცების შესახებ"; 2)„განაცხადებასა და საჩივართან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების და საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე" და 3)„კონცეტრაციის შესახებ შეტყობინებისა და განხილვის წესის თაობაზე".

აღნიშნულ ქვემდებარე აქტთა პროექტების განხილვა, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (GIZ) ორგანიზებით, კანონპროექტის შემუშავებაში ჩართული უცხოელი და ადგილობრივი ექსპერტების, კონკურენცის სააგენტოს თანამშრომლებისა და მსიფლიო ბანკის ექსპერტების მონაწილეობით ჩატარდა კაჭრეთში, სასტუმრო „ამბასადორში".

ამასთან, კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის მ/წ/ 11 ივნისის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ (კონკურენციის სააგენტოს, ფინანსთა, იუსტიციისა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროების, ასევე ქართველ ექსპერტთა მონაწილეობით) შემუშავებულია, საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტები – 1)„ინდვიდუალური სახელმწიფო დახმარების უმნიშვნელო ოდენობისა და სახელმწიფო დახმრების გაცემის ზოგადი წესის დამტკიცების თაობაზე" და 2)„კონკურენცის შემზღუდველი ხელშეკრულების გამონაკლისებიდან აკრძალვების შესახებ". ასევე, მომზადდა სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანების პროექტი - „თანამშრომლობის პროგრამის გავრცელებისა და პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების წესის დამტკიცების თაობაზე".

დაგეგმილია მ/წ აგვისტოს თვეში ამ მეორად ნორმატიულ აქტთა პროექტების ფართო საზოგადოებისათვის წარდგენა, ხოლო შემდგომ, მიღებამდე უნდა მოხდეს მათი შეთანხმება მსოფლიო ბანკთან, ევროკავშირთან და საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტთან.

## რუსეთთან საავიაციო მიმოსვლა აღდგება

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის ნათია მიქელაძის განცხადებით - რუსეთსა და საქართველოს შორის რეგულარული საავიაციო მიმოსვლა ა.წ. 15 სექტემბრიდან აღდგება. მისი განცხადებით, „რუსეთის ფედერაციის მხრიდან, შვეიცარიის კონფედერაციის საელჩოსა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით, მივიღეთ ოფიციალური ნოტა, რომლის მიხედვითაც რუსეთი ორ ქვეყანას შორის რეგულარული საავიაციო მიმოსვლის აღდგენას გვთავაზობს. ნოტაში მოცემულია, რომ თავდაპირველად რეგულარული რეისები აღდგება თბილისი-მოსკოვი და მოსკოვი-თბილისის მიმართულებით".

## შემოსავლების უთანაბრობით საქართველო ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს უსწრებს

„ჯინის კოეფიციენტი" წარმოადგენს შემოსავლების უთანაბრობის საზომს. შესაბამისად, რაც უფრო ახლოსაა ეს კოეფიციენტი 0-თან, მით უფრო თანაბარია შემოავლების განაწილება, ხოლო რაც უფრო ახლოსაა 1-თან, შემოსავლების გადანაწილება მით მეტად უთანასწოროა. საქართველოში „ჯინის კოეფიციენტი" 0,42-ია, რაც სამწუხაროდ ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს შორის. ეს კოეფიციენტი საქართველოში უფრო მაღალი იყო - 2006 წელს იყო 0,45, ხოლო 2009-2011 წლებში – 0,46.

### ქართული ხილი რუსეთის ბაზარზე

რუსეთში საქართველოდან 134 ტონა ხილის ექსპორტი უკვე განხორციელდა: კახეთის რეგიონიდან 82 ტონა ატამი და ვაშლატამა, შიდა ქართლიდან – 35 ტონა ბალი, გურიიდან კი 17 ტონა ლურჯი მოცვი. „როსსელხოზნადზორის" წარმომადგენლები საქართველოს 23 ივნისს ეწვივნენ და სურსათის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტებთან ერთად ჩაატარეს საექსპორტო პარტიების ფიტოსანიტარული კონტროლი.

### თხილის ექსპორტით საქართველო მსოფლიოში მესამეა

ყოველწლიურად საქართველო 40-50 ათას ტონა თხილს აწარმოებს. ამასთან, საქართველოდან ევროკავშირში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციიდან ყველაზე მეტი თხილი გადის. მაგლითად, 2013 წელს საქართველოდან ევროკავშირში 115,4 მლნ აშშ დოლარის ღირებულების თხილი გავიდა – 2012 წლის წლის მაჩვენებელზე 128%-ით მეტი. ქართული თხილის ძირითადი საექსპორტოპ ბაზრებია გერმანია (მთლიანი საექსპორტო ბაზრის 41%), იტალია (16%), ჩეხეთი (7,6%) და საფრანგეთი (5%).

### ევროკავშირში ექსპორტის მოცულობა გაიზარდა

საქართველოს საგარეო ვაჭრობამ ევროკავშირის ქვეყნებთან 2013 წელს 2,879 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. ეს მთლიანი საგარეო ვაჭრობის 27%-ია და წინა წლის მაჩვენებელსაც 3%-ით აღემატება. აქედან ევროკავშირში ექსპორტი კი მთელი 72%ით გაიზარდა და 608 მლნ აშშ დოლარს, ანუ ქვეყნიდან მთლიანი ექსპორტის 21%-ს გაუტოლდა.

### საგარეჯოს რაიონში გაზის მოპოვების სამუშაოები დაიწყო

მ/წ ივნისის ბოლოს საგარეჯოს რაიონში, სოფელ იორმუღანლოში გაზის მოპოვებითი სამუშაოები დაიწყო. წარე ხევის საბადოზე გაზის მოპოვებასა და დისტრიბუციას ამერიკული კომპანია „ფრანტრერა" ახორციელებს. ჭაბურღილიდან მილებში ბუნბერივი აირის პირველად გაშვებას, კომპანიის წარმოამდგენელბთან ერთად, საქართველოში აშშ-ს ელჩი რიჩარდ ნორლანდიც ესწრებოდა. როგორც წინასწარ არის გაცხადებული გაზის მოცულობა დაახლოებით 42 მილიარდი კუბური მეტრია.

„ეკო-დაიჯესტი" ქართულ ჟურნალ-გაზეთებსა და სხვა წყაროებზე დაყრდნობით მოამზადა ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრატურის I კურსის სტუდენტმა თამთა ფეტელავამ

# რეგიონული ეკონომიკის მართვის ოპტიმიზაციის პრობლემა







რევაზ ლორთქიფანიძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი

როლანდ სარჩიმელია
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი

*განხილულია ქვეყანაში თავმოყრილი რეგიონების გამოთანაბრება ყოველ რეგიონში ერთ დასაქმებულზე მაღალკვალიფიციური სპეციალისტების, საექსპორტო პროდუქციის და ხელფასის ზრდის შესაძლო მაქსიმიზაციის მიხედვით.*

*დასახული მიზნის ანალიზისათვის რეკომენდებულია აზრობრივი მოდელირების, ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდებისა და პარეტოს ოპტიმუმის გამოყენება. საქართველოს რეგიონების გამოთანაბრებისათვის მინიშნებულია რეგიონული ეკონომიკის მართვის ოპტიმიზაციაზე.*

რეგიონული ეკონომიკა სწავლობს საწარმოო პროცესს რაციონალურ ტერიტორიულ ჭრილში და მომსახურების ბაზრის ოპტიმალური განლაგების საფუძვლებსაც. იგი აღმოცენდა მეოცე საუკუნის 50-იანი წლებიდან აშშ-ში, ხოლო ტერიტორიების ფართო მასშტაბების რეგიონული ჭრილით კვლევა ყოფილ საბჭოთა კავშირში 60-იანი წლებიდან დაიწყო.

რეგიონი, რომელიც განვითარებული ცენტრის გავლენით დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფის გზაზე დგას, ჩამორჩენილი რეგიონების უარყოფით ზეგავლენასაც განიცდის. მას, მაკოორდინებელ ქვეყანასთან ერთად, სრულყოფილი დარგობრივი სტრუქტურის პრეტენზია შეიძლება გააჩნდეს [1].

სახელმწიფოს (ან მსოფლიოს) ცალკეულ ეკონომიკურ ტერიტორიებად დაყოფისას რეგიონული ანალიზი ავლენს მეურნეობის საუკეთესო განლაგების შესაძლებლობებს. იგი საწარმოო პოტენციალის, დარობრივი სტრუქტურის, რაიონების ეკონომიკურ დონესა და მათი მაღალკვალიფიციური კადრებით აუცილებელ გამოთანაბრებას იკვლევს.

რეგიონების მიზანმიმართულება ქვეყნის კეთილდღეობის მიღწევას უნდა განაპირობებდეს, მაგრამ რეგიონების მიზნები მოსალოდნელია, განსხვავდებოდეს როგორც საერთო, ასევე ერთმანეთის მიზნებისაგან წინააღმდეგობების გამწვავებაში, მათი უყურადღებოდ დატოვება კი არ შეიძლება.

საჭიროა ამ რეგიონების გამაერთიანებელმა სახელმწიფომ იზრუნოს არა მხოლოდ დაკანონებულ საერთო მიზნის დაკმაყოფილებაზე, ამასთან ერთად, აუცილებელია რეგიონებს შორის წარმოშობული წინააღმდეგობების განეიტრალება, თანაც ძალისმიერი მეთოდების გამოყენების გარეშე.

ზემოთ აღნიშნული შემთხვევისათვის მეტწილად რეკომენდებულია პარეტოს ოპტიმუმის პრინციპის გამოყენება. იგი ნიშნავს ყოველი ცალკეული რეგიონისათვის ისეთი ოპტიმუმის გამოვლენას, რომელიც დანარჩენი რეგიონის საუკეთესო (ან მიღწეულ) მდგომარეობას არ გააუარესებს.

რამდენიმე მიზნის ფუნქციით წარმოდგენილი ამოცანის გადასაწყვეტად პარეტოს ოპტიმუმი ერთ-ერთი საშუალებაა. მეცნიერებას სხვა მეთოდებიც გააჩნია, როგორიცაა საუკეთესო მიახლოვება, ოპტიმიზაცია არჩეული თანმიმდევრობით და სხვ. მათში განიხილება მდგრადობა, დაკავშირებული შეზღუდვათა ცვლილებებთან [2, გვ. 45-51].

ოპტიმუმის კრიტერიუმით სარგებლობისას აბ-

სტრაქტული (იგულსიხმება თეორიული) მიდგომა დამაკვალიანებელ გავლენას ახდენს მიზნის შერჩევაზე, რაც გათვალისინებულ უნდა იქნეს რეგიონის დაგეგმვისა და მართვის პროცესებში, რომელსაც სახელმწიფო ქვეყნის მთლიან მასშტაბებში ატარებს.

აზრობრივი მოდელირება, როგორც ეკონომიკური ამოცანის უშუალოდ განჭვრეტა-წარმოდგენის ეფექტური საშუალება მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოში ეკონომიკურ-მათემატიკური მიმართულებით გამოვლინდა, რაც ძირითადად ეხებოდა მოვლენის იდეალურ (ანუ აზრობრივ) შესაძლებლობებს, რომლითაც ისინი ზოგად კანონზომიერებებს ადამიანის შემეცნებაში ასახავენ [3, გვ. 11-13].

აზრობრივი მოდელირების, გამოყენების ეფექტიანობა ეხება საგარეო ვაჭრობაში საექსპორტო პროდუქციის წარმოებისას მომგებიანობის ზრდას. იგი სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკას ემყარება, რა დროსაც მისი ერთ-ერთი ვარიანტია ყველა რეგიონის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოსაშვებად პირობების შექმნაზე ზრუნვა.

როგორც რეალობა ცხადყოფს, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ძირითადად რეგიონულ ცენტრებში ცდილობენ მუშაობას, დანარჩენი რეგიონები კი ამ მხრივაც დეფიციტის პირობებში ხვდებიან, რაც უარყოფითად მოქმედებს საექსპორტო პროდუქციის მომგებიანობის ზრდაზე. შედეგად, იქმნება წინააღმდეგობები ცალკეულ რეგიონებს შორის, რომელთა გასანეიტრალებლად პარეტოს ოპტიმუმით სარგებლობენ, როგორც აზრობრივი მოდელირებით, ასევე ოპტიმიზაციის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელებით. ასეთ პირობებში აუცილებელია კვალიფიციური სპეციალისტების რიცხოვნობა ერთ დასაქმებულზე მაქსიმუმისკენ მიისწრაფოდეს, საექსპორტოდ გამოყოფილი პროდუქცია მომგებიანი იყოს და ყოველ რეგიონში საწარმოს, რომელიც საექსპორტო პროდუქციას უშვებს, რესურსები საკმარისი რაოდენობით გააჩნდეს.

რეგიონის ეკონომიკის მართვის ოპტიმიზაციისათვის, საექსპორტოდ პროდუქციის მომზადებასთან ერთად,დიდი მნიშნელობა ენიჭება იმპორტშემცვლელი ზონების პრაქტიკის გამოყენებას. მან თანამედროვე პოსტსტაგნაციის პროცესებში შემაკავებელი ფუნქცია უნდა შეასრულოს ქვეყნის სოფლის მეურნეობის დამაზიანებელი გადაჭარბებული იმპორტის ექსპორტთან მიმართებაში. ისე არ უნდა მოხდეს, რომ იმპორტმა საექსპორტოდ პროდუქციის გამოშვება შეაფერხოს.

ამასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ საქართველოს სასაზღვრო რეგიონებში მოეწყოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მსხვილი სასაწყობო მეურნეობები, სადაც გავრცელდება „სასათბურე" გადასახადები და განთავსდება ეკოლოგიურად სუფთა ადგილობრივი პროდუქტები, თანაც შესაძლოა, ეს მოხდეს მინიმალურ ფასებში.

დღესაც აქტუალურია ინოვაციური რეგიონული ცენტრების პრაქტიკის გავრცელებაც, მ.შ. დედაქალაქის მსხვილი უნივერსიტეტების ბაზაზე, რაც მართვის სახელმწიფო სტრუქტურებითა და საბანკო სექტორების მონაწილეობით საექსპორტო პოტენციალის არსებითი გამრავლების საფუძველი შეიძლება გახდეს.

საქართველოს ეკონომიკა რეგიონული მაჯისცემითა და მრავალმხრივი წინააღმდეგობებით რთულია, თუმცა ახლავს შედარებით მარტივი პროცესები.

ამასთან დაკავშირებით, მოსასინჯი მოდელირება დაწყებულია ნაშრომში [4], სადაც დასმულია ოპტიმიზაციის ეკონომიკურ-მათემატიკური ამოცანა, რომლის თანამედროვე ინტერპრეტაციაა კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვების მაქსიმიზაცია და ქვეყნის ცალკეულ რეგიონებში ამ პროდუქციის გამოშვებაზე დანახარჯთა მინიმიზაცია. ამ ორმიზნიანი ამოცანისაგან კომპრომისი პარეტოს ოპტიმუმითა და აზრობრივი მოდელირებით მიიღება.

რეგიონული ეკონომიკის პოლიტიკასთან დაკავშირებით, სხვადასხვა ნაშრომებს შორის გამოვყოფთ ორ შრომას [5 და 6],რომელთა განახლებული გამოყენება საქართველოსთვის აუცილებელია.

რეგიონული ეკონომიკის დაგეგმვისა და მართვის ოპტიმიზაციის პრობლემა გლობალიზაციის შესაბამისად ფართოვდება ერთპოლუსიან მსოფლიოში. აშშ-ის ლიდერობით მიმდინარეობს ზრუნვა ცალკეული ეკონომიკური რეგიონების მიხედვით სახელმწიფოთა განვითარების დონის გამოთანაბრებაზე, სიღარიბის დაძლევაზე. ამაში მნიშვნელოვანია ეკონომიკური სისტემის გამოკვლევა რეგიონული ანალიზით, რომელშიაც რეგიონის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი და მისი მეთოდები მიმართულია მეურნეობის ოპტიმალური განლაგებისაკენ რეგიონების განვითარების კრიტერიუმების დასადგენად და გამოსაყენებლად, საწარმოთა სპეციალიზაციისა და დარგობრივი სტრუქტურის მოსაწესრიგებლად, რეგიონებში ეკონომიკური განვითარების გამოთანაბრებისათვის პირობების შესაქმნელად და ა.შ.

გამოყენებული ლიტერატურა:


1. რ. ლორთქიფანიძე. სტრუქტურული ცვლილებების სტრატეგია აჭარის ეკონომიკაში. თსუ, 2005 ნოსტრიფიკაციის მასალები.

2. რ. სარჩიმელია. ეკონომიკური პროცესების მათემატიკური მოდელები შეზღუდვათა ცვლილებების პირობებში. თბ., „მეცნიერება”, 1989.

3. გ. წერეთელი. ეკონომიკის მათემატიკური მოდელირების მეთოდოლოგიური საფუძვლები და მათი რეალიზაციის პრაქტიკული მაგალითები. თბ., „მეცნიერება”, 2000.

4. К.В. Ачелашвили, Р.А. Сарчимелия. Об одной задаче планирования производства в региональном разрезе. Сообщения Академии наук Грузинской ССР, 94, №3, 1979.

5. ე. ბარათაშვილი, შ. ვეშაპიძე. რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა. თბ., თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტი, 2002.

6. ე. ხარაიშვილი. რეგიონული ეკონომიკა. რედაქტორი ვლ. პაპავა, თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004.


## The problem of optimization of the management regional economics


Roland Sarchimelia
Doctor of Economic Sciences,
Revaz Lordkipanidze
Doctor of Economic Sciences



Article defines the equalization of highly qualified specialists in each region per employee, according to expert production and maximizing potential of wage growth.

To achieve semantic modeling analysis it is recommended to use the idea-modeling, economic-mathematical methods and Pareto optimum. For equal status of Georgian regions it is indicated to optimization of regional economic management.

# ქრისტიანობა და ეკონომიკა



ვასილ ხიზანიშვილი
ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ეკონომიკაში

*მსოფლიოს რელიგიურ მოზაიკაში ქრისტიანობა წამოადგენს ყველაზე გავლენიან კონფესიას, რომელიც სულიერ-ზნეობრივ მხარესთან ერთად, საკმაოდ ფართო სპექტრით მოიცავს სამეურნეო ცხოვრების ასპექტებსაც. როგორც ეს ზემოთ მოტანილი გრაფიკული თუ ტექსტური ანალიზის საფუძველზე გამოჩნდა, მის წიაღში არსებული რელიგიური პოლარიზაცია ფაქტიურად ხელს უწყობს მკვეთრად განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური ქცევათა წესების ფორმირებას, და რაც პირდაპირ აისახება კონკრეტული ქვეყნის კეთილდღეობის ხარისხზე. მათ შორის არსებული მატერიალური კეთილდღეობისადმი მიდგომის განსხვავებულობა სამწუხაროდ, დღემდე რჩება გადაუწყვეტელ საკითხად.*

მსოფლიოს რელიგიურ მოზაიკაში ქრისტიანობა წარმოადგენს ყველაზე უფრო გავლენიან რელიგიას, რომლის პროცენტული მაჩვენებელია 34.1% (კათოლიკები – 51,8%, პროტესტანტები – 31.4%, მართლმადიდებლები – 12.5%, სექტები - 4.3%). შემდეგ მოდის ისლამი – 20.4%, ინდიუზმი – 14.1%, ბუდიზმი – 12.1%, იუდაიზმი - 0.3%. დანარჩენი - 19.1% ათეისტებია.

ქრისტიანობა. ქრისტიანობა სულიერ – ზნეობრივ მხარესთან ერთად საკმაოდ ფართო სპექტრით მოიცავს სამეურნეო ცხოვრების ასპექტებსაც. ეს შეეხება საკუთრების უფლების, ქონების, სიმდიდრის, შრომის, განაწილების და ა.შ. საკითხებს. ქრისტიანობაში არსებობს განსხვავებული ხედვები ეკონომიკური სისტემის ფორმებთან მიმართებაში. პირველი – ეკონომიკური ურთიერთობები დაფუძნებული კერძო საკუთრებაზე, ინდივიდუალურ პასუხისმგებლობასა და ინიციატივაზე. მეორე – სოციალისტური ელემენტების შემოტანა ეკონომიკურ ურთიერთობებში. პირველში იგულისხმება თავისუფალი მეწარმეობა და ღია ბაზრები, ხოლო მეორეში – ცენტრალიზებული მართვა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არც ერთი ეკონომიკური სისტემა არ არსებობს რეალურ სამყაროში წმინდა ფორმით – ყველა კაპიტალისტური სისტემა შეიცავს სოციალიზმის ზოგიერთ ელემენტს და პირიქით.

მეტი თვალსაჩინოებისათვის სოციალურ-ეკონომიკურ კონტექსტში გთავაზობთ გრაფიკულ ფორმატზე დაყრდნობით წარმოებული ქრისტიანობისა და მისი სამი ძირითადი მიმდინარეობის – კათოლიციზმის, პროტესტანტიზმისა (ევანგელიზმი) და მართლმადიდებლობის მოკლე ტექსტურ დახასიათებას.




გრფ. 1 ა). სულობრივი შემოსავლების დამოკიდებულების გრაფიკი ქრისტიანულ და არაქტისტიანულ ქვეყნებში ქრისტიანთა ზღვრული %-ის მნიშვნელობით.

Экономика и религия: от первоисточииков к современным концепциям, /liberty-belarus.info/.../Экономика-и-религия – от-первоисточников-к-современным-концепциям.html

Christian Economics., www.allaboutworlldview.org/christian-economics.htm

გრაფიკი 1 ა).-დან ჩანს, რომ შემოსავლებს შორის დამოკიდებულება ქრისტიანულ და არაქრისტიანულ ქვეყნებში იმყოფება 4,8-დან 5,8-მდე დიაპაზონში.




გრფ. 1 ბ). საშუალო წლიური სულობრივი შემოსავალი ქრისტიანულ და არაქრისტიანულ ქვეყნებში ზღვრული 50%-იანი მნიშვნელობით.

შემოსავლებს შორის დამოკიდებულება (საშუალო წლიური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე) ქრისტიანულ და არაქრისტიანულ ქვეყნებში არის 5.1. სხვა სიტყვებით, ქრისტიანთა ზღვრული 50%-იანი მნიშვნელობის პირობებში ქრისტიანული ქვეყნები მსოფლიოს დანარჩენ არაქრისტიანულ ქვეყნებზე 5-ჯერ მდიდარია.

ქრისტიანობა სხვა რელიგიებთან შედარებით ახდენს ყველაზე უფრო დადებით გავლენას მსოფლიო ეკონომიკაზე. ქრისტიანობის განშტოებებია: კათოლიციზმი, პროტესტანტიზმი და მართლმადიდებლობა. თითოეულის დამოკიდებულებას ეკონომიკასთან გააჩნია საკუთარი თავისებურებები და ნიუანსები. ამასთან, ქრისტიანულ შეხედულებებში ამ საკითხის ირგვლივ არსებობს ბევრი საერთო, იმდენად რამდენადაც ისინი ფორმირდებიან ერთიან მსოფლმხედველობრივ საფუძველზე.

კათოლიციზმი. კათოლიციზმში ეკონომიკა მიიჩნევა პირველ რიგში ადამიანურ ქმედებათა სფეროდ. ეკონომიკური საქმიანობა კი განიხილება როგორც ადამიანის შემოქმედებითი ბუნების ღვთაებრივი გამოვლინება. კათოლიციზმი თვლის, რომ უკანასკნელ დროს ეკონომიკის სფეროში მოხდა დადებითი ცვლილებები, რაც ქმნის ეკლესიის იდეის რეალიზაციის წინა პირობებს, რაშიც იგულისხმება წარმოების თანდათანობითი „დემატერიალიზაცია", რითაც შესაძლებელი ხდება ეკონომიკის ჰუმანიზაცია და ახალ ეკონომიკურ ურთიერთობებში ადამიანის როლის ამაღლებაზე საუბარი.[3] ამგვარად თანამედროვე კათოლიკობა განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს თავისუფალი მეწარმეობის სისტემის დადებით თვისებებზე.




გრფ. 2 ა). სულობრივი შემოსავლების დამოკიდებულების გრაფიკი კათოლიკურ და არაკათოლიკურ ქვეყნებში, კათოლიკეთა ზღვრული %-ის მნიშვნელობით.

გრაფიკი 2 ა).-დან ჩანს, რომ შემოსავლებს შორის დამოკიდებულება კათოლიკურ და არაკათოლიკურ ქვეყნებში მერყეობს 1,5-დან 2.0-მდე დიაპაზონში.




გრფ. 2 ბ) საშუალო წლიური სულობრივი შემოსავალი კათოლიკურ და არაკათოლიკურ ქვეყნებში ზღვრული 50%-იანი მნიშვნელობით.

შემოსავლების დამოკიდებულება კათოლიკურ და არაკათოლიკურ ქვეყნებში ტოლია 1,49. სხვა სიტყვებით, კათოლიკეთა ზღვრული 50%-იანი მნიშვნელობის პირობებში, კათოლიკური ქვეყნები მსოფლიოს დანარჩენ არაკათოლიკურ ქვეყნებზე 1,5-ჯერ უფრო მდიდარია.

ცნობს რა მოგების, კაპიტალის ზრდის ღვთივნებელობას, კათოლიციზმი ყურადღებას ამახვილებს მასზედ, თუ როგორ იყენებს ადამიანი შექმნილ სიმდიდრეს, პირად საკუთრებას.[4] მენტალობის შემადგენელი სწორედ ეს ფასეული

3. http://www.dissercat.com/content/ekonomicheskie-aspekty-sovremennogo-sotisialnogo-ucheniya-katolicheskoi-tserkvi-ii-polovi...
4. Path dependency: религиозные ценности как фактор формирования социально – зкономических моделей. http://www.ecsocman.edu.ru/text. 16213418

თავისებურებანი განსაზღვრავენ კათოლიკური ქვეყნების ეკონომიკათა წარმატებებს მსოფლიო მეურნეობის პოსტეკონომიკური განვითარების სტადიაზე გადასვლის პროცესში.

პროტესტანტიზმი. გამორჩეულია პროტესტანტიზმის დამსახურება დასავლური ეკონომიკის განვითარებაში. ამის მიზეზი ძევს რეფორმაციის პერიოდში მომხდარ მენტალურ რევოლუციაში, როცა ქრისტიანული სამყაროს მნიშვნელოვანი ნაწილისათვის გაჩნდა არსებითად ახალი მიდგომები ფასეულობათა სისტემაში, რომელთაგან უნდა აღინიშნოს: 1) სიმდიდრე, როგორც ღვთის ჯილდო მორწმუნე-ქრისტიანისათვის მიწიერ ცხოვრებაში; 2) კონკურენტუნარიანობა–პატიოსნება, და საქონლისა და მომსახურების მაღალი ხარისხი; 3) მომჭირნეობა და ყაირათიანობა, მფლანგველობის ნაცვლად; 4) ალკოჰოლის ზომიერი მოხმარება და ა.შ.[5]




გრფ. 3 ა). სულობრივი შემოსავლების დამოკიდებულების გრაფიკი პროტესტანტულ და არაპროტესტანტულ ქვეყნებს შორის პროტესტანტთა ზღვრული %-ის მნიშვნელობით.

გრაფიკი 3 ა).-დან ჩანს რომ შემოსავლების დამოკიდებულება პროტესტანტულ და არაპროტესტანტულ ქვეყნებში არის ერთზე მეტი და იმყოფება 4-დან 8-მდე დიაპაზონში.




გრფ. 3 ბ). საშუალო წლიური სულობრივი შემოსავალი პროტესტანტულ და არაპროტესტანტულ ქვეყნებში ზღვრული 50%-იანი მნიშვნელობით.

შემოსავლების დამოკიდებულება პროტესტანტულ და არაპროტესტანტულ ქვეყნებში უდრის 7,95. სხვა სიტყვებით პროტესტანტთა ზღვრული 50%-იანი მინშვნელობის პირობებში, პროტესტანტული ქვეყნები მსოფლიოს დანარჩენ არაპროტესტანტულ ქვეყნებთან შედარებით თითქმის 8-ჯერ მდიდარია.

დღეს პროტესტანტიზმი ხასაითდება სამყაროსადმი ახალი ურთიერთობით, ღრმა ცვლილებებით ფასეულობათა სისტემაში. პროტესტანტული მენტალიტეტისათვის ნიშანდობლივია უაღრესად პრაგმატული მსოფლაღქმა, რაციონალური ანგარიშიანობა, როგორც მოქმედების საფუძველი და ეკონომიკური წარმატების წინაპირობა. რასაც ადასტურებს კიდეც მოტანილი სტატისტიკა.

მართლმადიდებლობა. მართლმადიდებლობაში სულიერ მხარეს გააჩნია აბსოლიტური უპირატესობა მატერიალურ მხარესთან შედარებით. მორალური ცნობიერება და არა პრაქტიკული ინტერესი განსაზღვრავს საქმიანობათა შინაარს. აქ სოციალურ-ეკონომიკური მსოფლმხედველობა ეყრდნობა მართლმადიდებელ-ქრისტიანული სულიერი ფასეულობების სისტემას, რომელიც აყალიბებს მეურნეობიობის სულიერ-ზნეობრივ კრიტერიუმებსა და სტიმულებს. შრომის მნიშვნელობას განაპირობებს არა მისი პრაქტიკული, გარე უტილიტარული მხარეები, არამედ შინაგანი მოტივაციები, როგორიცაა ღვთისა და მოყვასის სიყვარული. სიმდიდრე არ წარმოადგენს პიროვნების დამსახურების მოწმობის აღიარებას ღმერთის წინაშე. უფრო მეტიც, აქცენტი კეთდება მისი შეძენის უსამართლო ცოდვილი წყაროს მაღალ ალბათობაზე. ყოველივე ეს არის მართლმადიდებლური ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ნეგატიური და ხელისშემშლელი ფაქტორები, რაც ასახულია ქვემოთ მოტანილ გრაფიკებში:




გრფ. 4 ა). სულობრივი შემოსავლების დამოკიდებულების გრაფიკი მართლმადიდებელ და არამართლმადიდებელ ქვეყნებში მართლმადიდებელ ქრისტიანთა ზღვრული %-ის მნიშვნელობით.

5 Успех в бизнесе – протестантская трудовая этика. Зкономический Кодекс Библии – Финансы и религии. bhoga.ru>Статьи

გრაფიკი 4 ა).-დან ჩანს,რომ შემოსავლების დამოკიდებულება მართლმადიდებელ და არამართლმადიდებელ ქვეყნებში ერთზე ნაკლებია თითქმის ყველა დიაპაზონში.




გრფ. 4 ბ). საშუალო წლიური სულობრივი შემოსავალი მართლმადიდებელ და არამართლმადიდებელ ქვეყნებში ზღვრული 50%-იანი მნიშვნელობით.

შემოსავლების დამოკიდებულება მართლმადიდებელ და არამართლმადიდებელ ქვეყნებში ტოლია 0,8. ეს მოწმობს იმის შესახებ,რომ მართლმადიდებელთა ზღვრული 50%-იანი მნიშვნელობის პირობებში, მართლმადიდებელი ქვეყნები არამართლმადიდებელ ქვეყნებზე 1,24-ჯერ ღარიბია.

როგორც ეს ზემოთ მოტანილი გრაფიკულ-ტექსტური ანალიზის საფუძველზე გამოჩნდა, ქრისტიანული კონფესია არა მხოლოდ დოგმატურ ნაწილში წარმოგვიდგება <წინააღმდეგობრივ ერთობად>, არამედ ასევე ჩვენი ყოფის სოციალურ-ეკონომიკურ ასპექტშიც. მსგავს შეხედულებათა ანტინომიურობა ქმნის გარკვეული სახის დისპოზიციას ერთი მხრივ კათოლიკურ-ევანგელისტურ და მეორე მხრივ მართლმადიდებლურ მსოფლხედვათა შორის,რაც განსაზღვრავს კიდეც მათ შორის არსებული მატერიალური კეთილდღეობისადმი მიდგომის ფორმებს და შესაბამისად ცხოვრების დონის ხარისხს. ეს კი გახლავთ საკმაოდ მტკივნეული თემა,რაც სამწუხაროდ დღემდე გადაუჭრელ საკითხად რჩება მსოფლიოში.

Christianity and Economics

Vasil Khizanishvili
Assistant Professor of
I.Gogebashvili Telavi State University,
PhD in Economics

At present Christianity is the most influential confession in the world's religion mosaic, which along moral and spiritual aspects, includes the aspects of agricultural life with a quite wide range. Based on the graphical or textual analysis mentioned above, religious polarization existing in its depths actually significantly contributes to different socio-economic formation of Conduct Rules, which directly effects on the well-being of the quality of the particular country. Among it the diversity of material well-being approach unfortunately still remains one of the outstanding issues.

შენიშვნა №1 - გრაფიკული მონაცემები აღებულია ელექტრონული წყაროდან: http://www.nideya.narod.ru/razdel14.htm

შენიშვნა №2 –შემოსავლებს შორის დამოკიდებულება ქრისტიან და არაქრისტიან ქვეყნებში გამოითვლება ფორმულით:

შემოსავლების დამოკიდებულება = შ.ქრ /შ.არაქრ.

სადაც,

შ.ქრ – საშუალო სულობრივი შემოსავალი ქრისტიანულ ქვეყნებში;

შ.არაქრ – საშუალო სულობრივი შემოსავალი არაქრისტიანულ ქვეყნებში;

ამ ფორმულის შესაბამისად, თუ კი შემოსავლებს შორის დამოკიდებულება ერთზე მეტია, მაშინ სულობრივი შემოსავალი ქრისტიანულ ქვეყნებში მეტია არაქრისტიანული ქვეყნების სულობრივ შემოსავალზე, და პირიქით, როცა შემოსავლებში დამოკიდებულება ერთზე ნაკლებია, მაშინ სულობრივი შემოსავალი ქრისტიანულ ქვეყნებში ნაკლებია არაქრისტიანული ქვეყნების სულობრივ შემოსავალზე. ხოლო რაც შეეხება ქრისტიანთა ზღვრულ მნიშვნელობას გამოსახულს პროცენტში, საერთაშორისო ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით როცა რომელიმე ქვეყანაში ქრისტიანები მოსახლეობის 50%-ზე ნაკლებია, მაშინ ეს ქვეყანა არაქრისტიანულია, ხოლო თუ 50%-ზე მეტია ან ტოლი, მაშინ ეს ქვეყანა ქრისტიანულია. ამ შემთხვევაში სულობრივი შემოსავლები ქრისტიანულ და არაქრისტიანულ ქვეყნებში ტოლია 5,1. შემოსავლებს შორის დამოკიდებულების გამოსათვლელი ფორმულა მოტანილია ქრისტიანულ და არაქრისტიანულ ქვეყნების მაგალითზე, რომელიც დანარჩენი კონფესიებისთვისაც მსგავსი ფორმით გამოიყენება.

# ღრუბლოვანი ტექნოლოგიების პერსპექტივები ეკონომიკური პროფილის კადრების მომზადებაში

ენვერ ლაგვილავა
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

რევაზ ხანდრავა
შ. მესხიას სახელობის ზუგდიდის
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

*სტატიაში განხილულია ეკონომიკისა და ბიზნესის სფეროში სწავლების უახლესი კომპიუტერული ტექნოლოგიების დანერგვისა და გამოყენების აქტუალური საკითხები. დღეისათვის საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზაცია ელექტრონული სწავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა. ამ პრობლემის ეფექტიანი გადაწყვეტის უახლეს ტექნოლოგიას წარმოადგენს ე. წ. „ღრუბლოვანი ტექნოლოგიები", როგორც საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზაციის ყველაზე პერსპექტიული ინსტრუმენტი.*

*ღრუბლოვანი ტექნოლოგიების გამოყენება ეკონომიკისა და ბიზნესის სფეროს ინფორმატიზაციის პროცესში იწვევს ხარისხობრივ ცვლილებებს და უზრუნველყოფს სწავლების ძირითადი პარამეტრების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, რომელიც საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვნად გაიზარდოს საგანმანათლებლო რესურსების შენახვის საიმედოობა, შემცირდეს დანახარჯები და გაიზარდოს სწავლების ეფექტიანობა.*

უკანასკნელ ათწლეულში ინტენსიურად მიმდინარეობს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გლობალური განვითარება, საზოგადოების ინფორმატიზაცია და ინფორმაციული ეკონომიკის ჩამოყალიბება. ეს პროცესი განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს განათლების სისტემას. დღის წესრიგში დადგა საგანმანათლებლო სივრცის ინფორმატიზაციის აუცილებლობა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სწავლების ხარისხის მკვეთრი ამაღლება სწავლების ყველა დონეზე. საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში დღეისთვის შექმნილია მეტნაკლებად დამაკმაყოფილებელი პირობები ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინოვაციური მოდელების ფართომასშტაბიანი დანერგვისთვის. ინფორმაციული ეკონომიკის პირობებში განსაკუთრებული მოთხოვნები წაეყენებათ ეკონომიკური პროფილის სპეციალისტების მომზადებას.

ბოლო კვლევები გვიჩვენებს, რომ ეკონომიკის პროფილის სპეციალისტებზე მოთხოვნა სტაბილურად მაღალია, მაგრამ სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება სათანადო კომპეტენციების მქონე სპეციალისტების მომზადების პრობლემა. ეროვნული განათლების რეფორმირების პროცესში ეკონომიკის პროფილის სპეციალობათა პროფესიული კომპეტენციების ფორმირებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სპეციალისტთა ეფექტიანი საქმიანობის უნარების ჩამოყალიბებას ინფორმაციული საზოგადოებისა და ინფორმაციული ეკონომიკის პირობებში, მათ მიერ ინფორმაციული სიტემებისა და ტექნოლოგიების პროფესიული გამოყენების ჩვევების ფორმირებას. ამიტომ ეკონომიკისა და ბიზნესის სფეროში სპეციალური კომპეტენციების ფორმირება თანამედროვე პროგრამულ-ტექნოლოგიური პროდუქტების გამოყენების მიმართულებით უწყვეტი პროცესია, რომელიც აქტიურად მიმდინარეობს როგორც უმაღლესი განათლების, ასევე კორპორაციულ და ინდივიდუალური სწავლების სისტემებში.

ეკონომიკისა და ბიზნესის სფეროს სპეციალისტთა პროფესიული კომპეტენციების ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ მათ მომზადებაში ეკონომიკის დარგების წინასწარ მოცემული მოთხოვნები (ნორმები), რომლებიც საჭიროა წარმატებული პროფესიული საქმიანობისთვის. სხვანაირად, კომპეტენცია ინდივიდის ცოდნის, პროფესიული გამოცდილების, მოქმედებების უნარისა და ჩვევების ერთობლიობაა, რომლებიც განაპირობებენ სპეციალობიდან, სამუშაო დავალებებიდან და თანამდებობიდან გამომდინარე მიზნების მიღწევას. ეკონომიკისა და ბიზნესის სპეციალობათა პროფესიულ კომპეტენციებში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ინფორმაციული ტექნოლოგიების პროფესიული გამოყენების კომპეტენციებს.

ეკონომიკური ინფორმაციის დამუშავებისა და ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტის სპეცი-

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

ფიკა განაპირობებს სპეციალისტთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ახალი, ეფექტიანი გზების ძიების აუცილებლობას. ეკონომიკისა და ბიზნესის სფეროს თანამედროვე სპეციალისტები ინფორმაციული ტექნოლოგიების ტრადიციული მომხმარებლებიდან ტრანსფორმირდებიან უფრო აქტიურ, შემოქმედებით მომხმარებლებად, რომელთაც მოეთხოვებათ არა მხოლოდ ღრმა ცოდნა აღნიშნული ტექნოლოგიების სფეროში, არამედ ცოდნის სისტემატური განახლება, ახალი ტექნოლოგიების ათვისება, სხვადასხვა პროგრამული და ტექნოლოგიური სისტემების ანალიზი, შედარება და საუკეთესო ვარიანტის შერჩევა. თანამედროვე სპეციალისტს უნდა გააჩნდეს კომპეტენციები ინფორმაციული ტექნოლოგიების ისეთ სფეროებში, როგორიცაა ეკონომიკურ ამოცანათა გადაწყვეტის ალგორითმიზაცია და დამოუკიდებელი მოდულების ფორმირება, პროგრამული მოდულების (პაკეტების) და ცალკეული ტექნოლოგიების კონფიგურირება (კერძო ამოცანებზე მორგება), ტექნოლოგიების ადმინისტრირება, პროექტების ავტომატიზებული მართვა, ლოკალურ და გლობალურ ბაზებთან ურთიერთობა და ა.შ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებას ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტის, მარკეტინგისა და ეკონომიკურ-სამმართველო პროფილის სხვა სპეციალობებზე. ამ სპეციელობათა ძირითადი მაპროფილებელი დისციპლინები მჭიდროდაა დაკავშირებული ინფორმატიკის ციკლის საბაზო და პროფესიული მიმართულებების დისციპლინების სწავლებაზე. მათი ძირითადი მიზანია სტუდენტებში საერთო საგანმანათლებლო და პროფესიული კომპეტენციების ფორმირება მომავალი პროფესიული საქმიანობისთვის პროგრამულ-ტექნიკური, ორგანიზაციული და საკომუნიკაციო საშუალებათა სფეროში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მყარი ცოდნის მიღების აუცილებლობა გლობალური კომპიუტერული ქსელებისა და კორპორაციული საინფორმაციო სისტემების სფეროში ინფორმაციული რესურსების მოძიების, შერჩევისა და გამოყენების თვალსაზრისით. ასევე აუცილებელი პირობაა საქმიანი ინფორმაციის დამუშავების, ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურებთან ურთიერთობებისა და კორპორაციული ქსელების გამოყენების ხერხებისა და მეთოდების ცოდნა [1].

უკანასკნელ წლებში სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში ფართოდ ინერგება თანამშრომელთა კორპორაციული სწავლების ინოვაციური სისტემები, რომელიც ეყრდნობა ჯგუფური სწავლების მეთოდს. იგი აერთიანებს სწავლების ისეთ ინტერაქტიურ ტექნოლოგიებს, როგორიცაა: საქმიანი თამაშები, კეის-დავალებები, ჯგუფური განხილვები, ტრენინგები და სხვა. კორპორაციული სწავლების ეფექტიანობა მჭიდროდაა დაკავშირებული ელექტრონულ სწავლებასა და საგანმანათლებლო რესურსებთან. ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები ელექტრონული სწავლების ერთდერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზაცია ურთულესი სამეცნიერო-ტექნოლოგიური პრობლემაა, რომელშიც ფოკუსირდება ელექტრონული სწავლების ეფექტიანობის, მეთოდიკური უზრუნველყოფის, სასწავლო კონტენტის აქტუალობის, შენახული მონაცემების საიმედოობის, კონფიდენციალობის, საავტორო უფლებების დაცვისა და სხვა მნიშვნელოვანი ასპექტები.

ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა მყარად დაიმკვიდრეს ადგილი განათლების სფეროში. დღეისთვის უმაღლესი განათლების ხარისხის დონე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ინფორმაციული ტექნოლოგიების გააზრებულ სისტემურ და ეფექტიან დანერგვაზე. ამ პროცესში უდიდეს როლს თამაშობს საგანმანათლებლო პროცესის ყველა მონაწილის კომპეტენტურობა, მათი მზადყოფნა ინფორმაციული ტექნოლოგიების უახლესი მიღწევების ათვისების, არსებული საგანმანათლებლო რესურსების გამოყენებისა და ახალი რესურსების შექმნის, შენახვისა და ექსპლუატაციისთვის.

ეკონომიკის სფეროში ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსების შექმნის, შენახვის, ორგანიზაციისა და ექსპლუატაციის პრობლემები გამოირჩევა განსაკუთრებული აქტუალობითა და მთელი რიგი სპეციფიკური ნიშნებით. აღნიშნული სპეციფიკა ძირითადად განპირობებულია ეკონომიკური ინფორმაციისა და ეკონომიკური ამოცანების კომპიუტერული დამუშავების თავისებურებებით. ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზაციის სრულყოფისთვის, სისტემატიზაციისა და უახლესი კომპიუტერული ტექნოლოგიების დასანერგად მომზადებისთვის საჭიროა მათი შინაარსისა და სტრუქტურის (შედგენილობის) განსაზღვრა. მიუხედავად აღნიშნული რესურსების უაღრესად მრავალფეროვნებისა შესაძლებელია მათი გარკვეულ ჯგუფებად დაყოფა [6]:

– ტექსტოგრაფიული რესურსები ტექსტებისა და ილუსტრაციების ელექტრონული ფორმაა. ასეთი რესურსების წიგნთან (სახელმძღვანელოსთან) დიდი მსგავსების გამო გაჩნდა

ტერმინი „ელექტრონული სახელმძღვანელო“;

– ელემენტარული აუდიო-ვიზუალური რესურსები ჩვეულებრივი კომპიუტერული ფაილებია, რომელიც შეიცავს ფოტოგრაფიას, ვიდეოჩანაწერს, მუსიკალურ ფრაგმენტს და ა.შ;

– მულტიმედიური რესურსები ყველაზე თანამედროვე, მძლავრი, საინტერესო და პერსპექტიული საგანმანათლებლო რესურსებია. ის აერთიანებს კომპიუტერის ეკრანზე ბგერით შეთანხმებულ ტექსტურ და აუდიო-ვიზუალურ ელემენტებს. ისინი შესასწავლ ობიექტს წარმოადგენენ სხვადასხვა ხერხებით. მულტიმედია კონტენტის ძირითადი დამახასიათებელი თვისებაა მისი ინტერაქტიურობა. ინტერაქტიური ელექტრონული რესურსების შემუშავება და ორგანიზება რთული ტექნიკურ-ტექნოლოგიური და მეთოდოლოგიური პროცესია იგი შეიცავს მრავალ შინაარსობრივ და სტრუქტურულ კომპონენტს, აგრეთვე მათი ინტერაქტიური წარმოდგენებისა და კავშირების პროგრამულ მოდულებს.

მულტიმედიური რესურსები, მიუხედავად უდაო ღირსებებისა სრულად ვერ აკმაყოფილებენ მასზე წაყენებულ ყველა მოთხოვნას. მაგალითად ქსელურ ტექნოლოგიებთან მიმართებაში, აგრეთვე გარკვეულწილად წინააღმდეგობაშია საგანმანათლებლო პროცესის ძირითად მოთხოვნასთან და პიროვნებაზე ორიენტირებულ სწავლებასთან.

ამჟამად იქმნება და ინერგება შემდგომი თაობის ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები და მათი ორგანიზაცია-შენახვის ახალი ტექნოლოგიები, რომლებიც აერთიანებს ზემოაღნიშნული ტიპის რესურსების დადებით მხარეებს. ელექტრონული სწავლებისა და ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზაციის სრულყოფის აშკარად პერსპექტიულ მიმართულებად უნდა ჩაითვალოს ე. წ. „ღრუბლოვანი“ ტექნოლოგიები (Cloud Computing).

ღრუბლოვან ტექნოლოგიებში მოიაზრება მონაცემთა განაწილებული დამუშავების ტექნოლოგიები, რომლის დროსაც კომპიუტერული რესურსები მომხმარებელს მიეწოდება როგორც ინტერნეტ-სერვისი. იგი წარმოადგენს უახლესი ტექნოლოგიებისა და სერვისების ერთობლიობას, რომელიც აერთიანებს ინფორმაციის შენახვისა და სისტემატიზაციის მაღალ შესაძლებლობებს ქსელური გავრცელების უპირატესობებთან და საგანმანათლებლო პროცესში სრულფასოვანი, ყოველმხრივი გამოყენების შესაძლებლობებთან.

საბოლოო ანგარიშით, მიმდინარეობს ელექტრონული სწავლების სისტემური არქიტექტურის შემდგომი გამარტივება, უნიფიკაცია და რესურსების მისაწვდომობა ნებისმიერი მომხმარებლისთვის. საქმე ეხება სწავლების ტექნოლოგიის არა მორიგ გაუმჯობესება-სრულყოფას, არამედ ხარისხობრივად და თვისებრივად ახალ ეტაპზე გადასვლას. მოსკოვის 2013 წლის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციაზე - ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიები განათლებაში - დიდი ყურადღება დაეთმო ღრუბლოვანი ტექნოლოგიების პერსპექტივებს კადრების მომზადებაში ეკონომიკის, ბიზნესისა და მენეჯმენტის სფეროებში [2].

დღეისათვის საგანმანათლებლო პროცესში ღრუბლოვანი ტექნოლოგიების საფუძველზე გამოყენებული ყველაზე გავრცელებული სერვისების სისტემას წარმოადგენს Microsoft Live Edu da Google Apps Education Edition. ისინი ვებ-დანართებია რომლებიც უზრუნველყოფენ სასწავლო დაწესებულებების მასწავლებლებსა და მოსწავლეებს სათანადო ინსტრუმენტებით, რომელთა გამოყენება ამაღლებს ურთიერთობისა და ერთობლივი სამუშაოს შესრულების ეფექტიანობას [4].

მსოფლიოს ცნობილი უნივერსიტეტები, წამყვანი სამეცნიერო ცენტრები და ბიზნეს-ორგანიზაციები, როგორც სწავლების სფეროში, ისე პრაქტიკულ-პროფესიულ საქმიანობაში უკვე წარმატებით იყენებენ ღრუბლოვანი ტექნოლოგიების სხვადასხვა სახეებს, რომლებიც ერთიანდებიან შემდეგ სამ საბაზო კლასებში (პლატფორმებში) [3,4,5]:

1. IaaS (Infrastruqture as a Servise) – „ინფრასტრუქტურა,როგორც მომსახურება“. კლიენტს ეძლევა ვირტუალურ მანქანაზე სრული წვდომა, ოპერაციული სისტემისა და ნებისმიერი პროგრამული უზრუნველყოფის დაყენებისა და გადაწყობის შესაძლებლობებით. IaaS მოდელი გულისხმობს, რომ კლიენტს შეუძლია დამოუკიდებლად მართოს პროცესების რაოდენობა, ვირტუალური მანქანისა და ქსელური კომუნიკაციების ოპერატიული და დისკური მეხსიერების მოცულობა, სერვისის მომხმარებლის სახით გამოდის როგორც დაშორებული კლიენტი, ისე თვით „ღრუბლის“ მართვის სისტემა, რომელიც იყენებს IaaS-ს უფრო მაღალი დონის სერვისების შესაქმნელად. IaaS სერვისი ითვალისწინებს კლიენტის სრულ პასუხისმგებლობას პროგრამული უზრუნველყოფის უსაფრთხოებაზე, შრომის უნარიანობასა და გამოყენების კანონიერებაზე. ღრუბლის ოპერატორს ეკისრება მხოლოდ პასუხისმგებლობა

აპარატული პლატფორმის ფუნქციონირებაზე, უსაფრთხოებასა და საიმედოობაზე.

2. PaaS ( Platform as a Servise) – „პლატფორმა, როგორც მომსახურება". კლიენტს აძლევს ოპერაციულ სისტემაზე, დაშორებულ სამუშაო მაგიდაზე, მონაცემთა ბაზებზე და და გარკვეულ სერვისებზე შეზღუდულ წვდომას. ამ შემთხვევაში „ღრუბლის" ოპერატორს ეკისრება სისტემური პროგრამული უზრუნველყოფის დაყენება და გამართვა, სათანადო სალიცენზიო შეთანხმებების დაცვა და უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფა. კლიენტს აქვს შესაძლებლობა დააყენოს, გამართოს და გამოიყენოს გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფა, პასუხს აგებს მის უსაფრთხოებაზე და სალიცენზიო უფლებების დაცვაზე.

3. SaaS ( Software as a Servise) – „გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფა, როგორც მომსახურება", გვთავაზობს გამოყენებით პროგრამულ უზრუნველყოფაზე ონლაინ წვდომას. ამასთან, პროგრამული უზრუნველყოფის გამართვა, უსაფრთხოების და სალიცენზიო შეთანხმებათა უზრუნველყოფა ეკისრება „ღრუბლის" ოპერატორს.

უდაოდ საინტერესოა იდეა სერვისისა – KaaS (Knowledge as a Servise) – „ცოდნა, როგორც მომსახურება", რომელიც გულისხმობს „ღრუბლოვან" სერვისებს, რომელიც შეიცავს კონკრეტულ სფეროში გადაწყვეტილების მიღების მხარდასაჭერად საყოველთაოდ აღიარებულ დაგროვილ ცოდნას და იძლევა მისი გამოყენების ტექნოლოგიურ შესაძლებლობებს.

ღრუბლოვანი სერვისების ძირითადი კლასები შესაძლებელია დაჯგუფდეს [3]:

– როგორც სერვისების იერარქია დაბალი დონიდან მაღლისკენ – „IaaS – PaaS – SaaS – KaaS", რომელშიც ყოველი ზედა დონე იყენებს ქვედა დონის რესურსებს;

– სპეციალიზაციის თვალსაზრისით – „ღრუბლები" რესურსებით მომსახურების – IaaS, PaaS და სერვისებით მომსახურების – SaaS, KaaS, ხოლო მათ ბაზაზე შეიძლება აიგოს ნებისმიერი დანიშნულების მოქნილი „ჰიბრიდული ღრუბელი".

„ღრუბლოვანი" ტექნოლოგიების ინტეგრაცია ტრადიციულ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან, ასევე, მათი განვითარების ტენდენციების ანალიზი საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ „ღრუბლოვანი" ტექნოლოგიები უახლოეს პერსპექტივაში გახდებიან სახელმწიფოსა და საზოგადოების საქმიანობის უმთავრეს სფეროებში – სამეცნიერო-ტექნიკური, სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური – კონკურენტუნარიანობის ამაღლების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტები. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ტექნოლოგიების განათლების, განსაკუთრებით ეკონომიკური განათლების სისტემაში ფართოდ გამოყენებას აქვს სტრატეგიული მნიშვნელობა. „ღრუბლოვანი" ტექნოლოგიების ეკონომიკური განათლების სფეროში გამოყენების ძირითადი მიზანია საგანმანათლებლო პროცესის ახალი, უფრო მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, რომელიც იქნება სახელმწიფოსა და საზოგადოების ინოვაციური განვითარების ადექვატური.

განათლების სფეროში „ღრუბლოვანი" ტექნოლოგიების გამოყენებამ უნდა უზრუნველყოს ისეთი მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტა, როგორიცაა:

– საგანმანათლებლო დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და კერძო პირებისთვის მუდმივად განვითარებადი და განახლებადი კომპიუტერული ინფრასტრუქტურის, პროგრამული საშუალებების, ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსებისა და სერვისების შეუფერხებელი გამოყენების შესაძლებლობა;

– სასწავლო დაწესებულებების, კორპორაციებისა და კერძო პირების (ინდივიდუალურად შემსწავლელთა) ხარჯების შემცირება ლოკალური ინფორმაციული ინფრასტრუქტურის შექმნაზე „ღრუბლებში" განთავსებული გამოთვლითი რესურსების ეფექტიანი გამოყენების საფუძველზე.

რაც შეეხება ეკონომიკისა და ბიზნესის დისციპლინათა სწავლებას, ამ სფეროში „ღრუბლოვანი" ტექნოლოგიების გამოყენება მკვეთრად დააჩქარებს და გააღრმავებს შემდეგი აქტუალური ამოცანების გადაწყვეტას:

– მოსწავლეთა უწყვეტი წვდომა საგანმანათლებლო რესურსებზე;

– თანამედროვე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსების შემუშავება, სრულყოფა და ფართოდ დანერგვა;

– ინფორმაციული რესურსების ჰოსტინგის მაღალი დონე და საგანმანათლებლო პროცესის სუბიექტთა დისტანციური ურთიერთობა;

– განათლების სისტემაში სამმართველო პროცესების სრულყოფა.

უკანასკნელ წლებში დინამიურად ვითარდება მონაცემთა ღრუბლოვანი შენახვის სერვისები, როგორიცაა: Wuala, Dropbox, Ubuntu One, Google, Drive, Iandex Duck და სხვა. მონაცემების შენახვა და დამუშავება ხდება ე.წ. „ღრუბელში", რომელიც მომხ-

მარებლის თვალსაზრისით წარმოადგენს ერთ მთლიან ვირტუალურ სერვერს. მონაცემთა გადატანა ღრუბლოვან საცავებში მომხმარებლებს არა მხოლოდ ათავისუფლებს სხვადასხვა ზედმეტი მოწყობილობებისგან, არამედ უზრუნველყოფს ინფორმაციის დაცულობის მნიშვნელოვნად მაღალ ხარისხს.

სასწავლო დაწესებულებებში საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზაციისთვის ყოველ მომხმარებელს (სტუდენტს, პედაგოგს, თანამშრომელს) მონაცემთა ცენტრალურ საცავში გამოეყოფა ვირტუალური მეხსიერების პირობითი სივრცე. მასზე წვდომა ხორციელდება პირადი სააღრიცხვო მონაცემებით. „ღრუბლის" მომხმარებლებს შეუძლიათ თავიანთ მონაცემებს მიმართონ ნებისმიერ მომენტში, მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან, სადაც არსებობს ინტერნეტის ქსელი. ცხადია, ღრუბლოვანი ტექნოლოგიები და სერვისები ფართოდ გავრცელდება დისტანციური და მობილური სწავლების სფეროებში.

ამჟამად ფუნქციონირებს კერძო კორპორაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ ღრუბლოვანი სერვისების საკმაოდ ფართო სპექტრის რეალიზაციას. ამ ეტაპზე მათი მომსახურეობა დაკავშირებულია არც თუ მცირე დანახარჯებთან. პარალელურად ვითარდება და სწრაფად ვრცელდება ე. წ. თავისუფალი (უფასო) სისტემები. ღრუბლოვანი საცავების ორგანიზაციის სფეროში გამოიკვეთა თავისუფალი სერვისი owncloud, რომლის რეალიზაციისთვის საკმარისია სერვერი PHP ინტერპრეტატორისა და SQL ოჯახის ერთ-ერთი მონაცემთა ბაზის მხარდაჭერით. აღნიშნული სერვისი არ მოითხოვს მომხმარებლის კომპიუტერზე დამატებითი პროგრამული უზრუნველყოფის დაყენებას და მუშაობს სხვადასხვა ოპერაციული სისტემების გარემოში. აღსანიშნავია owncloud სისტემის შესაძლებლობა, შესაბამისი უტილიტების გამოყენებით დაუკავშირდნენ Android და iOS ოპერაციული სისტემებზე მომუშავე სმარტფონებსა და პლანშეტებს. ეს გარემოება განსაკუთრებით შეუწყობს ხელს მისი პოპულარობის ზრდას დისტანციური სწავლების სფეროში.

საგანმანათლებლო პროცესში ღრუბლოვანი საცავების გამოყენება არსებითად გააუმჯობესებს ტრადიციული ელექტრონული სწავლების მახასიათებლებს და წარმოშობს რიგ ახალ შესაძლებლობებს [2]:

- ელექტრონულ რესურსებზე წვდომის უნივერსალური ვებ-ინტერფეისის გამოყენება. მისი უმთავრესი თვისებაა მომხმარებლისთვის მაქსიმალური კომფორტის შექმნა სიმარტივისა და პროგრამული უზრუნველყოფის პლატფორმაზე დამოუკიდებლობის გამო;
- ელექტრონული სასწავლო მასალების დათვალიერება პირდაპირ საცავებიდან ლოკალურ (ინდივიდუალურ) სისტემებში მათი გადატვირთვის გარეშე;
- ტექსტური ფაილების ონლაინ რედაქტირების შესაძლებლობა;
- ცალკეულ ფაილებზე სხვადასხვა მომხმარებლების ერთობლივი წვდომის შესაძლებლობა;
- ფაილების დაცულობის მაღალი დონის უზრუნველყოფა;
- მონაცემთა ცვლილებების მეთვალყურეობა და ნებისმიერ მომენტში ძველი მონაცემების აღდგენის შესაძლებლობა;
- სერვერიდან სერვერზე მონაცემთა გადატანის შესაძლებლობა (მომხმარებლის სხვა ორგანიზაციაში გადასვლის შემთხვევაში);
- სტანდარტული შესაძლებლობების გაფართოების საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფენ სერვისის ადაპტაციას, როგორც საგანმანათლებლო პროცესში ზოგადად ისე კონკრეტული სასწავლო დაწესებულებისთვის;
- ჩართული კალენდრისა და დამგეგმვის არსებობა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის დაგეგმვას, სხვადასხვა სამუშაოთა სინქრონიზაციას, გრაფიკების შედგენას და ა.შ.

ღრუბლოვანი სერვისებისა და ტექნოლოგიების დანერგვა ეკონომიკისა და ბიზნესის სფეროში, როგორც სასწავლო დაწესებულებების, ასევე კორპორაციული და ინდივიდუალური სწავლების სისტემებში გამოიწვევს მთელ რიგ პოზიტიურ შედეგებს:

- მომხმარებელი (კორპორაციული და ინდივიდუალური) მნიშვნელოვანწილად თავისუფლდება ისეთი პრობლემებისგან, როგორიცაა ინფორმაციული და პროგრამული საცავების გამართვა, მათი აქტუალიზაცია და მომსახურება;
- ეკონომია (დანახარჯების შემცირება) დიდ გამოთვლით სიმძლავრეებზე და პროგრამული უზრუნველყოფის შეძენაზე, ასევე კომპიუტერული ქსელებისა და პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურე პერსონალზე;
- ტერიტორიალურად გაბნეული, არათანაბარი ტექნიკური და ტექნოლოგიური ბაზების მქონე სასწავლებლების სასწავლო პირობების გათანაბრება;
- მოსწავლეთა ინდივიდუალური მუშაობის მაქსიმალური დაახლოება კორპორაციულ სასწავლო პირობებთან;

- ღრუბლოვანი სერვისების პროვაიდერების როლში ცნობილი ბრენდული ფირმების (Mikrosoft, Google და სხვა) ყოფნა მაქსიმალურად გაზრდის სასწავლო ტექნოლოგიების საიმედოობას;
- ეკონომიკური განათლების სფეროში ღრუბლოვანი ტექნოლოგიების გამოყენება განსაკუთრებით ააქტიურებს ვირტუალური სასწავლო გარემოს შემუშავებას და გამოყენებას;
- ვირტუალური სასწავლო საწარმოები, ოფისები, ბუღალტერია, ბანკები და ა.შ. უკვე აღარ იქნებიან ლოკალური ობიექტები, ისინი მისაწვდომი და გამაერთიანებელნი იქნებიან სხვადასხვა სასწავლებლების, ფაკულტეტების, დაწესებულებებისა და ინდივიდუალურად შემსწავლელებისთვის;
- ღრუბლოვანი სერვისების მომხმარებლების დამკვეთთა აქტიური მონაწილეობით შესაძლებელია „ერთობლივი“ სასწავლო გეგმების შედგენა, მათი სტატისტიკური დამუშავება და კორექტირება. აღნიშნული გააუმჯობესებს სასწავლო პროცესის მენეჯმენტს, გაიზრდება საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანობა, რაც საბოლოო ანგარიშით ხელს შეუწყობს მოსწავლეთა პროფესიული მომზადების დონის ამაღლებას.

ღრუბლოვანი ტექნოლოგიებისა და სერვისების დანერგვა, თავის მხრივ, ქმნის აქტიურ გარემოს საზოგადოების ინფორმატიზაციისა და განათლების სფეროში უწყვეტი ინოვაციური ცვლილებებისთვის. დააჩქარებს და ხელს შეუწყობს უწყვეტი სწავლების პრინციპების განხორციელებას სწავლების ყველა ეტაპზე.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლაგვილავა ე., ხაინდრავა რ. ინფორმატიკისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სწავლების სრულყოფის საკითხები. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზ/ფ შრომები III. “ინოვაცია”, 2007. გვ.114–120.

2. Лагвилава Е. Хаиндрава Р. Вопросы применения облачных технологий в бизнес-образовании. Материалы международной научно-практической конференции “Современное управление. Стратегические императивы”. 22-23 мая, Киев, 2014.

3. Абламейко С. В. и др. Перспективы применения облачных технологий в системе образования республики Беларусь. Минск. 2012. http://elib.bsu.by/handle/123456789/29783

4. Газейкина А. И., Кувина А. С., ПРИМЕНЕНИЕ ОБЛАЧНЫХ ТЕХНОЛОГИЙ В ПРОЦЕССЕ ОБУЧЕНИЯ ШКОЛЬНИКОВ. http://cyberleninka.ru/article/n/primenenie-oblachnyh-tehnologiy-v-protsesse-obucheniya-shkolnikov.

5. ГорожановА.И., ЭВОЛЮЦИЯ “ОБЛАЧНЫХ” ТЕХНОЛОГИЙ: CLOUD COMPUTING – CLOUD INTELLIGENCE – CLOUD UNIVERSITY. http://scjournal.ru/articles/issn_1997-2911_2013_1_16.pdf.

6. Осин Александр. Электронные образовательные ресурсы нового поколения. Институт ЮНЕСКО, М., 2011. http://unesdoc.unesco.org/images/0021/002157/215784r.pdf.

## The prospects of Cloudy technology for preparing economic-profile personnel

Enver Lagvilava
Assosiated Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Revaz Khaindrava
Assosiated Professor,
Shota Meskhia Zugdidi State Educational University

The paper focuses on the implementation and application of innovative computer technology in economics and business. The organization of educational resources still remains one of the main problems in electronic learning. In this respect cloudy technology, one of the latest technical achievements is considered as the most promising tool for effective solution of above mentioned problem.

The application of Cloudy Technology in the informatization of economic and business education will provide qualitative changes and essential improvement of basic parameters for teaching. It will decrease the expenses, ensure the security of educational resources and improve the effectiveness of teaching.

# საარსებო მინიმუმის კვეცა მოსახლეობის მკვლელობაა



პაატა კოღუაშვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

*ნაშრომში მსჯელობა ეხება საქართველოსთვის ისეთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას, როგორსაც მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების დაცვა წარმოადგენს. მიჩნეულია, რომ სასურსათო უსაფრთხოების საიმედო დაცვის უზრუნველსაყოფად საკუთარი წარმოების ხვედრითმა წილმა სასურსათო რესურსებში უნდა შეადგინოს 80-85% (ქვედა ზღვარია 60%). ავტორის კვლევები კი უჩვენებენ, რომ საქართველოში აღნიშნული მაჩვენებელი გაცილებით დაბალია, რაც დიდ ყურადღებას მოითხოვს ქვეყნის ხელისუფლების მხრიდან.*

*შემოთავაზებულია სასურსათო და საარსებო მინიმუმის გაზრდასთან დაკავშირბით წინადადებები. დასაბუთებულია, თუ რა უნდა მიგვაჩნდეს სასურსათო უსაფრთხოებად, რაოდენ დიდ საფრთხეს შეიცავს პრობლემის გადაუჭრელობა და რომ ხელისუფლებას ეს უნდა მიაჩნდეს თავის უპირველეს მოვალეობად.*

*ნაშრომის ბოლოს ავტორი იძლევა რეკომენდაციებს ამ დარგში მდგომარეობის გამოსასწორებლად.*

სასურსათო პრობლემისადმი საქართველოში დამკვიდრებული დამოკიდებულება და მისი რაოდენობრივ-ხარისხობრივი მახასიათებლების არსებული პარამეტრები, არა მარტო საფრთხეს უქმნის ფიზიოლოგიური ნორმებით მოსახლეობის გამოკვებას, არამედ პრაქტიკულად გამორიცხავს ქვეყნის შემდგომ ინტეგრირებას მსოფლიო ეკონომიკაში და მთლიანობაში საფრთხის ქვეშ აყენებს ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარების პერსპექტივას.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში უხეშად ირღვეოდა სასურსათო უსაფრთხოე ბის პრინციპები, სურსათის მოხმარების ნორმები და აქედან გამომდინარე, წლიდან წლამდე უარესდებოდა მოსახლეობის ჯანმრთელო ბის მდგომარეობა.

სრულფასოვანია სურსათი, თუ იგი საკმარისი რაოდენობით შეიცავს ადამიანის ჯანმრთელობისათვის აუცილებელ ინგრედიენტებს: ცილებს, ცხიმებს, ნახშირწყლებს, ვიტამინებს, მიკროელემენტებს, ხელისუფლება ვალდებულია მოსახლეობას შეუქმნას ისეთი სოციალური პირობები, რომ მან შეძლოს ჯანმრთელობისთვის აუცილებელი რაოდენობის დაბალანსებული საკვების შეძენა-მოხმარება. კერძოდ, ფიზიოლოგიური ნორმების შესაბა მისად, საკვებ რაციონში პური უნდა შეადგენდეს დღეში – 350 გრამს, ხორცი – 200 გრამს, რძე და რძის ნაწარმი – 960 გრამს, კარტოფილი – 170 გრამს, ბოსტნეული – 370 გრამს, ხილი – 210 გრამს, თევზი – 50 გრამს, ცხიმი – 30 გრამს, შაქარი – 100 გრამს.

ეს ნორმები ემყარება საერთაშორისო ნორმებს და გათვალისწინებულია საშუალო ასაკის 70 კგ, მსუბუქი შრომით დაკავებული 31-50 წლის მამაკაცისათვის (იგივეა 60 კგ წონის ქალისათვის) და შეადგენს 2800 კკალ დღეში. ეს მონაცემები მართალია პერიოდულად იცვლება ასაკის, წონის, გეოგრაფიული გარემოს და სხვა ფაქტორების გავლენით, მაგრამ არა არსებითად.

დღეს საკვების მოხმარების ფიზიოლოგიური ნორმები ძალზე უხეშადაა დარღვეული. განსაკუთრებით დაბალია სასიცოცხლოდ აუცილებელი ცილოვანი საკვების მოხმარება (ხორცის მოხმარება შემცირებულია – 2,5-3-ჯერ, თევზის –

4-5-ჯერ, რძის პროდუქტების 2 3-ჯერ), ცილოვანი დეფიციტი კი საშიშია ადამიანის ჯანმრთელობისთვის, განსა კუთრე ბით ბავშვების, მოზარდებისა და ხანდაზმულებისთვის.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ჩატარებულმა კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ხორცის მოხმარება (საშუალოდ) მოსახლეობის კვების რაციონში, გამოხატული კალორიებში, 3-5%-ს არ აღემატება, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობისთვის კი – 1%-ს.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ქვეყანა, რომელიც თვითონ იყო ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტიორი, 2-3-ჯერ ნაკლებს მოიხმარს ამ პროდუქციას, ვიდრე განვითარებული (იტალია, გერმანია და სხვა) და ასევე პოსტსაბჭოთა ქვეყნები (რუსეთი, უკრაინა), რაც ჩვენი მოსახლეობის უკიდურესად დაბალი მსყიდველობითი უნარით უნდა აიხსნას.

საყურადღებოა პურისა და პურპროდუქტების (ხორბლეულის ჩათვლით) მოხმარების მაღალი მაჩვენებელი: მაგალითად, პურისა და პურპროდუქტების მოხმარება 1,8-2,0-ჯერ მეტია ფიზიოლოგიურ ნორმასთან შედარებით, რის გამოც საკვები რაციონის ენერგეტიკული ღირებულების თითქმის 62% პურპროდუქტებზე მოდის.

ყოველივე ეს მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილი დაბალი მსყიდველუნარიანობის გამო ძირითადად პურით იკვებება და დღიური რაციონის ენერგეტიკული ღირებულების კომპენსაციას პურით ახდენს (განვითარებულ ქვეყნებში პურის წილი საკვებ რაციონში 12-15%-ს არ აღემატება). ასეთი დისბალანსი საკვებ რაციონში ბუნებრივია, პათოლოგი ურ ცვლილებებს, ჯანმრ თელობის გაუარესებას და სავალალო შედეგებს იწვევს, რაც გამოიხატება კიდეც ბოლო წლების სტატისტიკაში (განსაკუთრებით თვალშისაცემია ბავშვთა სიკვდილიანობა, რითაც ჩვენ პირველ ადგილზე ვართ ევროპაში და ზოგადად, ქვეყანაში აღინიშნება ფატალური შედეგებით ავადობის მკვეთრი მატება).

საჭიროა აღინიშნოს, რომ 2009 წლის შემდეგ ჩვენ არ გვაქვს მწირი ინფორმაციაც კი მოსახლეობის მიერ სურსათის მოხმარების მდგო მარეობის შესახებ, რადგან 2010 წლიდან სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში გაუქმებულ იქნა მასთან არსებული „სასურსათო უსაფრთხოების ობსერ ვა ტორია“ და ფაქტობრივად არ მიმდინარეობს არანაირი კვლევა და სტატი სტი კურ მონაცემთა დამუშავება სასურსათო უსაფრთხოების თემატიკაზე.

აღსანიშნავია ის, რომ 2004-2011 წლებში ადგი ლი ჰქონდა სასურსათო პროდუქციის მოხმარების არა თუ შემდგომ გაზრდას და მდგომარეობის რამდენადმე გამოსწორებას, არამედ მოხდა პირიქით და მოხმარების მაჩვენებლები კიდევ უფრო დაშორდა ფიზიოლოგიურ ნორმებს, კერძოდ: ხორცი და ხორც პრო დუქტები – თითქმის 2,5-ჯერ, რძე და რძის პროდუქტები – 2,7-ჯერ, ბოსტ ნეული – 2,5-ჯერ, კვერცხი – 2,7-ჯერ.

საქართველოს მოსახლეობის 50% გაეროს მიერ განსაზღვრულ მინიმუმზე – 2150 კკალორიაზე ნაკლებს იღებს, ხოლო 22% კი კრიტიკულზე – (1800 კკალ-ზე) გაცილებით ნაკლებს – 1600 კკალორიას. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ თვით რაციონის ხარისხობრივ შემადგენლო ბას და იმ ფაქტს, რომ ამ კალორიების ნახევარზე მეტი პურზე მოდის, მოსახლეობისჯანმრთელოის მდგომარეობა კომენტარს აღარ საჭიროებს.

ყოველივე ეს მიანიშნებს მასზედ, რომ უკანასკნელ პერიოდში საქმე გვქონდა სასურსათო გენოციდთან, რასაც ნებსით თუ უნებლიედ ახორციელებდა ყოფილი ხელისუფლება საკუთარი ხალხის მიმართ.

ამ მიმართულებით განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ჯერ კიდევ 2003 წელს NATO-ს სოფლის მეურნეობის დაგეგმვის კომიტეტმა (FAPC), საქართველოს მოსახლეობის მიერ სურსათის მოხმარების მაჩვენებლები საგანგაშოდ ჩათვალა და მოსახლეობის სურსათით უზრუნველ ყოფის მდგომარეობა საგანგებოდ შეაფასა, მიუთითა შესაბამის სასწრაფო ღონისძიებებზე მდგომარეობის გამოსასწორებლად. მაშინდელმა ხელისუფლებამაც არ დააყოვნა და NATO-ს მიერ საგანგაშოდ შეფასებული, სურსათის მოხმარების მაჩვენებლე ბი იმავე 2003 წლის 8 მაისის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბრძანებით №111-ნ დაამტკიცა „ნორმად“ (სადაც სურსათის კალორიულობა შეფასებულია 2300 კკალ). ამ ბრძანების თანახმად, ხორცის მოხმარების მაჩვენებელი 80 გრ/დღ ჩაითვალა „ნორმად“, რომელიც 2,5-ჯერ ჩამორჩება საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმას (200 გრ/დღ), რძისა და რძის პროდუქტების ნორმა შემცირდა 4,5-ჯერ (!) 960 გრამიდან 215 გრამამდე, ბოსტნეულის განახევრდა 370 გრამიდან 182 გრამამდე, შაქარი შემცირდა 100 გრამიდან 55 გრამამდე. ხოლო პურის მოხმარების ნორმა – 350 გრამიდან გაზრდილია 400 გრამამდე დღეში.

ამრიგად, ფიზიოლოგიურ ნორმად ჩაითვალა მინიმალური საკვების ის რაოდენობა, რის მიღებასაც მოსახლეობა ახერხებდა და მოხმარების მაჩვენებელიც ახალ „ნორმებს“ დაუახლოვდა,

ზოგიერთი პროდუქტისთვის გადააჭარბა კიდეც (რძე და რძის ნაწარმი). ასე მარტივად „მოგვარდა“ სასურსათო უსაფრთხოების დარღვევის საგანგაშო მდგომარეობა, ბიუჯეტიდან ხარჯების გაწევის და სათანადო ღონისძიებების გატარების გარეშე და ამ ე.წ. „ნორმების“ მიხედვით ჩვენი მოსახლეობის მიერ სურსათის მოხმარების ვიზუალური სურათი „არც თუ ისე სავალალოდ“ გამოჩნდა.

ასევე საინტერესოა 2011 წლის ივნისში აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტა მენტის მიერ (www.choosemyplate.gov) გამოქვეყნებული სურსათის რეკომენდებული ნორმები. მათთან ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებისთვის განსაზღვრული „ახალი ნორმების“ შედარებით აღმოჩნდა, რომ საქართველოს ზრდასრული, შრომისუნარიანი მამაკაცისთვის (31-50 წ.) განსაზღვრული ნორმა ბევრად ჩამორჩება არა მარტო იგივე კატეგორიის აშშ-ის მოქა ლა ქისთვის რეკომენდებულ ნორმას (კერძოდ, ხორცზე – 2,3-ჯერ, რძესა და რძის პროდუქ ტებზე – 3,2-ჯერ, ბოსტნეულზე – 3,2-ჯერ, ხილზე – 2,3-ჯერ რაც, ბუნებრივია, გაკვირვებას არ იწვევს, რადგან 2003 წლამდე ჩვენთან არსებულ ნორმებთან შედარებითაც იგივე სურათია), არამედ ნაკლებია 3,5-4 წლის ბავშვის ნორმაზეც კი (შ. ჩხეიძე).

როგორც აღნიშნული ბრძანების სათაურიდან („საკვებ ნივთიერებათა და ენერგიაზე ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებისა და საარსებო მინიმუმის განსაზღვრისა თვის საჭირო სასურსათო კალათის შემადგენლობის ნორმებისა და ნორმატივების დამტ კიცების შესახებ“) ირკვევა, აღნიშნული ღონისძიების გატარება ძირითადად ე.წ. „სასურსათო კალათის“ ღირებულების შემცირების მიზნით მოხდა, რათა შემცირებულიყო ე.წ. „საარ სებო მინიმუმის“ ღირებულება, როგორმე დაახლოებოდა მოსახლეობისთვის გაცემულ პენსიებსა თუ სხვა შემწეობებს. ამ მიზნით სასურსათო კალათაში მნიშვნელოვნად შემცირდა ძვირადღირებუ ლი პროდუქციის ჩამონათვალი და გაიზარდა შედარებით იაფი პროდუქციის რიცხვი.

სამწუხაროდ, ამ დანაშაულებრივი ღონისძიების გადახედვით და გამო ს წო რებით დღემდე არც ახალი მთავრობა დაინტერესებულა და სასურსათო კალათას და მისგან გამომდინარე საარსებო მინიმუმს ამ ნორმებით ანგარიშობს (ზოგადად სასურველი იქნებოდა სურსათის მოხმარების ნორმები იცვლებოდეს არა მთავრობის ცვლასთან ერთად, არამედ ზაფხულ-შემოდგომის და ზამთარ-გაზაფხულის პერიოდების მიხედვით).

ეს „ახალი სასურსათო კალათა“ 2014 წლის აპრილის მდგომარეობით 108.92 ლარის ღირებულების საარსებო მინიმუმს იძლევა, რაც მაინც მიუწვდომელია მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის.

ჩვენს მიერ (პ. კოღუაშვილი, მედიცინის დოქტორი დ. კეზელი, ეკონომიკის დოქტორი გ. ზიბზიბაძე) პრობლემის სპეციალური შესწავლით (რომელიც საყოველთაოდ აღიარებულ მეთოდიკას ეყრდნობა) დადგინდა, რომ საქართველოში საარსებოდ მიღებული მინიმალური ნორმის შესაბამისი სასურსათო კალათის რეალური ღირებულება 156 ლარია, რომელიც 30.2 პროცენტით აღემატება ოფიციალურად მიღებულ – 108.92 ლარს.

საარსებო მინიმუმის გაანგარიშება სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ხორციელდება ე.წ. ნორმატიულ-სტატისტიკური მეთოდის საფუძველზე – მიჩნეულია, რომ სურსათის წილი ამ მაჩვენებელში უნდა შეადგენდეს 70 პროცენტს (რაც არასწორია, რადგან ადამიანს, როგორც გონიერ არსებას სხვა მოთხოვნილებებიც გააჩნია. განვითარებული მსოფლიოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ აღიარებულია, რომ ეს მაჩვენებელი საარსებო მინიმუმში 15-30% ფარგლებში უნდა მერყეობდეს), დანარჩენი 30 პროცენტით კი უნდა დაიფაროს ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის არასასურსათო საქონლისა და მომსახურების ღირებულება. ეს ნიშნავს იმას, რომ რეალური საარსებო მინიმუმის ღირებულება – 222.85 (156+66.85) ლარი, 1,43-ჯერ მეტი იქნება დადგენილ – 155.6 (108.92+46.68) ლარზე თვეში. სასურსათო და სამომხმარებ ლო ხარჯების გათანაბრების (0.5/0.5) შემთხვევაში (რაც სწორი და სავსებით მისაღები გადაწყვეტილება იქნება), საარსებო მინიმუმის ღირებულება 312 (156+156) ლარს გაუტოლდება (ცნობისათვის, ეს მაჩვენებელი აზერბაიჯანში – 328 ლარია, სომხეთში – 230 ლარი, რუსეთში – 390 ლარი, ესტონეთში – 520 ევრო, სლოვენიაში – 830 ევრო, აშშ-ში 902,5 დოლარი, ნორვეგიაში – 2100 ევრო).

2006 წლის შემდეგ საარსებო მინიმუმის ამჟამად მოქმედ მეთოდოლოგიაზე გადასვლისას მყისიერად, 30 პროცენტით შემცირდა მისი ღირებულება (დაბალანსებული კვების რაციონის ნაცვლად ნორმატიულ ბაზაში შეტანილ იქნა შედარებით ნაკლებად ღირებული კვების პროდუქტები, ანუ მაქსიმალურად შეიზღუდა ცხოველური წარმომავლობის კვების პროდუქტების წილი). აღსანიშნავია, რომ საარსებო მინიმუმის ახლანდელ

კალათაში სურსათის კალორიულობა შეფასებულია 2300 კკალ-ის დონეზე, რაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდებულ ნორმაზე (2450 კკალ) საგრძნობლად ნაკლებია. ჩვენს მიერ შესრულებული გაანგარიშება ამ უკანასკნელ ნორმას ემყარება.

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს საარსებო მინიმუმში სურსათისა და დანარჩენი სამომხმარებლო საქონლის თანაფარდობა პროპორციით 0.7/0.3. ეს პროპორცია სასწრაფოდაა შესაცვლელი – უნდა მკვეთრად შემცირდეს სასურსათო კომპონენტის წილი და გაიზარდოს არასასურსათო კომპონენტის წილი (ეს იმ დროს, როდესაც ინფლაციის გასაანგარიშებელ კალათაში სურსათის წილი წლიდან წლამდე მცირდება და ამჟამად 30 პროცენტს არ აღემატება). ამ შემთხვევაში, თვით ამჟამად მოქმედი მინიმალური სასურსათო ნორმისა და სადღეღამისო კალორიულობის შენარჩუნების შემთხვევაში, მნიშვნელოვნად გაიზრდება საარსებო მინიმუმის ღირებულება (108.92+108.92 =217.84 ლარი).

აღნიშნული ცვლილებით საარსებო მინიმუმის ღირებულება საგრძნობლად მიუახლოვდება მის ფაქტობრივ დონეს, ამით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგმება აგრეთვე ამჟამად კატასტროფულად დაშორებული „საარსებო მინიმუმისა“ და „სიღარიბის“ ცნებათა შინაარსობრივ დაახლოებისაკენ.

დასკვნის მაგიერ. მიმაჩნია, რომ მოსახლეობის საარსებო მინიმუმი (სასურსათო და სამომხმარებლო ხარჯები) რეალურად უნდა უზრუნველყოფდეს ადამიანის საარსებო მოთხოვნილებას. მხოლოდ ასეთი მიდგომის განხორციელების შემდეგ შეიძლება საუბარი მოსახლეობის უდიდესი ნაწილის კეთილდღეობის დონის ამაღლებაზე, რაც კვების რაოდენობრივ-ხარისხობრივი მაჩვენებლების და, უპირველესად, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრ გაუმჯობესებაში უნდა გამოიხატოს.

Reducing the minimum wage is killing of population

Paata Koguashvili
GTU Full Professor

In the article it’s been discussed the problem having the greatest importance in Georgia –the protection of population’s food safety. In order to ensure the food safety it is considered that the share of local production of food resources must consist of 80 to 85 percent (minimal cut-off is 60 per cent). The researches made by the author show that the above-mentioned indicator is much lower. The fact needs to be considered and arranged by the government.

In the article there are given the recommendations and suggestions about enhancement of food and minimum living age level. It is proved what should be considered as food security and what kind of threats will be cause by the failure of these problems. The article outlines that the government must consider this matter as its primary duty.

In the end of the article the author offer recommendations of improving the existing situation in this field.

# სასურსათო ბაზრის განვითარებაზე მოქმედი ძირითადი ფაქტორები

თენგიზ ლაჩყეპიანი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
სასწავლო უნივერსიტეტის „ვიტა ჯორჯია“ ასოცირებული პროფესორი

ნინელი თევდორაშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

*ნაშრომში განხილულია თანამედროვე სასურსათო ბაზრის წინაშე მდგარი პრობლემები, რომლებზეც მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას. ეს ფაქტორები განხილულია დამახასიათებელი ნიშნების მიხედვით და დაჯგუფებულია კლასებად, რომლებიც ანალიზის საუკეთესო საშუალებას იძლევიან. აგრეთვე განხილულია მოთხოვნის და მიწოდების სტიმულირების ხერხები და დასახულია ის ღონისძიებები რომლიც ხელს შეუწყობს სასურსათო ბაზრის განვითარებას.*

გასული საუკუნის 90-ანი წლების შემდგომ პერიოდში განხორციელებული აგრარული რეფორმისა და ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების დანერგვის შედეგად ძირეულად შეიცვალა სურსათით მომარაგებისა და ვაჭრობის სისტემაც. გაუქმდა საკმაოდ ორგანიზებული და ეფექტიანი პროდუქციის სახელმწიფო დამზადების, დოტაციებისა და სუბსიდირების გაცემის წესი, რაც სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების შესაბამისად,მოსახლეობის საკვებით მომარაგების ფინანსური მხარდაჭერის ეფექტიან ღონისძიებას წარმოადგენდა. სახელმწიფომ ხელი აიღო წარმოებისა და რეალიზაციის რეგულირებაზე და მისი სრული ლიბერალიზაცია მოახდინა. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ეს არასწორი ნაბიჯი იყო. არც სახელმწიფო და არც მოსახლეობა ამ ღონისძიებისათვის, ახალი წესის მისაღებად მზად არ აღმოჩნდა და ამან გამოიწვია წარმოება-მომარაგებისა და რეალიზაციის სფეროების სრული ქაოსი. ამ მეტად სავალალო მდგომარეობიდან გამოსვლა მხოლოდ ეროვნული ვალუტის, ლარის, მიმოქცევაში გაშვების შემდეგ გახდა შესაძლებელი.

1996 წლიდან სასოფლო-სამეურნეო წარმოების სფეროში ერთგვარი წარმატებები იქნა მიღწეული, თუმცა ეს საკმარისი არ აღმოჩნდა დარგის ღრმა კრიზისიდან თავის დასაღწევად, რაც ძირითადად იმით არის განპირობებული, რომ ქვეყანა ვერ ახერხებს ეკონომიკური პროცესების სრულყოფილად მართვას, არა აქვს შემუშავებული და დანერგილი შესაბამისი პროგრამები და მექანიზმები. აქ ჩვენ ძირითადად მიგვაჩნია ჯერ კიდევ არსებული კორუფცია,დაკრედიტების მოუგვარებელი სისტემა, ქვეყნის შიდა ბაზრის გადახურება იმპორტული პროდუქციით, საკუთარ მეწარმეთა დაცვის სახელმწიფო პროტექციონისტული პოლიტიკის გაუტარებლობა, დაუხვეწავი საგადასახადო სისტემა და სხვა.

ქვეყანა ვერ ახერხებს საკუთარი, საკმაოდ მდიდარი, სოფლის მეურნეობის რესურსული პოტენციალის სრულად გამოყენებას და მისგან მაღალი ეფექტის მიღებას. დღევანდლამდე ვერ მოხერხდა ადგილობრივი მეწარმეებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა და ამიტომ საბჭოთა კავშირის პერიოდში მიღწეული შედეგებიდანაც კი შორს ვართ. იმ პერიოდში სოფლის მეურნეობის მთავარი საშუალებები მიწის ჩათვლით, სახელმწიფოს ეკუთვნოდა და შესაბამისად აკონტროლებდა კიდეც ამ დარგს. მკაცრად ლიმიტირებული, ცენტრალიზებული დაგეგმვისა და ადმინისტრაციული მეთოდების გამოყენებით ახერხებდა დარგის მართვას. მოსახლეობა უზრუნველყოფილი იყო სამუშაო ადგილებით, იღებდა გარანტირებულ ხელფასს და ახერხებდა ცხოვრებისათვის აუცილებელ, სასიცოცხლო საქონლის ყიდვას.

ერთიანი საბჭოთა სივრცის დაშლის, ქვეყნის თავისუფლების მოპოვებისა და შემდგომ განვითარებული უარყოფითი მოვლენების შედეგად მთლიანად მოიშალა ეროვნული მეურნეობის ყველა დარგი, გაიზარდა უმუშევრობა, მოსახლეობა დარჩა შემოსავლების გარეშე. ფასები კი მუდმივად იზრდებოდა. ამან გამოიწვია ქვეყნის სასურსათო ვაჭრობის მოცულობის შემცირება, საქონელბრუნვის დაცემა. აქ ერთ-ერთი მიზეზი მაშინდელ ხელისუფალთა და პოლიტიკოსთა ეკონომიკური გაუნათლებლობა, საბაზრო სტრუქტურებში გაურკვევლობა და რაც მთავარია, რუსე-

თის ბაზრის დაკარგვა იყო.

საქართველოს სურსათით ვაჭრობის განვითარებისა და ბაზრის მდგომარეობაზე მსოფლიოში ცნობილი და ყველა ქვეყნისთვის დამახასიათებელი მრავალი ფაქტორი მოქმედებს. მათგან ძირითადად დღეს მიჩნეულია სურსათის მიწოდების მთლიანი მოცულობა, მოსახლეობის მსყიდველობითი უნარიანობა, მისი სამომხმარებლო კულტურა, მოსახლეობის რაოდენობა, საქონლის ფასები, ქვეყნის ბაზრობებზე და მაღაზიებზე სურსათის გაჯერება, კვების პროდუქტების ხარისხი და ასორტიმენტული სტრუქტურა. ისიც უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ სურსათის წარმოება და რეალიზაცია, ანუ მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობა, ერთიანი განუყოფელი პროცესია და ამდენად, ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები განყენებულად არ მოქმედებენ. ისინი მჭიდრო ურთიერთკავშირში არიან, რითაც ძირითადად განსაზღვრავენ ბაზრის საერთო მდგომარეობას, მისი განვითარების ტენდენციებსა და მიმართულებებს. სწორედ ეს არის მოთხოვნა-მიწოდების ობიექტური ეკონომიკური კანონის მოქმედებისა და თანაფარდობის დამყარების საფუძველი. ოპტიმალური ვარიანტია, როდესაც მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობა გაწონასწორებულია, თუმცა მის მთლიანად მიღწევას განვითარებული ქვეყნებიც ყოველთვის ვერ ახერხებენ და ჩვენს ბაზარზე კი წინაპირობები მხოლოდ ჩასახვის პროცესშია. ამას ძირითადად, მოსახლეობის დაბალი შემოსავლები და საკვების მაღალი ფასები განსაზღვრავენ. იმ შემთხვევაში კი, როდესაც მოთხოვნა-მიწოდების კანონი მუშაობს, მოსახლეობის მიერ პროდუქტების შეძენა და საკუთარი მოთხოვნილებების სრულფასოვნად დაკმაყოფილება მთლიანად სურსათის წარმოებასა და რეალიზაციის არხებზე, მიწოდების მოცულობაზეა დამოკიდებული. ამიტომ ყველა კონკრეტულ შემთხვევაში და ქვეყნის მასშტაბითაც, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაზე, მისი თვითღირებულების შემცირებაზე, იმპორტულ პროდუქციასთან მიმართებაში კონკუტენტუნარიანობის ამაღლებაზე და გარედან მისი შემოტანის შემცირებაზე. ამ ღონისძიებათა დასახვა-განხორციელების პროცესში გათვალისწინებულია ის გარემოება, რომ საქართველო გასული საუკუნის ბოლოსათვის მარცვლეულის და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რიგი პროდუქტების გარდა სასოფლო -სამეურნეო წარმოების სურსათზე ქვეყნის მოსახლეობის დაკმაყოფილებასაც უზრუნველყოფდა და საკუთარი წარმოების მთელი რიგი პროდუქტები ექსპორტზეც გაჰქონდა. 90-იანი წლების შემდგომ პერიოდში კი მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. მიუხედავად საკუთარი წარმოების დანაკლისის იმპორტით შევსებისა, მიწოდება მოთხოვნას ბევრად ჩამორჩება და ჯერ კიდევ დიდი მუშაობაა საჭირო დაკარგული პოზიციის დასაბრუნებლად.

სასურსათო ბაზარს აშკარად ვერ მიეწოდება იმდენი პროდუქცია,რაც მოსახლეობის ფიზიოლოგიური ნორმების ფარგლებში დაკმაყოფილებას უზრუნველყოფს. მიუხედავად ამისა, ბაზარზე შემოსული პროდუქციის რეალიზაციაც არ ხდება მთლიანად მოსახლეობის დაბალი მყიდველობითი უნარისა და მწირი შემოსავლების გამო. მსოფლიო პრაქტიკით არის დადასტურებული, რომ მოსახლეობის შემოსავლების ზრდა არის ძირითადი პარამეტრი პროდუქციაზე მოთხოვნის ასამაღლებლად, ასეთ პირობებში, შესაბამისად იცვლება პროდუქტების ხარსხზე მოთხოვნაც და ასოტრიმენტული სტრუქტურაც. ამდენად საქართველოს მოსახლეობა, რომელთა საკვებშიც ძირითადი პური და პურპროდექტებია, გაზრდილი შემოსავლების დროს შეიძენდა ხორცს, თევზეულს, საკონდიტრო ნაწარმს და სხვა ძვირფას, მაღალკალორიულ საკვებს. სამწუხაროდ, დღეს ამის შესაძლებლობა მხოლოდ მოსახლეობის მცირე ნაწილს აქვს, ხოლო დანარჩენი – იაფასიანი, უხარისხო პროდუქტებით იკვებება.

საქართველოს მოსახლეობას კვების დიდი ტრადიციები და მაღალი კულტურა აქვს. ამას მოწმობს გასული საუკუნის ბოლო პერიოდის მონაცემები, როდესაც მოსახლეობის შემოსავლები იმდენად მაღალი იყო, რომ 1.8-ჯერ აღემატებოდა მინიმალური სამომხმარებლო კალათის ღირებულებას. მაშინ საკვები პროდუქტების ასორტიმენტული სტრუქტურა საკმაოდ მრავალფეროვანი იყო, მოხმარებული პროდუქცია ეკოლოგიურად სუფთა და მაღალი ხარისხის ნორმებს პასუხობდა. სამწუხაროდ 1993 წლიდან მდგომარეობა უარესობისკენ იმდენად შეიცვალა, რომ მოსახლეობის ნორმატიული მინიმალური ხელფასი 9 ლარს გაუტოლდა მაშინ, როდესაც მინიმალური სამომხმარებლო კალათის ღირებულება 104 ლარს შეადგენდა. ამ პირობებში მოსახლეობის ძირითადი ფენები ვერ ყიდულობდნენ საჭირო კვების პროდუქტებს და ძირითადად პურით და პურპროდუქტებით კმაყოფილდებოდენ, რომლის ფასსაც სახელმწიფო სტაბილურად ინარჩუნებდა. ბუნებრივია, ასეთი კვება არ შეესაბამებოდა ფიზიოლოგიურად აუცილებელ ნორმებს.

1996 წლიდან მდგომარეობა ერთგვარად შეიცვალა და ხელფასის მინიმალური ნორმა 20 ლარს გაუტოლდა, მაგრამ ამან რეალურად ვერ შეცვალა სურათი, მოსახლეობის კვების პირობები კვლავ არ შეესაბამებოდა ფიზიოლოგიურ ნორმებს. კვლავ გრძელდებოდა დასაქმებულთა მასობრივი შემცირებები თითქმის ყველა სფეროში. ამასთან ერთად, მეტად არასასიამოვნო ტენდენცია გამოიკვეთა - კატასტროფულად გაიზარდა ზღვარი ღარიბებსა და მდიდრებს შორის, სახელისუფლებო რგოლებსა და განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, მეცნიერების და სხვა სფეროს მუშაკებს შორის. ეს ფაქტორი მეტად არასასურველი გამოდგა აგრეთვე სასურსათო ბაზრის განვითარებისთვისაც.

როგორც ვნახეთ, სასურსათო ბაზრის განვითარებაზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს, მეტნაკლები სიმწვავით და სიდიდით. ამასთან ერთად, დაბეჯითებით შეიძლება იმის თქმაც, რომ ყველაზე მთავარი მაინც პროდუქციის ფასია, რომელიც მთლიანად განსაზღვრავს მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობას, ახორციელებს რა მისი რეგულირების ფუნქციას. ობიექტური კანონზომიერებაა, რომ საქონლის დეფიციტი ყველა შემთხვევაში იწვევს ფასის მომატებას და პირიქით, თუ მიწოდებამ მოთხოვნას გადააჭარბა, ფასი აუცილებლად მცირდება. აქ გასათვალისწინებელია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოსახლეობის შემოსავლების საჭირო დონე. ამ პირობის ნათელი დადასტურებაა დღევანდელი საქართველოს სასურსათო ბაზარი, რომელიც გაჯერებულია პროდუქტებით და თანაც ძირითადად, მსოფლიო ფასებთან შედარებით იაფი პროდუქტებით, რომელსაც მოსახლეობის დიდი ნაწილი მაინც ვერ ყიდულობს უსახსრობის გამო. ეს ძირითადად ეხება ხორცს, თევზს, საკონდიტრო ნაწარმს და ყველს. სასურსათო ფასებთან დამოკიდებულებაში გასათვალისწინებელია წარმოების იმ რესურსების ღირებულება, რაც ამ პროდუქციის შექმნაში გამოიყენება. დღევანდელ პირობებში სოფლის მეურნეობაში პროდუქტების წარმოება განსაკუთრებით გაძნელებულია. იზრდება დანახარჯები საწვავ-საცხების, სასუქების, შხამქიმიკატების, ტექნიკური მომსახურებისა და ინფრასტრუქტურის სხვა სფეროების პროდუქციაზე ფასების მუდმივი და მკვეთრი ზრდით, რაც მძიმე ტვირთად აწვება სურსათის მწარმოებლებს და ზრდის პროდუქციის თვითღირებულებას.

პროდუქტის შეძენა-შენახვის მოქმედ ფაქტორთა შორის მნიშვნელოვანია ადამიანური ფაქტორი, მოსახლეობის ტრადიციები, მიდრეკილებები, ინტელექტუალური დონე და ა. შ. ყველა ოჯახი და ცალკეული ინდივიდი, მუდმივად ცდილობს საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში შეიძინოს მისთვის სასურველი, მაღალი სამომხმარებლო თვისებების მქონე საქონელი. სოფლის მეურნეობის პროდუქციის შეძენის დროს გარკვეულ გავლენას ახდენს სეზონურობა, როგორც ფასების ცვალებადობის ფაქტორი. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ზამთრის ბოლოს და გაზაფხულზე, როდესაც სოფლის მეურნეობის პროდუქციის დეფიციტია და ფასებიც იზრდება, ვერ ყიდულობს ხორცს, ყველს, ბოსტნეულს და ხილს.

იმ შემთხვევაში, თუ მცირდება ფასები ან იზრდება მოსახლეობის შემოსავლები, მყიდველებს უჩნდებათ დამატებითი შესაძლებლობები მეტი და ძვირადღირებული პროდუქტების შესაძენად და მოთხოვნილების უფრო სრულად დასაკმაყოფილებლად. როდესაც საწინააღმდეგო მოვლენასთან გვაქვს საქმე - პირიქით, მოსახლეობა იძულებულია მთელი სახსრები საკვებზე დახარჯოს და უარი თქვას სულიერ და კულტურულ ღირებულებებზე. ეს პროცესი ღრმად არის ფესვგადგმული ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში და მოსახლეობა ვერც ძვირადღირებულ პროდუქტებს ყიდულობს და ვერც მცირე თანხის გამოყოფას ახერხებს ჯანმრთელობისა და კულტურულ - საყოფაცხოვრებო პირობების შენარჩუნება - გასაუმჯობესებლად.

ჩვენს მიერ გამოკვლეულ სასურსათო ბაზრის განვითარებაზე მოქმედ ფაქტორთა სისტემაში, მათ გარდა, ეკონომიკურ ლიტერატურაში ხშირად განიხილავენ აგრეთვე მოსახლეობის რიცხოვნებას, მათ ეროვნულ შემადგენლობას, სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურას, ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობას. მიგვაჩნია, რომ ისინი არამყარი, ცვალებადი ბუნების გამო არსებით გავლენას არ ახდენენ ქვეყნის სასურსათო მოთხოვნაზე და შესაბამისად განხილვის საგნადაც არ გაგვიხდია. თუმცა, საჭიროდ ჩავთვალეთ პროდუქციის მოთხოვნაზე მოქმედი ფაქტორების შინაარსისა და ფორმის მიხედვით დაჯგუფების კლასიფიკაციის განხილვა, რომელიც ჩვენ ასეთი სახით წარმოგვიდგენია:

1. ბუნებრივ-კლიმატური პირობები: ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა, ჰავა, ნიადაგის ნაყოფიერება, წლიური აქტიურ ტემპერატურათა ჯამი, ნალექების რაოდენობა, ვეგეტაციის პერიოდი, წყლის რესურსებით უზრუნველყოფა და ა. შ.
2. ეკონომიკური ფაქტორები: სოფლის მეურნეობის წარმოების განვითარების მიღწეული დონე, მისი სტრუქტურა, მოცულობა, ხარისხი, მოსახლე-

ობის ფულადი შემოსავლები, და მისი სოციალური ჯგუფები, საქონლის ფასები და ქვეყანაში გაცვლის ექვივალენტური მდგომარეობა, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობა, ეროვნული ვალუტის კურსი და ა. შ.

3. პოლიტიკური ფაქტორები: ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობა, საგარეო პოლიტიკა, კონფლიქტები და საომარი მდგომარეობები და სხვა.

4. დემოგრაფიული ფაქტორები: მოსახლეობის რაოდენობა, ასაკის, სქესის, ქალაქად და სოფლად ცხოვრების მიხედვით ცვლილება, ოჯახების საშუალო სიდიდე, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, მიგრაციის დონე და ა. შ.

ასეთია ძირითადად, დღეს მიღებულ ფაქტორთა კლასიფიკაცია, თუმცა, ეს ჩამონათვალი ხშირად უფრო მეტის მომცველია. ისიც ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ იგი არ არის უცვლელი. შეიძლება, კონკრეტულ შემთხვევაში მეტი ან ნაკლები იყოს. უფრო მეტიც, სურსათის რეალიზაციასა და მოთხოვნაზე მოქმედი ფაქტორები შეიძლება დავყოთ არსებით და არარსებით ჯგუფებად, რამდენადაც გარემოებების შეცვლის ცალკეულ შემთხვევაში ისინი ხშირად ადგილისა და ფუნქციის შეცვლით ხასიათდებიან. აქედან გამომდინარე, განსხვავებული მიდგომა იქნება საჭირო მთლიანად და რეგიონების მიხედვით ამ პრობლემის გადასაჭრელად. ჩვენი აზრით, საქართველოს მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის განსაზღვრის დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს მის მოცულობაზე შემოსავლების მოსალოდნელი ცვლილებიდან გამომდინარე შესატან კორექტივებზე, ძირითად მიმართულებებზე და დაისახოს მათი გადაჭრის ღონისძიებები.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ბერუჩაშვილი თ. საქართველოსა და ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობები, რეალობა და პერსპექტივები. სოციალური ეკონომიკა თბ. 2005წ. № 4.

2. კოღუაშვილი პ., ხიბხიბაძე გ., სოფლის მეურნეობის ეკონომიკა. თბ., 2010წ.

3. კოღუაშვილი პ., ხიბხიბაძე გ., სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა განლაგება. თბ., 2010წ.

4. კოღუაშვილი პ., სასურსათო პრობლემა ჩვენს პლანეტაზე. ჟურ. ეკონომიკა, 2003წ., №1-2.

5. სტატისტიკური კრებული, „საქართველოს სოფლის მეურნეობა“, 2002-2012 წწ.

# თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აღსრულების ზოგიერთი აქტუალური საკითხები



ნიკო ჩიხლაძე
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი

*ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში საქართველოში მიმდინარე რეფორმებს შორის ერთ–ერთი ძირეული ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმაა. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელება წარმოუდგენელია შესაბამისი საფინანსო ბაზის გარეშე.*

*ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან არაერთი მცდელობის მიუხედავად, თვითმმართველობები კვლავ რჩებიან ცენტრალურ ხელისუფლებაზე დამოკიდებულ სტრუქტურულ ერთეულებად. ადგილობრივი მუნიციპალიტეტები ვერ განვითარდებიან ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერის გარეშე, თუმცა რეალურ ვითარებაში სახეზე გვაქვს ფინანსური ცენტრალიზაციის მაღალი ხარისხი. სტატიაში საქართველოს კონკრეტული რეგიონის – იმერეთის მაგალითზე წარმოჩენილია ბიუჯეტების აღსრულების პროცესში არსებული სირთულეები.*

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში საქართველოში მიმდინარე რეფორმებს შორის ერთ–ერთი ძირეული ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმაა. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელება წარმოუდგენელია შესაბამისი საფინანსო ბაზის გარეშე.

ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან არაერთხელ იყო მცდელობა ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის საფინანსო-ეკონომიკური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიმართულებით, თუმცა ამ მცდელობებს არსებითი ხასიათის შედეგები არ მოჰყოლია და თვითმმართველობები კვლავ რჩებიან ცენტრალურ ხელისუფლებაზე დამოკიდებულ სტრუქტურულ ერთეულებად.

ბუნებრივია, ადგილობრივი მუნიციპალიტეტები ვერ განვითარდებიან ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერის გარეშე, თუმცა რეალურ ვითარებაში სახეზე გვაქვს ფინანსური ცენტრალიზაციის მაღალი ხარისხი.

თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აღსრულების აქტუალური საკითხები განვიხილოთ იმერეთის მაგალითზე, რომელიც აერთიანებს თვითმმართველ ქალაქ ქუთაისს და 11 მუნიციპალიტეტს. რეგიონის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობებმა 2013 წელს 163285,2 ათასი ლარი შეადგინა, რაც დაგეგმილი შემოსულობების 91,3%-ია (გეგმის შემოსულობებს დააკლდა 15505,3 ლარი).

ნახ. 1

შემოსულობების სტრუქტურა 2013 წლის ფაქტიური შემოსავლების მიხედვით




1 – გრანტები;
2 – საგადასახადო შემოსავლები;
3 – შემოსავლები საკუთრებიდან, მოსაკრებლები, ჯარიმები და სურავები;
4 – სხვა შემოსავლები

შემოსულობების გეგმების შეუსრულებობლობის ძირითადად მიზეზებად შეიძლება დავასახელოთ გრანტების მიღება-აუთვისებლობა, რაც მუნიციპალიტეტებში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პროცესში წარმოშობილმა სირთულეებმა განაპირობეს. არის შემთხვევები, როდესაც მუნიციპალიტეტებში მოქმედი სამეწარმეო სუბიექტებიდან წინასწარაა თანხები მობილიზებული, რამაც დააზარალა ადგილობრივი ბიუჯეტი. თუმცა, ქუთაისში გეგმის შეუსრულებლობის ერთ–ერთ მთავარ მიზეზად იქცა არაფინანსური აქტივების კლებაში (ძირითადად ქონების რეალიზაცია) გეგმის შეუსრულებლობა-სულ 4587 ათასი ლარის ნაცვლად მობილიზებულია 809,5 ათასი ლარი, ანუ გეგმის მხოლოდ 17,6%.

საგადასახადო შემოსავლების ნაწილში გეგმის (13,6 მლნ. ლარი) შესრულებას თითქმის 400 ათასი ლარი დააკლდა (94,4%), რაც ძირითადად ტყიბულის (დააკლდა ამ ნაწილში თითქმის 370 ათასი ლარი) და ჭიათურის (დააკლდა 388 ათასი ლარი) ფაქტორებით იყო გამოწვეული და მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებად მსხვილი სამეწარმეო სუბიექტებიდან („საქნახშირი“, “ჯორჯიან მანაგანეზი“) კუთვნილი თანხების შემოუსვლელობამ განაპირობა (თავის მხრივ, აღნიშნული გარემოება ამ სუბიექტებიდან თანხების წინასწარ ამოღებამ ან მიწის გადასახადის ნაწილში დღგ–ს ზედმეტობის გადმოუტანლობამაც განაპირობა).

გრანტების ნაწილში თითქმის 10 მილიონიანი დეფიციტი მხოლოდ სპეციალური ტრანსფერის (რგფ-დან მისაღები თანხები) მიუღებლობამ გამოიწვია. აღნიშნული გამოწვეული იყო პროექტების არასრულყოფილი მიმდინარეობით და დაგეგმილი სამუშაოების ვადებში შეუსრულებლობით.

რეგიონის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების როგორც შემოსულობების, ისე გადასახდელების დინამიკა მზარდია, რაც ძირითადად განპირობებულია შემოსავლებში გრანტების მუხლის ზრდით (მუნიციპალიტეტის შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერები, რომელიც მთლიანი შემოსავლების დაახლოებით 70-90%-ს შეადგენს). აგრეთვე გაზრდილია, როგორც სხვა შემოსავლები, ისე არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავლები და შემცირებულია გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები. ხარჯებში კი გაზრდილია სუბსიდიები, სოციალური უზრუნველყოფა და არაფინანსური აქტივების ზრდა.

ბიუჯეტის გადასახდელების დინამიკა წარმოადგენას გვაძლევს თუ რა იხარჯება ტერიტორიული ერთეულის ბიუჯეტიდან (მასში ასახულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჩამორიცხული თანხები) ერთ სულ მოსახლეზე გათვალისწინებით.

2011-2013 წლებში იმერეთის თვითმმართველ ერთეულთა, ჯამური ბიუჯეტის გადასახდელების დინამიკა ზრდის ტემპით გამოირჩეოდა. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2012 წელს დაფიქსირდა 171,8 მილიონი ლარი. შესაბამისად, რეგიონის ერთ სულ მოსახლეზეც ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ამ წელს იყო - 242,8 ლარი საშუალოდ წელიწადში.

2012 წლის მაღალი მაჩვენებელი გამოწვეული იყო არჩევნების პერიოდით და სახელისუფლებო რესურსის მაქსიმალური გამოყენებით ამ არჩევნებში გასამარჯვებლად, რამაც სხვადასხვა სახის პროექტებსა და ღონისძიებებზე მნიშვნელოვანი თანხების მიმართვა გამოიწვია.

თუ შევადარებთ 2011 და 2013 წლის მჩვენებლებს, 2013 წელს ბიუჯეტებიდან 39,8 მლნ. ლარით მეტია დახარჯული, ვიდრე შესადარ წელს. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ 2011 წელს ქუთაისის ბიუჯეტით გატარდა პარლამენტის მშენებლობასთან დაკავშირებული ხარჯები (5,1 მლნ. ლარი), სხვაობა 44,5 მლნ. ლარამდე გაიზრდება. ეს ნიშნავს, რომ ერთ სულ მოსახლეზე გადასახდელმა 2011 წელს მხოლოდ 154,7 ლარი შეადგინა (იხ. ნახ. 2).

საანალიზო პერიოდში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თვითმმართველ ერთეულებს შორის ჭიათურასა და ქუთაისში 2012 წელს დაფიქსირდა (314–315 ლარი). ყველაზე დაბალი იყო ეს მაჩვენებელი საჩხერეში 2011 წელს - 93,1ლარი (ეს დაბალი მაჩვენებელი გამოწვეულია იმით, რომ ცენტრალური ბიუჯეტიდან პროექტების დასაფინანსებლად საჩხერე შედარებით მცირე თანხებს იღებდა).

ნახ. 2



2012-2013 წლებში ყველაზე სტაბილური და მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა ხარაგაულში (165-დან 259 ლარამდე), საჩხერეში (93,1-დან 170,3 ლარამდე), თერჯოლაში (157-დან 224 ლარამდე), ხონში (164-დან 231 ლარამდე).

2013 წლის შედეგებით საშუალო რეგიონულზე დაბალი მაჩვენებელი იყო წყალტუბოში (155,8 ლარი), სამტრედიაში (188,9 ლარი), ვანში (202,5 ლარი), ბაღდათში (196,3 ლარი), ზესტაფონში (148,2 ლარი), ტყიბულში (122,1 ლარი) და საჩხერეში (170,3 ლარი). ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ტყიბულში დაფიქსირდა - 122,1 ლარი, რაც 85,3 ლარით ჩამორჩება საშუალო რეგიონულს.

ბიუჯეტების ანალიზი ცხადყოფს, რომ ტერიტორიულ ერთეულთა ბიუჯეტებში ძალზე მაღალია ე.წ. ადმინისტრაციული დანახარჯები. ეს საკითხი გამოკვლეულ იქნა 2013 წლის ფაქტიური მონაცემების და 2014 წლის გეგმიური მაჩვენებლების მიხედვით.

ნახ. 3




1. აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოები; 2. ააიპ-ები;
3. სოცუზრუნველყოფა და სოციალური პროგრამები; 4. სხვა ხარჯები.

რეალური მდგომარეობის შესაფასებლად ბიუჯეტის ხარჯად მივიჩნიეთ დანახარჯები არაფინანსური აქტივების ზრდის გარეშე.

როგორც ანალიზმა გვიჩვენა, რეგიონის მასშტაბით, 2013 წელს აღმასრულებელ, წარმომადგენლობით ორგანოებზე და ააიპ-ების დაფინანსებებზე მოდიოდა ხარჯების 69,5%. სოციალურ უზრუნველყოფას და სოცალური პროგრამების დაფინანსებას ბიუჯეტის ხარჯების მხოლოდ 8,7% მოხმარდა (იხ. ნახ. 3).

განსაკუთრებით მაღალია აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ორგანოებში დასაქმებულთა რიცხოვნობა, რაც რეგიონის მასშტაბით 2013 წელს 2 566 კაცს შეადგენს. აქედან, მეოთხედი (24,6%) ქუთაისშია დასაქმებული.

საბიუჯეტო ხარჯებში აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების დაფინანსების განსაკუთრებით მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა ხარაგაული (32,1%), ვანი (38,5%), ხონი (42,3%), წყალტუბო (36,2%) და ბაღდათი (45,3%).

ძალზე მაღალია ააიპ-ების დაფინანსებაზე გაწეული დანახარჯები, რაც 45,1 მლნ. ლარს აღწევს. აქედან 32.6% ქუთაისზე მოდის. სულ რეგიონში 163 ააიპ-ი ფიქსირდება. საშუალოდ ერთ ააიპ-ში თითქმის 61 კაცი მუშაობს. ააიპ-ების განსაკუთრებით დიდი რაოდენობა ფიქსირდება ხარაგაულში (17 ერთეული), საჩხერეში (18) და სამტრედიაში (25).

ააიპ–ების დაფინასების მიხედვით, ხარჯებში მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა ქუთაისი (40,8%), წყალტუბო (40,3%), ხონი (41,1%), თერჯოლა (44,4%), ზესტაფონი (46.8%), საჩხერე (46,8%) და ტყიბული (54,7%).

თუ კომპლექსურად განვიხილავთ ზემოთ დასახელებული ორი სფეროს ხარჯებს, შემდეგი სურათი გვექნება: მხოლოდ აღმასრულებელი, წარმომადგენლობითი ორგანოებისა და ააიპ-ებზე გაწეული დანახარჯები ბიუჯეტის ძალზე მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს წყალტუბოში (76,5%), ხონში (83,4%), ბაღდათში (80%), საჩხერეში (78%) და ტყიბულში (84,3%), მაშინ, როცა ამ მუნიციპალიტეტებში სოციალურ უზრუნველყოფასა და სოციალურ პროგრამებზე 6-8% იხარჯება.

ნახ. 4




1. აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოები; 2.ააიპ-ები;
3. სოცუზრუნველყოფა და სოციალური პროგრამები; 4. სხვა ხარჯები.

საინტერესო სურათს გვაძლევს იგივე მიმართულებით ანალიზის შედეგები, მხოლოდ მუნიციპალიტეტების მიხედვით (თვითმმართველ ქალაქ ქუთაისის გარეშე) აგრეგირებული მაჩვენებლებისათვის. მუნიციპალიტეტების ნაერთი ჯამური ბიუჯეტიდან აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების დაფინანსება 32,7%-ს მოიცავს, ხოლო ააიპ-ების ჩათვლით ხარჯის ხვედრითი წილი 74,6%-ია.

ძალზე მაღალია ააიპ-ების რიცხოვნობა. სულ მუნიციპალიტეტებში 150 ასეთი სტრუქტურული ერთეული ფიქსირდება (თითოეულ მათგანში საშუალოდ 13,6), სადაც 6678 კაცია დასაქმებული. ეს ნიშნავს, რომ ერთ ააიპ-ში საშუალოდ 44 კაცზე მეტია დასაქმებული.

დასახელებული მიმართულებით ჩატარდა ანალიზი 2014 წელს ბიუჯეტის დაგეგმილი პარამეტრების მიხედვით. მხარის ნაერთ ბიუჯეტში აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების დაფინანსებისათვის გასაწევი ხარჯების ხვედრითი წილი 2013 წლის ფაქტიურ მაჩვენებელთან შედარებით 1,06% -ით არის გაზრდილი და 28,6%-ს შეადგენს.

უფრო მნიშვნელოვნად - 3%-ით არის გაზრდილი ააიპ-ების ჯამური დაფინანსება 2013 წელთან შედარებით და იგი 44,5% შეადგენს, რაც გასაწევი ხარჯის 4702,6 ათასი ლარით გაზრდამ გამოიწვია (45124,4 ათასი ლარიდან 49827 ათას ლარამდე)

ნახ. 5

აღმასრულებელი, წარმომადგენლობითი ორგანოების და ააიპ-ების ხარჯების ხვ.წილი (%) მუნიციპალიტეტების ჯამურ ბიუჯეტში 2014 წლის გეგმით




1. აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოები; 2. ააიპ-ები;
3. სოცუზრუნველყოფა და სოციალური პროგრამები; 4. სხვა ხარჯები.

აღსანიშნავია, რომ ააიპ-ებში 155 კაცით არის გაზრდილი მომუშავეთა რიცხოვნობაც 9908 კაციდან 10063 კაცამდე, ასევე გაზრდილია სტრუქტურულ ერთეულთა რიცხოვნობა 3 ერთეულით. ააიპ-ების რაოდენობას ზრდა ფიქსირდება ქუთაისში (1 ერთეულით), წყალტუბოში (1 ერთეულით) და ჭიათურაში (1 ერთეულით). ბიუჯეტში ააიპ–ების დაფინანსების მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა: ქუთაისი (42,3%), წყალტუბო (47,8%), ზესტაფონი(48,7%), ტყიბული (53,1%), საჩხერე(47,4%) და ჭიათურა(57,5%).

2014 წელს დაგეგმილი სოციალური უზრუნველყოფისა და სოცპროგრამების ხარჯები მთლიან ბიუჯეტში მხოლოდ 7%ია. განსაკუთრებით მაღალია იგი ხონსა და ზესტაფონში (11-12%), ხოლო დაბალია ვანში (4,2%) და ტყიბულში (4,6%).

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით" მომუშავეთა რიცხოვნობა 1137 კაცით (2591 კაციდან 1454 კაცამდე) უნდა შემცირდეს, ხოლო ამავე კოდექსით არ არის განსაზღვრული სუბსიდირებადი ააიპ-ების დაფინანსების მდგომარეობა და რეგულაციები.

2014 წელს დაგეგმილი ბიუჯეტის მიხედვით (ცალცალკე აღებული მუნიციპალიტეტებისათვის) 1,4%-ით იზრდება აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების დაფინანსების ხვედრითი წილი (32,7%-დან 34,1%-მდე). თუ გავითვალისწინებთ, რომ საერთო საბიუჯეტო ხარჯიც საანალიზო პერიოდისათვის 2162,2 ათასი ლარით არის გაზრდილი, შეიძლება ჩავთვალოთ რომ ეს არის მნიშვნელოვანი ზრდა.

კვლავ მაღალია მუნიციპალიტეტებში ააიპ-ების დაფინანსების ხვედრითი წილი, რამაც რეგიონის ნაერთი ბიუჯეტის ხარჯების 45,8% შეადგინა და 3,9%-ით გაიზარდა. აქაც, 2013 წელთან შედარებით ააიპ-ების ჯამური დაფინანსება 154,8 ათასი ლარით გაიზარდა.

ნახ. 6




1. აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოები; 2. ააიპ-ები;
3. სოცუზრუნველყოფა და სოციალური პროგრამები; 4. სხვა ხარჯები.

დანახარჯების ზრდაზე იმოქმედა ააიპ-ების რიცხოვნების ზრდამ (2 ერთეულით) და შესაბამისად, მომუშავეთა რიცხოვნობის ზრდამ 45 კაცით (6678-დან 6833 კაცამდე).

2013 წელთან შედარებით სოციალურ უზრუნველყოფასა და სოცპროგრამებზე მუნიციპალიტეტების ჯამურ ბიუჯეტში 2,6%-ით არის შემცირებული ხარჯები და იგი საერთო საბიუჯეტო ხარჯის მხოლოდ 7,45%-ს შეადგენს. რაც შეეხება თვითმმართველობის ახალი კოდექსით განსაზღვრულ შტატების რიცხოვნობას, იგი მცირდება 828 ერთეულით.

საქართველოს ახალი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით საბიუჯეტო წლისათვის დაგეგმილი არაფინანსური აქტივების ზრდის საერთო მოცულობის პროცენტული მაჩვენებელი ამავე საბიუჯეტო წლისთვის დაგეგმილი მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო გადასახდელების საერთო მოცულობაში არ უნდა იყოს დასაგეგმი წლის წინა სამი წლის ანალოგიურ საშუალო მაჩვენებელზე ნაკლები (მუხლი 155).

ნახ. 7

არაფინანსური აქტივების ზრდა და გადასახდელები 2011–2013 წლების რეგიონის ჯამურ ბიუჯეტში (მლნ. ლარი)




სამწუხაროდ კანონი არ აკონკრეტებს საბიუჯეტო წლისთვის დაგეგმილი მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო გადასახდელების საერთო მოცულობა რომელ პერიოდს ეხება, რმდენადაც პირვანდელ დამტკიცებულ ბიუჯეტში ეტაპობრივად შედის ცვლილებები და შესაბამისად, არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელიც მატულობს. მაგალითდ, 2014 წლის 17 თებერვლის მდგომარეობით არაფინანსური აქტივების ზრდის საერთო მოცულობის პროცენტული მაჩვენებელი გადასახდელების მხოლოდ 24,2%–ს შეადგენდა. 2011–2013 წლების საშუალო მაჩვენებელი კი 28–33,5% იყო.

ზემოთ მოტანილი ანალიზის საფუძველზე შეიძლება შემდეგი დასკვნების ფორმირება:

1. ზოგადად, მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების როგორც შემოსულობების, ისე გადასახდელების დინამიკა მზარდია, რაც ძირითადად განპირობებულია შემოსავლებში გრანტების მუხლის ზრდით. აგრეთვე გაზრდილია, როგორც სხვა შემოსავლები, ისე არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავლები და შემცირებულია გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები. ხარჯებში კი გაზრდილია სუბსიდიები, სოციალური უზრუნველყოფა და არაფინანსური აქტივების ზრდა.

2. მუნიციპალიტეტის შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერები, რომელიც მთლიანი შემოსავლების დაახლოებით 70-90 %-ს შეადგენს.

3. საერთო საბიუჯეტო ხარჯებში მაღალია შრომის ანაზღაურების ხვედრითი წილი, რაც კადრების სიჭარბეს და არაეფექტურ მენეჯმენტს გვიჩვენებს. მაგალითად, ვანის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობით ორგანოებში 213 კაცია დასაქმებული, სამტრედიაში – 227, ხარაგაულში – 235 კაცი.

4. განსაკუთრებით მაღალია ადგილობრივი აიპ-ების დანახარჯები, მეტწილად შრომის ანაზღაურების ნაწილში. მიგვაჩნია, რომ აქ საშტატო პოლიტიკა შესაცვლელი იქნება და ოპტიმიზაცია გარდაუვალი.

5. მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული ააიპ–ების დაფინანსების (ხარჯების) 80–90% მოდის შრომის ანაზღაურების ფონდზე. ააიპ–ების დაფინანსებაშიხშირადარარისგათვალისწინებული ღონისძიებებისა და პროგრამების დაგეგმვა და შესრულება, ამდენად, გაწეული ხარჯები ვერ უწყობს ხელს ამ სფეროების განვითარებას და ააიპ–ების დებულებით განსაზღვრულ საქმიანობას.

6. არცთუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც სამეწარმეო სუბიექტებს თანხები წინასწარ აქვთ გადახდილი. მაგალითად „ჯორჯიანმანგანეზი“ რომელსაც 2011–2012 წელს ადგილობრივი ბიუჯეტის სასარგებლოდ 2 მილიონამდე ლარი აქვს გადახდილი ქონებისა და მიწის გადასახადის ნაწილში. ეს თანხები სახელმწიფომ ჩაითვალა დღგ–ს დაბრუნების ნაწილში, მაგრამ 2013 წელს მნიშვნელოვანი თანხები დააკლდა ზესტაფონისა და ჭიათურის ბიუჯეტს (დაახლოებით 1,2 მლნ. ლარი). ასევე „საქნახშირი“, რომელმაც წინასწარ 300 000 ლარამდე ზედმეტი თანხა ჩარიცხა ბიუჯეტში. ეს ქმნის პრობლემებს როგორც მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებად სამეწარმეო სუბიექტებთან, ასევე დაგეგმვის პროცესშიც.

7. საზოგადოდ, დაგეგმვის პროცესში არსებობს რიგი პრობლემები. ხშირია შემთხვევები, როდესაც ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივი ბიუჯეტის ზოგიერთ პარამეტრს განსაზღვრავს, მაგრამ მუნიციპალიტეტებს არ აქვთ საშუალება უშუალოდ დაამყარონ ურთიერთობა სამეწარმეო სუბიექტთან (მაგ., რკინიგზა, "ენერგოპრო" და სხვა);

8. ზოგიერთი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში (მაგ., ტყიბული) ადგილობრივი შემოსავლების (ქონების გადასახადი და მოსაკრებლები) ცალკეულ კვარტლებში შემოდის შესაბამისი სავადოს დადგომის შემდეგ. გათანაბრებითი ტრანსფერი კი ზოგჯერ არ არის საკმარისი სახელფასო ვალდებულებების დასაფარად და საჭირო ხდება ამ ტრანსფერის პროპორციულზე მეტი წილის მთხოვნა.

9. მუნიციპალიტეტების ბიუჯეტები ფაქტობრივად სახელფასოა და მათში ნაკლებად არის ჩადებული განვითარების ელემენტები. აღნიშნულში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საკუთარი საშემოსავლო ბაზის სიმცირე და დამოუკიდებელი ფინანსური მანევრის არქონა.

10. 2014 წლის ბიუჯეტში სოცუზრუნველყოფა და სოციალური პროგრამებზე დანახარჯების საშუალო რეგიონული მაჩვენებელი მხოლოდ 7%–ს აღწევს. თუ გავითვლისწინებთ კადრების სიჭარბეს და არაეფექტიან მენეჯმენტს, რაც გაზრდილ დანახარჯებში აისახება, მუნიციპალიტეტებისათვის არათანმიმდევრულ და დეფორმირებული მიმართულების სოციალურ ბიუჯეტებს მივიღებთ.

11. მართალია მოქმედ თვითმმართველობის კოდექსს ზოგიერთი რეგულაცია შემოაქვს, მაგრამ ბევრი საკითხი მაინც დაკონკრეტებას და დაზუსტებას საჭიროებს.

გამოყენებული ლიტერატურა:


1. ჩიხლაძე ნ., ჭიჭინაძე ბ., ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების თანამედროვე პრობლემები საქართველოში. ჟ. „ახალი ეკონომისტი", #4(31) 2013. გვ. 53–60.
2. Чихладзе Н., Гавтадзе Г., ПРОБЛЕМЫ И ПЕРСПЕКТИВЫ ФИСКАЛЬНЫХ АВТОНОМИИ МЕСТНЫХ САМОУПРАВЛЕНИИ В ГРУЗИИ. Сб. Тр-ов Международной научно-практической конференции «Проблемы и перспективы развития местного самоуправления в странах СНГ и Европы». Российский университет дружбы народов. Москваь 2013.
3. იმერეთის მხარეში სახელწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციის რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის მასალები;
4. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;
5. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი;
6. www.imereti.ge - იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის ოფიციალური ვებ-გვერდი.


## Some of the topical issues of local budgets


Niko Chikhladze
Doctor of Economics Science, Full Professor of Kutaisi University



As Georgian local municipality work monitoring showed, in the vast majority are not implemented above mentioned own powers and rights and it is caused by objective and subjective purposes. In most cases failure of authorities caused due to that fact that there is no clear separation between the powers of self-government and center, at some places there's a chronic shortage of budget revenues, and most importantly, most of the municipalities are experiencing shortages of qualified public servants.

The local self-governments will be independent and oriented on the result, when above mentioned priorities will be considered maximally and on central and local levels will receive such rules, which support their realization. This totally provides independence of the local self-governments. Financially provided self-governments are the first step in the process of country's financial raising.

# ეკონომიკური აზრი და ეკონომიკური მოძღვრება: მეთოდოლოგია, პერიოდიზაცია, მიმართულებები



შოთა ვეშაპიძე
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

*სტატიაში გამორკვეულია, უფრო სწორად კი დალაგებულია და ნაჩვენებია ეკონომიკური აზრისა და ეკონომიკური მოძღვრებათა წარმოშობისა და განვითარების ისტორიული სურათი, მისი მეთოდოლოგია, პერიოდიზაცია, მიმართულებები. ნაჩვენებია ქართული ეკონომიკური აზრის წარმოშობისა და განვითარების ეტაპები და წარმომადგენლები.*



წინამდებარე სტატიაში შევეცადეთ გამოგვერკვია, უფრო სწორად კი დაგველაგებინა და გვეჩვენებინა ეკონომიკური აზრისა და ეკონომიკური მოძღვრებათა წარმოშობისა და განვითარების ისტორიული სურათი, რომლის სირთულეზე ცნობილი ფრანგი მათემატიკოსი, მექანიკოსი, ფიზიკოსი, ასტრონომი და ფილოსოფოსი ანრი პუანკარე მიგვანიშნებდა:

“მეცნიერების განვითარება უნდა შევადაროთ არა რომელიმე ქალაქის გარდაქმნას, სადაც ძველი შენობები უმოწყალოდ ინგრევა, რათა ადგილი დაუთმოს ახალ ნაგებობებს, არამედ ზოოლოგიურ სახეობათა ევოლუციას, რომლებიც განუწყვეტლივ ვითარდება და ბოლოს და ბოლოს გამოუცდელი თვალისათვის გამოუცნობი ხდება, მაგრამ რომლებშიც გამოცდილი თვალი ყოველთვის აღმოაჩენს გასულ საუკუნეთა გაწეული მუშაობის კვალს”.[1, გვ.9]

ეკონომიკური აზრი – ფრიად ფართო ცნებაა. ესაა მასობრივ ცნობიერებაში არსებული წარმოდგენები და რელიგიური შეფასებები, მითითებები, სამეურნეო ურთიერთობებს რომ ეხება და მეცნიერთა თეორიული კონსტრუქციები, პოლიტიკური პარტიების ეკონომიკური პროგრამები.... ეკონომიკური აზრის სფერო მრავალფეროვანია, იგი ფიქრის, დასკვნების და პრაქტიკული გადაწყვეტილებების ასპარეზია: აქ ეკონომიკის ზოგადი კანონზომიერებებიცაა და ეკონომიკის ცალკეული დარგების თავისებურებებიც, წარმოების განთავსების პრობლემებიც და ფულადი მიმოქცევაც, კაპიტალდაბანდებათა ეფექტიანობაც და საგადასახადო სისტემაც, შემოსავლების და გასავლების აღრიცხვის წარმართვის მეთოდებიც და ეკონომიკის ისტორიაც, სამეურნეო კანონმდებლობაც – ყველას ვერ ჩამოთვლი. მთელ ამ რთულ ერთობლიობაში, მისი ცალკეული ელემენტების გადახლართვით შეიძლება გარკვეული პირობითობით გამოვყოთ ეკონომიკური მოძღვრება – თეორიული კონცეფცია, რომელიც ასახავს ეკონომიკური ცხოვრების ძირითად კანონზომიერებებს, აღწერს მის სუბიექტებს შორის ურთიერთობას, რომელიც დოვლათის შექმნის, განაწილების და გაცვლის მამოძრავებელ ძალებს და მნიშვნელოვან ფაქტორებს ავლენს. [2,გვ.12]

ეკონომიკური მოძღვრება ბევრად ახალგაზრდაა ეკონომიკურ აზრზე. ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია XVI საუკუნიდან იწყება; მისი სათავეები მტკიცედაა დაკავშირებული კაპიტალისტური სასაქონლო მეურნეობის ჩამოყალიბებასთან.

ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია მოიცავს სხვადასხვა სამეცნიერო სკოლის უმნიშვნელოვანეს თეორიული დებულებათა და მეთოდოლოგიურ მოკლე აღწერას, რომელთაც მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიაში. ესაა სწორედ აღწერა, გადმოცემა და არა ამა თუ იმ კონცეფციის კრიტიკული გარჩევა, არა მათი ღირსებების და ნაკოვანებების გამოვლენა, არც შეფასებების დასმა. მისი მიზანია – მკითხველს მისცეს ცოდნა ეკონომიკური თეორიების შესახებ, რომლები იქმნებოდა ასეული წლების განმავლობაში იმ მეცნიერთა მიერ, ნებისმიერ შემთხვევაში ჩვენს პატივისცემას და აღი-

არებს რომ იმსახურებენ [3, გვ.5].

ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის მკვლევარები სამართლიანად მიუთითებენ, რომ ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის გაგებისთვის საჭიროა ვიხელმძღვანელოთ შემდეგი სამი წანამძღვრით: ჯერ ერთი, ეკონომიკურ შეხედულებათა ისტორია ყველაზე კარგად შეიძლება გაიგო, თუ მას განვიხილავთ არა როგორც იდეათა აბსტრაქტულ ისტორიას, არამედ როგორც ამ იდეების შემქმნელი ადამიანების ინტელექტუალურ ისტორიას. ეკონომიკური აზრის ისტორიის შეცნობის საუკეთესო საშუალება ის არის, რომ თავად ჩვენ წავიკითხოთ დიდ ეკონომისტთა ნაშრომები, მთლიანად არ ვერწმუნოთ ეკონომიკური მეცნიერების არცერთ პროფესიონალ ისტორიკოსს. მეორე, სწორად რომ გაიგოს წარსული დროის მეცნიერთა ძლიერი და სუსტი მხარეები, მკითხველი უნდა ფლობდეს თანამედროვე ეკონომიკური თეორიის საფუძვლებს. მესამე, უნდა მოვერიდოთ მცდარ დასკვნას იმის შესახებ, დღეს საყოველთაოდ მიღებული ეკონომიკური თეორიები ყველაზე უკეთესი და ყველაზე სწორია. რამეთუ თანამედროვე ეკონომიკურ თეორიათა საგანი საკმაოდ სწრაფად იცვლება, საუკეთესოებშიც კი ხშირად უნდა შევიტანოთ არსებითი ცვლილებები.

უნდა განვასხვავოთ ეკონომიკურ შეხედულებათა ისტორიაზე კუმულაციური და ევოლუციური აზრი. კუმულაციური თვალსაზრისის თანახმად, უფრო გვიანი ეკონომიკური თეორიები ძველების გაუმჯობესებაა. მათში წყდება ზოგიერთი წინათ გადაუჭრელი ამოცანა, სწორდება წინამორბედთა შეცდომები, ყალიბდება ახალი პრობლემები. ამიტომაც ძველი თეორიები გვჭირდება, ძირითადად, ახალთა უკეთ გაგებისათვის. ასეთ თვალსაზრისს არსებობის სრული უფლება აქვს, და იგი შესანიშნავად არის ასახული ეკონომიკური აზროვნების ისტორიის შესახებ ერთ-ერთ საუკეთესო წიგნში: "თანამედროვე თეორია დაფარულია დღეს გადაჭრილ, მაგრამ გუშინდელ პრობლემათა ნაიარევებით, დღეს გამოსწორებული, მაგრამ გუშინდელი შეცდომებით, და არც შეიძლება იგი მთლიანად იყოს გაგებული, თუ მას არ მივიჩნევთ წარსულის მემკვიდრეობად". მაგრამ შესაძლებელია სხვანაირი შეხედულებაც ეკონომიკურ თეორიათა ისტორიაზე, რომელსაც შეიძლება ევოლუციური ეწოდოს. იგი გამომდინარეობს იმიდან, რომ ეკონომიკური ქცევის კანონები უცვლელი არ რჩება, ისინი არსებითად იცვლება დროში. ამიტომ ისტორიულად სხვადასხვა დროში ეკონომისტები სწავლობენ სხვადასხვა ეკონომიკური რეალობას, ამიტომაც ახალი ეკონომიკური თეორიები არ შეიძლება იყოს ძველის უბრალო გაუმჯობესება. კარგი ახალი თეორიები მხოლოდ ნაწილობრივ იყენებენ ძველ თეორიებს, რომელთა ცალკეული ფრაგმენტები დროებით მოუკითხავი(გამოუყენებელი) რჩება.[4,გვ.23].

ევოლუციურ ცვლილებათა შედეგები ჩვეულებრივ განუჭვრეტელია. სწორედ იმიტომ, რომ არ წარმოადგენს განსაკუთრებულ ინტერესს ერთ ისტორიულ დროში, შეიძლება საინტერესო იყოს მეორე დროშიც. და მაშინ ძველი ეკონომიკური იდეა შეიძლება მოულოდნელად აღმოჩნდეს მიმზიდველი იმათთვის, ვინც ცდილობს შექმნას ახალი მოდელები ეკონომიკური ქცევის ახალი ხერხებისთვის, განსაკუთრებით მაშინ თუ მას ახლებურად გავაშუქებთ უფრო გვიანი წარმოდგენების ენაზე. ეკონომიკურ მეცნიერებათა ისტორია ამ შემთხვევაში გაგებული უნდა იყოს არა როგორც დიდ თუ მცირე თანამიმდევრულ გაუმჯობესებათა პროცესი, არამედ როგორც ახსნის შესაძლო ალტერნატიული ხერხების შენარჩევი, რომლის ღირებულება იცვლება დროთა განმავლობაში. ევოლუციური პოზიციებიდან ეკონომიკურ მეცნიერებათა ისტორია განხილულია არა როგორც მუზეუმი, რომელშიც შეიძლება გავიხსენოთ დიდი წინამორბედები, არამედ როგორც სამუშაო მაგიდა, რომელზეც შეიძლება წავაწყდეთ ახალ საინტერესო იდეებს, რომლებიც არა ჰქონიათ უახლოეს წინამორბედებს, ეკონომიკას სულ სხვა კუთხით რომ სწავლობდნენ.

არსებობს თუ არა პროგრესი ეკონომიკურ მეცნიერებაში? კუმულაციური თვალსაზრისით პროგრესის არსებობა ნიშნავს იმას, რომ "ანალიტიკური ინსტრუმენტები განუწყვეტლივ იხვეწება და იზრდება, ემპირიული მონაცემები მუდმივად გროვდება და წესრიგდება, ... ეკონომიკური სისტემის მუშაობა უფრო კარგად ესმით, ვიდრე წინათ" [4,გვ.35]. ევოლუციური თვალსაზრისით პროგრესი ეკონომიკურ მეცნიერებაში ნიშნავს არა მარტო ამას, არამედ ღრმა გამოუყენებელ იდეების რიცხვის ზრდასაც, რომლებიც შეიძლება სასარგებლო გამოდგეს მოულოდნელად წარმოშობილი ახალი ეკონომიკური რეალობის გაგებისათვის. მაგრამ, როგორც წესი, ეს იდეები ალტერნატიულია და არ შეიძლება მათი გაერთიანება ერთიანი თეორიის ფარგლებში.

ვეხებით რა ეკონომიკურ გამოკვლევათა მეთოდოლოგიას, ლოგიკურად მიგვაჩნია პროფესორ ვ. კოსტიუკოვის აზრი იმის თაობაზე, რომ ეს მეთოდოლოგია არ განსხვავდება ბუნებისმეტყველების მეცნიერებათა მეთოდოლოგიისაგან,

რომელიც ეფუძნება ექსპერიმენტებსა და ჰიპოთეტურ –დედუქციურ მეთოდს.[5, გვ.14]. მაგრამ, რაკი ექსპერიმენტები ეკონომიკაში, როგორც წესი, განუხორციელებელია, ხოლო ევოლუციურ ცვლილებათა ტემპი მნიშვნელოვნად აღემატება ცვლილებათა ტემპს ბუნებაში, ეკონომიკურ მეცნიერებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სტატისტიკურ – დროებრივ ანალიზსა და ისტორიულ-მოდელურ და წმინდა მოდელურ მიდგომას.

ყველაზე პირველი ეკონომიკური აზრი და მოძღვრებები დღემდე თვალის ერთი გადავლებით,შემდეგნაირად უნდა წარმოვიდგინოთ: ადრინდელი ეპოქის ეკონომიკური აზრი (ჰამურაბის კანონები, კონფუცი, კაუტილიას მეცნიერება შემოსავლების შესახებ); წინაეკონომიკა ანუ ეკონომიკისათვის როგორც მეცნიერებისათვის საფუძვლის ჩაყრის პერიოდი:ქსენოფონტე, პლატონი, არისტოტელე, თომა აქვინელი; მერკანტილისტები (უ. პეტი, ჯ. ლოკი); ფიზიოკრატები (რ. კანტილიონი, დ. გურნე, ფ. კენე); კლასიკური ეკონომიკა (ა. სმიტი, დ. რიკარდო); მარქსისტული თეორია (კ. მარქსი); ნეოკლასიკური ეკონომიკა (კ. მენგერი, ს. ჯევონსი, ლ. ვალრასი, ა. მარშალი); ნეოკლასიკური სინთეზი (ჯონ ჰიქსი, პოლ სამუელსონი); ინსტიტუციონალიზმი (ტ. ვებლენი, უ. მიტჩელი, ჯ. გელბრეითი); კეინსიაიზმი (ჯ. კეინსი); მონეტარიზმი (მ. ფრიდმენი).

ვინაიდან ეკონომიკა მოიცავს ადამიანის საქმიანობის მნიშვნელოვან მხარეებს, ეკონომიკურ პრობლემებზე თეორიული მსჯელობანი უყვარდათ ჯერ კიდევ ძველებს,რომელთაც თანამედროვე ადამიანისაგან საერთოდ განასხვავებდა ბევრად დიდი სურვილი შეეცნოთ გარემომცველი სამყაროს რეალობა. იკვე დიდმა ბერძნებმა პლატონმა და არისტოტელემ ჩაუყარეს საფუძველი ეკონომიკას, როგორც მეცნიერებას. პლატონის ცნობილ "სახელმწიფოში" შემოტანილი იყო ისეთი დღემდე განსჯის საგნად ქცეული ზომები ბაზრის რეგულირებისა, როგორიცაა "ფასის მერყეობის საზღვრები", ხოლო არისტოტელემ განჭვრიტა რა შემდგომ ათასწლეულთა პაექრობანი, თვლიდა, რომ გაცვლა ათანაბრებს მოთხოვნილებებს და არა დანახარჯებს. ეს პოსტულატი გახდა საფუძველი მარჟინალისტური რევოლუციისა ეკონომიკურ მეცნიერებაში მხოლოდ XIX ს-ის ბოლოს. რა თქმა უნდა, ძველ მოაზროვნეთა გენიალურ აღმოჩენებთან ერთად მათი ეკონომიკური შეხედულებანი შეიცავდა მრავალ ისეთ დებულებას, რომელთაც დღეს შეუძლია მხოლოდ ღიმილი გამოიწვიოს. რაც არ უნდა იყოს,გავიდა 23 საუკუნეზე მეტი.

ყოველ დიდ მოაზროვნეს შუა საუკუნეებისა და ახალი დროისა, დაწყებული თომა აქვინელიდან კალვინამდე, გააჩნდა თავისი შეხედულებები ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებით, ვინაიდან მათ გარეშე ფილოსოფიური და რელიგიური სისტემები ცხოვრებისგან მოწყვეტილი აღმოჩნდებოდა.

პირველი წმინდა ეკონომიკური თეორიები და ეკონომიკური სკოლები გაჩნდა მხოლოდ XVII ს-ის ბოლოს. მაშინ (XVII-XVIII საუკუნეების ბოლო) ეკონომიკურ თეორიაში თანმიმდევრულად ბატონობდა ეკონომიკის ორი ძირითადი თეორიული მიმართულება: მერკანტილიზმი (იტალ. მერცანტე - ვაჭარი) და ფიზიოკრატია (ბერძნ. ჰპჯსის – ბუნება + კრატოს - ძალაუფლება).

მერკანტილისტებს შორის გამოირჩევიან პირველი პროფესიონალი ეკონომისტი, ფიზიკის დოქტორი და ანატომიის პროფესორი უ. პეტი (1623-1687) და გამოჩენილი ინგლისელი ფილოსოფოსი ჯ. ლოკი (1632-1704), რომლებიც ეროვნული სიმდიდრის შექმნაში პირველ ადგილს ანიჭებდნენ ვაჭრობას. ისინი თვლიდნენ,რომ სახელმწიფო მით უფრო მდიდარია, რაც უფრო მეტია სხვაობა გატანილ და შემოტანილ საქონლის ღირებულებას შორის და იბრძოდნენ ექსპორტის წამახალისებელი ზომებისათვის და იმპორტის შეზღუდვისათვის პროტექციონისტული ზომების გამოყენების გზით. თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, ისინი გამოდიოდნენ მიმდინარე საგარეო სავაჭრო ოპერაციების სალდოს ზრდის მხარდამჭერებად, რაც, ბუნებრივია, მნიშვნელოვანი, მაგრამ არაერთადერთი ფაქტორია ქვეყნის კეთილდღეობისა.

მერკანტილისტების შემცვლელი ფიზიოკრატები (XVIII ს. II ნახევარი) თვლიდნენ,რომ სიმდიდრის საფუძველს შეადგენს სოფლის მეურნეობა, ხოლო ეკონომიკის და ვაჭრობის სხვა დარგები მხოლოდ გადაანაწილებს დამატებულ ღირებულებას, მოპოვებულს სასოფლო-სამეურნეო შრომით და მიღებულს მიწიდან და ბუნებრივი კვლავწარმოებრივი პროცესებისგან. მათ შორის ყველაზე დიდი როლი შეასრულეს: ვაჭარმა და ფინანსისტმა ირლანდიიდან რ. კანტილიონიმ (1680-1734), რომელმაც პირველმა ჩამოაყალიბა და გამოიკვლია ბაზრისა და საბირჟო თამაშის – "იყიდო იაფად, გაყიდო ძვირად" ძირითადი პრინციპები; დე გურნემ (1712-1759), რომელმაც გაახმაურა ეკონომიკური ლიბერალიზმის ძირითადი პრინციპი – "ლაისსეზ ფაირე, ლაისსეზ პასსერ" – "დაე, ყველაფერი წავიდეს ისე,როგორც მიდის",ე.ი. სახელმწიფოს ჩარევის გარეშე; და ავტორი პირველი დარგთაშორისი ბალანსისა ფ. კენე (1694-1774),

რომლის მოდელის შესახებაც ქვემოთ ვილაპარაკებთ.

გამოჩენილი ფილოსოფოსი და ეკონომისტი დ. იუმი (1711-1776), რომელიც ერთგვარად აერთიანებს ეკონომიკის განვითარების ფიზიოკრატულ და კლასიკურ პერიოდს, შეიძლება ჩაითვალოს ფულის რაოდენობრივი თეორიის ფუძემდებლად და თანამედროვე მონეტარიზმის წინამორბედად. მან შექმნა ფულის მიმოქცევის შესანიშნავი მოდელი, რომელიც დღემდე ფინანსური თეორიის საფუძველია.

კლასიკური ეკონომიკური მეცნიერების ფუძემდებელი, ფილოსოფოსის და ლოგიკის პროფესორი, გლაზგოს უნივერსიტეტის რექტორი ა. სმითი (1720-1790) აგვირგვინდება თავისი სინთეზური შრომებით XVIII ს-ის ეკონომიკას და განსაზღვრა მისი განვითარება XIX საუკუნეში. მან ბევრი რამ აიღო ფიზიოკრატებისგან, მაგრამ, მათგან განსხვავებით, თვლიდა, რომ სიმდიდრის წყაროს წარმოადგენს ნებისმიერი შრომა და არა მარტო სამიწათმოქმედო. სმიტი – ღირებულების შრომითი თეორიის ფუძემდებელია,რომლის თანახმადაც საქონლის ღირებულება განისაზღვრება ძირითადად მის შექმნაზე გაწეული შრომით. მის ძირითად ნაშრომში "გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ" პირველად იქნა სისტემატიზებული სახით გადმოცემული საბაზრო ეკონომიკის თეორიული საფუძვლები. ბაზრის ყოველი მონაწილე, სმიტის მიხედვით, მოქმედებს მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ისწრაფვის რა გაამრავლოს თავისი შემოსავალი, მაგრამ "იგი უხილავი ხელით მიემართება მიზნისაკენ, რომელიც სავსებით არ შედიოდა მის განზრახვებში ... მისდევს რა საკუთარ ინტერესებს, ის ხშირად უფრო ქმედითი სახით ემსახურება საზოგადოების ინტერესებს, ვიდრე მაშინ, როცა შეგნებულად სურდა ამის გაკეთება". "უხილავი ხელი" – ესა საბაზრო თვითრეგულირების ობიექტური კანონი. აქედან სმიტი მიდის დასკვნამდე, რომ ყველაზე კარგია არ ჩაერიო ბაზრის მოქმედებაში და „დატოვო ყველაფერი ისე, როგორც მიდის" – "laissez faire". სმიტის მიერ გაცხადებული პრინციპი ბაზრის "უხილავი ხელისა", რომელიც საფუძვლად უდევს მის შესაძლებლობებს თვითრეგულირებისა, წარმოადგენს, თანამედროვე გაგებით, უკუკავშირის კიბერნეტიკულ პრინციპს. ამ თვალსაზრისით მან დაასწრო კ. ბერნარისა და ნ. ვინერის კიბერნეტიკულ თეორიებს.

ადამ სმითის დიდმა მიმდევარმა დ. რიკარდომ (1772-1823) 25 წლის ასაკში მოახერხა ეშოვა ბირჟაზე რამდენიმე მილიონი და შეუდგა თეორიულ ეკონომიკას მაშინ, როცა მიღებული ჰქონდა რიგიანი პრაქტიკული გამოცდილება. მისი ძირითადი შრომა "პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები" მიძღვნილია იმ საკითხის გამოსარკვევად, თუ როგორ მოქმედებს წარმოების ზრდაზე მიღებული შემოსავლის განაწილება რენტის, მოგების და ხელფასის სახით. რიკარდომ გაავრცელა "უხილავი ხელის' პრინციპი საერთაშორისო ვაჭრობაზე და შექმნა შედარებით უპირატესობების თეორია. მისმა შრომებმა საფუძველი ჩაუყარა შემდგომ მოდელურ მიდგომას ეკონომიკური თეორიის აგებაში. ეკონომიკური მეცნიერების ისტორიკოსთა აზრით, "მკაცრი და თანმიმდევრული თეორეტიკოსის სახით, რომელსაც შეეძლო მიეღო არაჩვეულებრივი შედეგები მისთვის შეთავაზებული შედარებით უბრალო მოდელების ანალიზიდან, რიკარდოს (ალბათ კეინსის გარდა) დღემდე არ ჰყავს ტოლი ეკონომისტებს შორის".

თვით ყველაზე მოკლე ექსკურსი ეკონომიკურ თეორიაში იქნება არასრული, თუკი არ ვახსენებთ მასში კ. მარქსის (1818-1883) მნიშვნელოვან წვლილ. მისი ყველა უფროსი და საშუალო თაობის მეცნიერისათვის კარგად ცნობილი გაფართოებული კვლავწარმოების განტოლებები, არსებითად, ხსნიან ეკონომიკური ზრდის დინამიკურ მოდელთა კლასს. მარქსმა დაწვრილებით გამოიკვლია კაპიტალის წარმოშობის და განვითარების ბუნება. მან გახსნა ზედმეტი ღირებულების ბუნება და გამოიკვლია მისი როლი კაპიტალის დაგროვების პროცესში. მის მიერ დაწვრილებითაა შესწავლილი მოგების ნორმის გათანაბრების კანონზომიერებანი წარმოების სხვადასხვა დარგებში და მასთან დაკავშირებული კაპიტალის გადადინებანი. თუმცა მისი მოძღვრება, ვფიქრობთ, რომ ძალზე პოლიტიზირებული და შედეგად, გამოყენებულია, როგორც ბრძოლის ინსტრუმენტი, ხელისუფლებისათვის. მარქსის თეორიული დებულებანი ბევრს დღეს საკამათოდ წარმოუდგება (გვსურს გვენახა მაგალითი ეკონომიკური თეორიისა, რომელიც არ შეიძლება საკამათო გამხდარიყო საუკუნენახევრის შემდეგ. ასეთები არაა.) მართლაც, ინოვაციის და კაპიტალის მნიშვნელობათა გაუთვალისწინებლობას, აგრეთვე შრომის წვლილის გადაჭარბებას დამატებულ ღირებულებაში, როგორც ვხედავთ ადგილი აქვს. (თუმცა თანამედროვე პოზიციებიდან არანაკლები პრეზენტაცია შეიძლება გაგვიჩნდეს წარსულის ყველა დიდი ეკონომისტის მიმართ). მარქსის თეორიის მეთოდოლოგიური მნიშვნელობა და გავლენა ახლაც შეიძლება უზარმაზარია.

თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებაში აქტიურად მოქმედებს და მეტოქეობს რამდენიმე სამეცნიერო მიმართულება ესენია: კეინსიანელები, რომელთა განმასხვავებელი ნიშანია აქცენტირებული ყურადღება ბაზრის სახელმწიფო რეგულირების პრობლემებზე; ნეოკლასიკოსები, რომლებიც ძირითადად ემხრობიან საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის მინიმიზაციის პრინციპს; მონეტარისტები თვლიან, რომ ეკონომიკის ძირითად მარეგულირებელ ფაქტორს წარმოადგენს ფულადი აგრეგატები; ინსტიტუციონალისტები, რომლებიც ეკონომიკური სისტემის ანალიზს

ეკონომიკური მეცნიერების ხე [6, გვ.50]



ახდენენ მისი ძირითადი ინსტიტუტების პრიზმით, ე.ი. ეკონომიკური და სოციალური ქცევის ფორმალური (ნორმატიულად და საკანონმდებლოდ გაფორმებული) და არაფორმალური (ტრადიციები, საქმიანი ურთიერთობების ჩვევები და ა.შ.) წესებით. [5, გვ.48]

დაყოფა რომელიც "ეკონომიკური მეცნიერების ხეზეა" მოცემული თუმცა საყოველთაოდ მიღებულია, მაინც ძალზე პირობითია. რიგი სკოლების მეთოდოლოგიური მიდგომები ურთიერთდაფარვადია. არის არაერთი ცნობილი მეცნიერი, რომელთა შრომას გააჩნია სინთეზური ხასიათი და არ შეიძლება მივაკუთვნოთ რომელიმე ზემოთ ნახსენებ სამეცნიერო მიმართულებას. რაც შეეხება მათემატიკურ აპარატსა და მოდელებს, ყველა სკოლის წარმომადგენელი იყენებს პრაქტიკულად იდენტურ მათემატიკური ანალიზის ტექნიკას. ამასთან მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თანამედროვე დასავლეთის ეკონომიკაში ძნელია იპოვო მეცნიერი, რომელმაც მიაღწია კარგ შედეგებს მათემატიკური მოდელების გამოყენების გარეშე ამან საშუალება მისცა ნობელის პრემიის ლაურეატს, დებრეს, 1983 წ. ეთქვა შემდეგი: "ეკონომიკური თეორია თითქმის ყველა თავის მიღწევას ომისშემდგომ პერიოდში უნდა უმადლოდეს მათემატიკური ანალიზის გამოყენებას". სხვათა შორის, უმრავლესობას თანამედროვე ეკონომისტებისა, მინიჭებული აქვთ ნობელის პრემია ეკონომიკაში.

ჩვენს მიერ განხილულ ეკონომიკური აზრისა და ეკონომიკურ მოძრერებათა მეთოდოლოგიას, პერიოდიზაციას და ძირითად მიმართულებებს თუ დავეფუძნებით, ქართული ეკონომიკური აზრის წარმოშობისა და განვითარების ეტაპები და წარმომადგენლები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: ქართული ეკონომიკური აზრის წარმოშობა: ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის საიდუმლო: ფარნავაზი, ვახტანგ გორგასალი; შუა საუკუნეების ქართული ეკონომიკური აზრი: დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, შოთა რუსთაველი, ბექა და აღბუღა, გიორგი ბრწყინვალე; ქართული ეკონომიკური აზრი XVII-XVIII საუკუნეში: ვახტანგ VI, სულხან-საბა ორბელიანი, ერეკლე II და სოლომონ I, იოანე ბატონიშვილის "კალმასობა"; ქართული ეკონომიკური აზრი XIX საუკუნეში და XX საუკუნის 20-იან წლებამდე: ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე; XX საუკუნის ქართული ეკონომიკური აზრი: ე. წ. სოციალისტური პერიოდის ქართული ეკონომიკური აზრი: ფილიპე გოგიჩაიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, პაატა გუგუშვილი, ვალერიან მელქაძე, ირაკლი მიქელაძე, ვასილ ჩანტლაძე; პოსტკომუნისტური პერიოდის ქართული ეკონომიკური აზრი: ვლადიმერ პაპავა, ავთანდილ სილაგაძე, ლეო ჩიქავა. გასაგები მიზეზების გამო ქართული ეკონომიკური აზრის წარმომადგენლების სია სრულყოფილი ვერ იქნება. ეს საკითხი ხანგრძლივ სპეციალურ კვლევას საჭიროებს.

ცივილიზაციის მიღწეული დონე ახალ აზროვნებას მოითხოვს. ყველაზე უფრო მოკლედ თუ ვიტყვით, გარდუვალი გახდა "ერის საერთო კეთილდღეობის" უთუოდ გლობალურ კონტექსტში განხილვა და ლიბერალური ეკონომიკური ორიენტირების გონივრული განსაზღვრა. ამისათვის კი, თანამედროვე ეკონომიკური აზროვნებისათვის დამახასიათებელი უნდა იყოს ღრმა მეცნიერულობა, რეალისტურობა, მასშტაბურობა, სისტემურობა და მოქნილობა. ახალი აზროვნება უნდა დაფუძნდეს ობიექტურ კანონომიერებათა ღრმად შემეცნებაზე, რომელიც ახლანდელ რეალობებს ითვალისწინებს. უნდა შეგვეძლოს წარსულის სამართლიანი შეფასება. საჭიროა გონივრულად მივუდგეთ საქმეს, არ შემოვიფარგლოთ ამწუთიერი ამოცანებით. ყოველი საკითხი კომპლექსურად უნდა გადავწყვიტოთ. გადაწყვეტილებების შემუშავებისა და რეალიზაციის მსვლელობისას დროულად უნდა გავითვალისწინოთ ახლად წარმოშობილი გარემოებები, ახალი მოვლენები და პროცესები. ასეთია მეცნიერული აზროვნების ლოგიკა. მაინც რა არის ის უმთავრესი ღირებულებანი, რომლისკენაც დღენიადაგ უნდა ვისწრაფვოდეთ და როგორია ის მეთოდები, გზები და უმთავრესი პრინციპები, რომლებსაც თანამედროვე გლობალურ სამყაროში უნდა ვიყენებდეთ ჩვენი მიზნების მისაღწევად? ყველაზე უმთავრესი ჩვენთვის ის უნდა იყოს, რომლის გარეშეც "ჩვენ", "ჩვენ" არ ვიქნებოდით. ასეთებად ილია ჭავჭავაძეს მამული, ენა და სარწმუნოება მიაჩნდა, რომლებსაც "სამ ღვთაებრივ საუნჯეს" უწოდებდა. მათი მარადიული დაცვა თვითოეული ჩვენი თანამოქალაქის წმიდათა წმინდა ვალია. შთამბეჭდავად წერდა ილია ჭავჭავაძე: "სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას?" ამ მარადიულ ღირებულებებს თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ, რომ ჩვენი მთლიანობა და თვითმყოფადობა

ქარ დავკარგოთ. მთავარია ასევე ვიცოდეთ როგორ, რა გზებით უნდა დავიცვათ ჩვენი მამული, ენა და სარწმუნოება. სწორედ ეს უნდა იყოს ჩვენთვის უმთავრესი ამოსავალი მომენტი, მთავარი მეთოდოლოგიური ორიენტირი ეკონომიკური აზრისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის ყოველი საკითხის შესწავლისა და გამოყენებისას.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. Анри Пуанкаре. О Науке. Перевод с французского под ред. Л.С. Понтрягина. М. “Наука”. 1990 г.
2. კოსტიუკი ვ. ნ.ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია: ლექციების კურსი. რუს.2001.
3. ლევიტა რ. ი. ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია.რუს.2001.
4. მ. ბლაუგი. ეკონომიკური აზროვნება რეტროსპექტივაში.რუს.1994.
5. კოსტიუკი ვ.ნ. მეცნიერული კვლევის მეთოდოლოგია კიევი, 1976.
6. მოვსესიანი ა., ოგნივცევი ს. მსოფლიო ეკონომიკა. ნაწ.I, თბილისი, 2003.
7. მექვაბიშვილი ე. თანამედროვე მაკროეკონომიკური თეორიები, 2013.
8. თოდუა გ.ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია. თსუ გამომცემლობა,ნაწ.,I, 2009; ნაწ., II, 2010.
9. სილაგაძე ა. ეკონომიკური დოქტრინები. შაგამომცემლო სახლი “ინოვაცია”,თბილისი, 2010.

# MS Access-ის და SQL Server-ის ერთობლივი გამოყენება მონაცემთა ბაზების მართვაში



ცირა ჯაფიაშვილი
ივ. ჯავახიშვილის სახელბის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

მრავალმომხმარებლური სისტემის შექმნა პროგრამა Access-ის გამოყენებით შეიძლება არასაკმარისად ეფექტურად მუშაობდეს[1], ვინაიდან:

- თქვენი შესწორებები ხშირად იკვეცები სხვა მომხმარებლის შესწორებებთან. ეს ყველაზე გავრცელებული ხშირი პრობლემაა. თუმცა ეს პრობლემა გვარდება Access-ის მიერ და თქვენი ბაზა არ ირღვევა, მაგრამ ეს კორექტირებები იმდენად ხშირია, რომ გიხდებათ სხვის მიერ შეტანილი მონაცემების ახლიდან რედაქტირება.
- საჭირო ჩანაწერების რედაქტირება არ შეგიძლიათ, ვინაიდან გამოყენებულია ბლოკირება, რათა არ მოხდეს შესწორებების გადაფარვა და გიხდებათ მოცდა, სანამ სხვა მომხმარებელი ატარებს რედაქტირებას. თუმცა არც ეს სიტუაცია არ არის დაკავშირებული ბაზის რღვევასთან.
- მონაცემები დამახინჯებულია. მიუხედავად იმისა, რომ ეს სიტუაცია იშვიათია, ის სახიფათოა. Access-ის ახალი ვერსიის გამოსვლის შედეგად ეს სიტუაცია უმჯობესდება, თუმცა მაინც არის იმის ალბათობა, რომ მოხდება. თუნდაც იმიტომ, რომ მონაცემების განახლების დროს ხშირია ქსელურ გარემოში რომელიმე მომხმარებლის კავშირის გათიშვა. ეს სიტუაცია შეიძლება არ იყოს პროგრამა Access-ით გამოწვეული შედეგი, მაგრამ მას არა აქვს ამ პრობლემის მოგვარების საშუალებები: მას შეუძლია დატოვოს მრავალმომხმარებლური ბაზა გაურკვეველ ან წინააღმდეგობრივ მდგომარეობაში [1].

ასეთი პრობლემების მოგვარების ერთადერთი გზა არის მბ მართვის მძლავრი პროგრამის გამოყენება, რომელიც სერვერზე იმუშავებს და რომელიც მოუვლის მონაცემების გადაფარვის, ეფექტურ კორექტირების, და შედეგად ბაზის რღვევის პრობლემებს. ასეთ პროგრამულ საშუალებას წარმოადგენს SQL Server-ი. ძირითადი მიზეზები, რატომ უნდა გამოიყენოთ SQL Server-ი, შემდეგია:

- მომხმარებლების დიდი რაოდენობა ( >100).
- დიდი მოცულობის მასივები ( > 2გბ).
- წარმოებლურობა. დიდი მეხსიერების გამო მას შეუძლია დიდი სისწრაფით ამუშაოს მონაცემები.
- რეალური დაცვა. SQL Server-ს უზომოთ მძლავრი დაცვა აქვს და უზრუნველყოფს დაცვის იმდენ დონეს, რამდენიც დაგჭირდებათ [2].
- ტრანზაქციების დამუშავება. რაც არ უნდა მოხდეს, SQL Server აღადგენს ნებისმიერ დარღვევას იმ მომენტიდან, როდესაც ის მოხდა, მაშინაც, როდესაც ტრანზაქცია არ არის ბოლომდე შესრულებული.

როგორ მუშაობს SQL Server

SQL Server-ის და Access-ის ქსელში ურთიერთქმედების სქემა ძალიან წააგავს პროგრამა Access-ის კოლექტიური სარგებლობის საშუალებების გამოყენების შემთხვევას [1]. ქსელში ჩართული რამდენიმე მომხმარებელი სარგებლობს SQL Server-ით Access-ით შექმნილი პროექტის რეალიზაციისთვის. სერვერული ბაზა განლაგებულია სერვერზე და კლიენტური ნაწილი მომხმარებლის კომპიუტერებზე. SQL Server-ი უნდა დააყენოთ იმ კომპიუტერზე, რომელზეც გეგმავთ განალაგოთ სერვერული მბ. როგორც წესი, ეს არის ის კომპიუტერი, რომელიც ქსელში სხვა სამუშაოებისთვის არ გამოიყენება.

პროგრამა Access-ი გვთავაზობს SQL Server-ზე

1. სტატია „MS Access-ის მონაცემთა ბაზის მრავალმომხმარებლური გამოყენების საშუალებები“ გამოქვეყნდა იგივე ჟურნალის 2013 w. მე-4 ნომერში.

მბ შექმნის ორ გზას:

- Access-ში შექმნილი მბ-ის გარდაქმნა პროგრამა-ოსტატით. პროგრამა ყველა ცხრილს Access-ის პროექტიდან გადასცემს SQL Server-ს;
- Access-ის ცხრილების გადატანა SQL Server-ზე და მბ-ის შექმნა სუფთა ფურცლიდან.

თითოეულ გზას დადებითი და უარყოფითი მხარე აქვს. პირველ გზა მარტივი გზაა, პროგრამა ასრულებს გარდაქმნას დამოუკიდებლად თვენგან, თუმცა შედეგად მიღებული ცხრილები ოდნავ განსხვავებულები დაგიხვდებათ მბ-ში. მეორე შემთხვევაში დაგჭირდებათ მეტი შრომა, ვინაიდან თქვენ უნდა ჩაატაროთ ბაზის შევსების პროცესი, მაგრამ თუ მბ თავიდანვე SQL Server-ზე შექმენით, გარდაქმნის ბევრ პოტენციურ პრობლემებს აუვლით გზას.

მბ გარდაქმნა

პროგრამა Access-ის აქვს პროგრამა-ოსტატი (Upsizing wizard), რომლითაც შეძლებთ გარდაქმნათ Access-ში შექმნილი მბ SQL Server-ის ფორმატში. ეს ოსტატი ქმნის ორ ბაზას -- სერვერულს და კლიენტურს. კლიენტურში თავსდება ფორმები, ანგარიშგებები, მაკროსები და პროგრამული კოდები. სერვერულში კი -- მონაცემები და მოთხოვნები. გავხსნათ მბ, რომელიც უნდა გარდავქმნათ და გამოვიძახოთ ოსტატი ბრძანებების პანელზე მითითებით Database Tools\ Move Data\SQL Server .

ოსტატი მითითებებს გთხოვთ: პირველ ფანჯარაში უთითებთ ქმნით ახალ ბაზას სერვერზე, თუ სერვერზე არსებულში გადაგაქვთ Access-დან ცხრილები. შემდეგ ფანჯარაში უნდა მიუთითოთ სერვერის სახელი – იმ კომპიუტერის სახელი, რომელზეც გამართულია პროგრამა SQL Server, მაგალითად, User+PC\SQLExpress . დატოვეთ ჩართული გადამრთველი Use Trusted Connection (გამოიყენე სანდო კავშირი), თუ იყენებთ ადმინისტრატორის სააღრიცხვო ჩანაწერს. სხვა მომხმარებლის სახელით თუ გნებავთ მიერთება, შეიტანეთ მომხმარებლის იდენ ტიფიკატორი და პაროლი. შეიტანეთ მონაცემთა ბაზის სახელი, რომლის ქვეშ გექნებათ მბ SQL Server-ზე წარმოდგენილი.

პროგრამა-ოსტატის შემდეგ ფანჯარაში ვარჩევთ ცხრილებს, რომლებიც გადაგვაქვს სერვერზე. მონიშნეთ და გადაიტანეთ სიიდან ის ცხრილები, რომლებიც გინდათ გადაიტანოთ სერვერულ მბ-ში. ოსტატი მოთხოვნებს თვითონ გადაიტანს -- იმ მოთხოვნებს, რომლებიც კავშირში არიან გადატანილ ცხრილებთან (მოთხოვნები გადაიტანება შერჩევით). დანარჩენი ობიექტები არ გადადის.

შემდეგ ფანჯარაში უთითებთ Access-ში დადგენილი პარამეტრების შენახვას. მაგალითად, გადამრთველი Table Relationships (კავშირები ცხრილებს შორის); Use RDI , Data relational integrity (მონაცემების მთლიანობის დაცვა) კასკადური განახლებისა და წაშლის გარეშე ან Use triggers (კასკადური განახლებით და წაშლით; გადამრთველი Add timestamp fields to tables? (დროს მითითების ველის დამატება), რის მითითებაც მერეც შეგეძლებათ, ისიც იმ შემთხვევაში, თუ დაგჭირდათ; დანარჩენი პარამეტრები ნაცნობია და იგივე შინაარსისაა, რაც Access-ში. ოსტატის შემდეგ ფანჯარაში მოითხოვება გადაწყვიტოთ, საწყისი ფაილის გარდაქმნის რომელ ვარიანტს ირჩევთ.

აქ სამი ვარიანტია ასარჩევად:

1 – Create a new Access client/server application (შეიქმნას Access-ის ახალი გამოყენებითი ამოცანა - პროექტი). თუ ეს ვარიანტია არჩეული, იქმნება Access-ის სპეციალური ტიპის ფაილი, რომელიც პროექტს წარმოადგენს. ამ ფაილს აქვს გაფართოება „.adp". ეს ფაილი ბაზის კლიენტური ნაწილია, რომელიც შეიცავს ყველა ფორმას, ანგარიშს, მაკროსს, მოდულს და ცხრილების კავშირების ნაკრებს, რომლითაც ვსარგებლობთ SQL Server-ის ცხრილებთან ურთიერთქმედებისთვის. Access-ის პროექტში მბ რჩება, თუმცა ის წასაშლელია, ვინაიდან ყველა მისი ცხრილი გადატანილია SQL Server-ზე.

2 - Link SQL Server table to existing application (დაკავშირდეს ცხრილები Access-ის არსებულ ფაილთან). ეს ვარიანტი ანალოგიურია წინა ვარიანტისა, მაგრამ განსხვავებით წინა ვარიანტისა, აქ მიმდინარე ფაილი გარდაიქმნება და გადაიქცევა კლიენტურ მბ-ად. ყველა ცხრილი, რომელიც გადაიტანება, გადასახელდება და მათ სახელს დაემატება სახელის ბოლოს სიტყვა „local" (ლოკალური). ამის გარდა, იქმნება საწყისი დასახელებით ცხრილების ნუსხა მიმთითებლებით. ამ კავშირების მეშვეობით მივმართავთ იგივე დასახელების ცხრილებს SQL Server-ზე. თუ დარწმუნდებით, რომ ცხრილები კავშირებით მოქმედებენ, მაშინ შეგიძლიათ წაშალოთ ლოკალური ცხრილები.

3 - No application chenges (არ შეიცვალოს საწყისი ფაილი). ამ შემთხვევაში მონაცემები გადაიტანება, მაგრამ საწყისი ბაზა არ იცვლება. ეს ნიშნავს, რომ მონაცემები წარმოდგენილია Access-ის ფაილშიც და SQL Server-ზეც. SQL Server-ზე შექმნილი ფაილი გამოიყენება დასათვალიერებლად და კორექტირებისთვის პროგრამა Access-ში.

მივუთითოთ პირველი ვარიანტი, შემდეგ მივუთითოთ, რომ გახსნას კლიენტური მბ-ს ახალი პროექტი და ღილაკით Finish დავასრულოთ დი-

ალოგი პროგამა-ოსტატთან.

პროგრამა Access-ი უერთდება SQL Server-ს და გადააქვს ცხრილები. ეკრანზე პროცესის ინდიკატორი ჩნდება.

პროცესის დამთავრების შემდეგ, პროგრამა გამოიტანს ანგარიშს ჩატარებულ გარდაქმნაზე, რომელიც შეგიძლიათ დაბეჭდოთ სურვილის შემთხვევაში (სურ.1).




სურ. 1. სერვერზე ბაზის შქმნის ანგარიშის ფრაგმენტი

ამავ დროს იხსნება კლიენტური ბაზა.

გარდაქმნის პროცესის შედეგად შეიძლება შემდეგი ცვლილებები აღინიშნოს:

- ჰიპერკავშირების ველები ჩვეულებრივ ტექსტურ ველებად გარდაიქმნება,
- ველი Attachment ხდება ჩვეულებრივი ტექსტური ველი.

თუ იქმნება პროექტი და არა დაკავშირებული ცხრილები, მაშინ იკარგება შემდეგი ტიპის მოთხოვნები:

- მოთხოვნები ცვლილებების შეტანაზე (განახლებაზე, დამატებაზე, წაშლაზე, ცხრილის შექმნაზე),
- ჯვარედინი მოთხოვნები,
- მოთხოვნები, რომლებიც იყენებენ ფორმაში წარმოდგენილ მონაცემებს,
- არასტანდარტული მოთხოვნები, რომლებიც SQL-ბრძანებების რეჟიმშია შექმნილი და არა კონსტრუქტორის რეჟიმში.

გარდაქმნის რეჟიმის პროცესის დასრულების შემდეგ ცხრილებთან მუშაობა ისევე შესაძლებელია, როგორც გარდაქმნამდე. განსხვავება იმაშია, რომ ახლა პროგრამა Access უერთდება პროგრამა SQL Server-ს იმისათვის, რომ მიიღოს მონაცემები სერვერულ ბაზიდან და შეიტანოს მასში ცვლილებები.

როგორ ვმართოთ მბ შექმნილი SQL Server-ზე

Access-ის ტერიტორიაზე მბ მართვა იოლია: შეგიძლიათ შექმნათ ახლი,წაშალოთ,გადაიტანოთ ერთი ადგილიდან მეორეზე. ამ ოპერაციებს იოლად შეასრულებთ Windows Explorer-ითაც.

პროგრამა SQL Server სხვანაირად მუშაობს. კიდევაც რომ იცოდეთ,სად არის განლაგებული მბ და იცოდეთ მისი სახელი, თქვენ ვერ ჩაატარებთ მასზე გადატანის, ახლის შექმნის და სხვა ოპერაციებს, თუ არ მუშაობთ SQL Server-თან. ამისათვის დაგჭირდებათ კიდევ ერთი პროგრამა,რომელიც ადმინისტრირების ფართო წრის ამოცანების შესრულებაში დაგეხმარებათ. ეს არის SQL Server Manager Studio. მაგრამ შესაძლებელია პირდაპირ

Access-ში შეასრულოთ მბ-ს მართვის ყველაზე გავრცელებული მოქმედებები. ამისათვის გახსენით კლიენტური მბ, ისარგებლეთ: File \Server, რის შემდეგ ჩამოიშლება მენიუს პოზიციები.

Connection - დაკავშირება. გამოაქვს დიალოგური ფანჯარა, რომელშიც შეგაქვთ კლიენტურ ბაზასთან დაკავშირების პარამეტრები. მაგალითად, თუ ვინმემ გადააადგილა ან სახელი გადაარქვა მბ-ს SQL Server-ზე ან შეცვალა მომხმარებლის იდენტიფიკატორი და პაროლი, რომლებიც საჭიროა რეგისტრაციისთვის, ამ ფანჯარაში სრულდება მათი განახლება.

Server Properties – სერვერის მონაცემები. გამოაქვს დიალოგური ფანჯარა ცნობებით სერვერზე: პროგრამის სახელი, ვერსია, სერვერის და მბ-ს ადგილმდებარეობა. ამ ფანჯარაში ვერ შეიტანთ ცვლილებებს.

Link Tables - კავშირი ცხრილებთან. გაძლევთ საშუალებას დაამატოთ ერთი ან რამდენიმე დაკავშირებული ცხრილი პროექტს. ამ თვისებას აზრი აქვს იმ შემთხვევაში, თუ თქვენ გნებავთ ცხრილების დამატება სხვა მბ-დან, რათა ხედავდეთ მათ.

Back Up SQL Database - მბ სარეზერვო ასლი. ქმნის სარეზერვო სერვერული მბ ასლს გაფართოვებით ".dat", რომელიც შეგიძლიათ შეინახოთ სერვერულ ან კლიენტურ კომპიუტერზე.

Restore SQL Database - SQL Server-ს მბ აღდგენა ასლიდან. ქმნის ახლიდან შესაბამისს მბ-ს SQL Server-ზე.

Transfer Database - ერთი კომპიუტერიდან მეორე კომპიუტერზე მბ-ს გადატანა. ეს ვარიანტი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ კომპიუტერზე ჩაატარეთ მბ ტესტირება და ახლა უნდა ჩაუტვირთოთ ქსელურ სერვერზე ბევრ სხვა მომხმარებლს. იგულისხმება, რომ ამ კომპიუტერზე გაქვთ ჩატვირთული პროგრამა SQL Server.

Copy Database File - მბ ასლის შექმნა. ქმნის ისეთ ასლს, რომელიც შეიძლება გამოიყენოთ სხვა კომპიუტერზეც. ამ შემთხვევაში თრანსფერ ატაბასე უკეთესია, ვინაიდან ერთ ბიჯს იყენებს.

Drop SQL Database - შლის მბ პროგრამაში SQL Server.

Set Logon Password - სისტემაში შესვლის პაროლის მითითება. ეს ბრძანება SQL Server-ის პაროლს ცვლის.

SQL Server-ს მბ შექმნა ოსტატის გარეშე

პროგრამა Access გვაძლევს საშუალებას შევქმნათ ცარიელი სერვერული მბ და შემდეგ დავამატოთ მას ცხრილები. შევქმნათ ცარიელი ბაზა, სახელით TestirebaMB.adp (სურ. 2).




სურ. 2. ცარიელი სერვერული მბ შექმნა

ფოლდერის არჩევის ფანჯარაში შეიტანეთ ფაილის სახელი და აირჩიეთ სიიდან Save as type Microsoft Office Access Projects (*.adp). ისარგებლეთ ღილაკით Create, რის შემდეგ სისტემა შეგეკითხებათ, გნებავთ თუ არა გამოიყენოთ SQL Server-ზე არსებული მბ. ისარგებლეთ ღილაკით No, რათა შექმნათ ახალი მბ და დახურეთ დიალოგური ფანჯარა. შემდეგ ბაზის შექმნა გრძელდება პროგრამა-ოსტატით Microsoft SQL Server Database Wizard. პროგრამის პირველი ფანჯარა იდენტურია Upsizing Wizard პროგრამა-ისტატისა. ამ ფანჯარაში, როგორც უკვე ვიცით, შეიტანება სერვერის ადგილმდებარეობა და სახელი, მომხმარებლის სერვერთან კავშირის გზა და იმ მბ სახელი, რომელსაც ქმნით. გადადით ღილაკით Next შემდეგ ფანჯარაძე, სადაც პროგრამა გატყობინებთ, რომ მას აქვს ყველა პიროფა მბ შექმნისთვის, ისარგებლეთ ღილაკით Finish. პროგრამა Access ქმნის SQL Server-ის ცარიელ მბ, რის შემდეგ ეკრანზე ჩნდება გახსლილი ახალი ბაზა ცარიელი ნავიგატორის ნაწილით.

ობიექტების დამატება SQL Server-ის მბ-ში

ცხრილის შექმნა შესაძლებელია პროგრამა Access ნებისმიერ პროექტში (გაფართოვებით ".adp") არის ეს ახალი, თუ არსებული. ნებისმიერ შემთხვევაში ეს პროცესი ერთნაირია.

შევქმნათ ცხრილი ცარიელ ბაზაში TestirebaMB.adp. გავხსნათ ეს ფაილი პროგრამა Access-ით,ამოვარჩიოთ ბრძანება Create\Tables\Table Design. ეკრანზე გამოჩნდება კონსტრუქტორის ფანჯარა. შეამჩნევთ, რომ ფანჯარა ოდნავ განსხვავებულია Access-ის ჩვეული ცხრილების კონსტრუქტორისაგან. შეიტანეთ ველიბი თანმიმდევრობით ზემოდან ქვემოთ. თითოეულ ველს აქვს ხუთი სვეტი შესავსები: დასახელება, ტიპი, სიგრძე, ცარიელი მნიშვნელობის დაშვება, აღწერა. დაუნიშნეთ

გასაღები და შეინახეთ. ამის შემდეგ გადადით ცხრილის რეჟიმში და შეიტანეთ მონაცემები. ეს პროცესები არ შეცვლილა და ანალოგიურია Access-ში მიღებულ პროცესებისა.

ცხრილი tblDisciplina–სია შექმნილი კონსტრუქტორის რეჟიმში წარმოდგენილია სურათზე 3.




სურ 3. ცხრილი tblDisciplina–სია, შექმნილი კონსტრუქტორის რეჟიმში

შეამჩნევთ, რომ განსხვავებულია მონაცემების ტიპები, თუმცა გარკვეული შესაბამისობა მაინც არის. ტიპების ჩამონათვალში არ არის AutoNumber, თუმცა, თუ ველს ტიპს „int" დაუნიშნავთ და თვისებაში Identity მიუთითებთ Yes, მიიღებთ ველს, რომელიც ჩანაწერებს უნიკალურ მნიშვნელობებს ანიჭებს. ქვემოთ ცხრილში მოცემულია SQL Server-ის და Access-ის მონაცემების ტიპების შესატყვისობა:

| Access-ის მონაცემების ტიპები | SQL Server-ის ეკვივალენტი |
|---|---|
| Taxt | nvarchar |
| Memo | ntext |
| Number, integer | smallint |
| Number, Long integer | int |
| Number, single | decimal |
| Number, byte | tinyint |
| Number, replicationID | uniqueidentifier |
| Data/Time | datetime |
| Currency | money |
| AutoNamber | int პარამეტრში Identity მნიშვნელობით Yes |
| Yes/No | bit |
| Hyperlink | nvarchar |
| Attechment | nvarchar, ინახება მარტო ფაილის სახელი |

ჩანაცვლებები

SQL Server-ის კონსტრუქტორს Access-საგან განსხვავებით არ გააჩნია ჩანაცვლებების მოხერხებული პროგრამა-ოსტატი (Lookup Wizard). ამიტომ უნდა აირჩიოთ ველი, რომელშიც გნებავთ გამოიყენოთ ჩანაცვლება, გახსნათ ქვემოთ ჩანართი Lookup და შეიტანოთ ჩანაცვლების მონაცემები (სურ. 3). თვისებაში Display Control აირჩიეთ Combo Box; თვისებაში Row Source Type --Tables/Views/Functions თუ გჭირდებათ მონაცემები დაკავშირებულ ცხრილიდან, თუ მარტო მნიშვნელობების სია უნდა გამოიტანოთ (List Box), მაშინ Value List; თვისებაში Row Source მიეთითება ჩასანაცვლებელი მონაცემები რომელიმე ცხრილიდან, რისთ-

ვისაც გამოიყენება SQL-ბრძანებები, მაგალითად:

SELECT tblFakulteti_sia.fakulteti_kodi, tblFakulteti_sia.fakulteti_dasaxeleba FROM tblFakulteti_sia ORDER BY fakulteti_kodi

თუ ამ თვისების სტრიქონში კურსორს ჩასვამთ, მარჯვნივ ჩნდება პიქტოგრამა წერტილებით. მასზე მოქმედება მოთხოვნის კონსტრუქტორში გადაგიყვანთ, სადაც ქნმით მოთხოვნას და მისი დახურვის შემდეგ, თვისებაში Row Source-ში ავტომატურად ჯდება მოთხოვნის SQL View. დანარჩენი პარამეტრები იდენტურია Access-ა.

კავშირები

მბ-ში კავშირების დადგენისთვის Access-ში ორი გზაა გამოყენებული: მონაცემების სქემის შექმნით (Relationships) და ჩანაცვლებები (Lookup Wizard). SQL Server-ის მბ-ში კავშირების დადგენა ცხრილისთვის სრულდება ხელით კონსტრუქტორის ფანჯარაში.

მაგალითისთვის ავიღოთ tblFakulteti–სია და დავაკავშიროთ ცხრილთან tblSpecialoba_sia. მათ შორის არის კავშირი "ერთი - ბევრთან". გახსენით დაქვემდებარებული ცხრილი tblSpecialoba_sia კონსტრუქტორის რეჟიმში. იმოქმედეთ ღილაკებზე Table Tools\Design\Show/Hide\Property Sheet, ეკრანზე გამოვა ფანჯარა Properties.

გადადით ჩანართზე Relationships და იმოქმედეთ ღილაკზე New, შეავსეთ ცარიელი სტრიქონები ისე, როგორც ნაჩვენებია ფანჯარაში (სურ. 4). დახურეთ ფანჯარა. სისტემა ინახავს ორივე ცხრილს და გატყობინებთ ამის შესახებ.

მოთხოვნები

მოთხოვნებზე ccess da SQL Server განსხვავებული წარმოდგენა აქვთ. იქ, სადაც Access ხედავს მოთხოვნას, SQL Server ხედავს სამ სხვადასხვა ტიპის ობიექტს:

- View - წარმოდგენა. ეს არის იგივე, რაც Access-ში მოთხოვნა შერჩევაზე (Select query).
- User-defined function - მომხმარებლური ფუნქცია. Access-ის პარამეტრული მოთხოვნის ანალოგია.
- Stored procedure - დამახსოვრებული, შენახული პროცედურა. მას შეუძლია შეასრულოს ბევრ სხვადასხვა ამოცანა, მათ შორის ჩანაწერების შერჩევა, ფილტრაცია, ცვლილებების ფიქსაცია, ტრანზაქციების შესრულება.

ჩვენ გავამახვილებთ ყურადღებას წარმოდგენის ტიპის მოთხოვნებზე, რათა მარტივ მაგალითზე ვნახოთ Access-ის და SQL Server-ის ერთობლივი მუშაობა.

შევქმნათ მოთხოვნა, რომელშიც ავარჩევთ ჩანაწერებს კონკრეტულ მასწავლებელზე - რა საგნები აქვს ჩატარებული სპეციალობების და




სურ. 4. კავშირის შექმნა ცხრილებს შორის ბლ აკულტეტი–სია და tblSpecialoba–სია

ჯგუფების შერჩევით. ამისთვის ბრძანებების პანელზე ავირჩიოთ ბრძანება Create\ Query Wizard \ Design View\Ok \.

მოთხოვნის ზემოთა ნაწილში ვირჩევთ სამ ცხრილს, რომლებს შორის დადგენილია ან აქვე ვადგენთ კავშირებს (სურ. 5).




| Column | Alias | Table | Output | Sort Type | Sort Order | Criteria |
|---|---|---|---|---|---|---|
| specialoba_ko |  | StudSpecialob | ✓ | Ascending | 1 |  |
| jgufi |  | tblSpecialoba_ | ✓ | Ascending | 2 | BETWEEN N'170' AND N'185' |
| disciplina_kodi |  | tblDisciplina_s | ✓ |  |  |  |
| masw_kodi |  | tblDisciplina_s | ✓ |  |  | < 8 |

სურ. 5. შ   შერვერ  წარმოდგენის მაგალითი

ქვემოთა ნაწილი განსხვავდება Access-ის Select query მოთხოვნის ბლანკისაგან. წარმოდგენის ველები განლაგებულია სტრიქონებში და არა სვეტებში. ცხრილებიდან ჩამოვიტანოთ ველები, რომლებიც წარმოდგენისთვის გვჭირდება. ეს უკვე სრულფასოვანი მოთხოვნაა, მაგრამ შეიძლება ჩვენ გვინდოდეს ველებით დახარისხება, კრიტერიუმების მითითება, გამოთვლების ჩატარება. სურათზე 8 ნაჩვენებია ჩანაწერების დახარისხება სპეციალობის და ჯგუფების ველებით, მითითებულია შერჩევის კრიტერიუმი ჯგუფებისთვის "175-180" და მასწავლებისტვის კოდით "<8". მოთხოვნის შედეგის ფრაგმენტი მოცემულია მე-6 მესურათზე.

ისევე, როგორც Access-ში შესრულების წინ სისტემა მოგთხოვთ მოთხოვნის შენახვას. შენახვის დროს მოითხოვება სახელი. მოთხოვნა ჩნდება ნავიგატორის ნაწილში.

| სპეციალო | ჯგუფი | დისციპლი | მასწ-კოდი |
|---|---|---|---|
| 40100 | 171-172 | 1003 | 1 |
| 40100 | 177-178 | 1003 | 5 |

სურ. 6. View3 წარმოდგენის შედეგი

წარმოდგენის კიდევ ერთი მაგალითი მოცემულია სურათზე 7. აქ ილუსტრირებულია წარმოდგენა, რომლითაც ვთვლით სტუდენტების რაოდენობას სპეციალობების, ჯგუფებისა და საგნების ჭრილში. ეს მოთხოვნა ანალოგია ცცესსის მოთხოვნის თოტალ. ამ მოთხოვნის შედეგი ნაჩვენებია სურათზე 8.

აქ განხილული საკითხები ცცესს-ისა და შ შერვერ-ის ერთობლივ გამოყენებაზე არ არის ამომწურავი, რჩება ბევრი საკიტხი, რომელიც იმსახურებს თავისი მნიშვნელობით სერიოზულ გარჩევას. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ მათი ეირთობლივი გამოყენებით გადაიჭრება მონაცემთა ბაზების მრავალმომხმარებლური ტექნოლოგიის სრულყოფის საკითხი. ცცესს-პროექტი თამაშობს კლიენტური ნაწილის როლს და მოიცავს მოთხოვნების, ფორმების, ანგარიშგებების, მაკროსებს და პროგრამული კოდის მოდულებს. სერვერზე მონაცემთა ბაზა ინახავს, ამატებს, შლის, ანახლებს, იცავს მონაცემებს, რომლითაც




სურ. 7. წარმოდგენა ბრძანების Group By და Total გამოყენებით

View1

| სპეციალო | დისციპლი | ჯგუფი | სულ |
|---|---|---|---|
| 40100 | 1003 | 155-156 | 25 |
| 40100 | 1003 | 159-160 | 17 |
| 40100 | 1003 | 165-166 | 22 |
| 40100 | 1003 | 167-168 | 14 |
| 40100 | 1003 | 171-172 | 27 |
| 40100 | 1003 | 177-178 | 21 |
| 40100 | 1003 | 183 | 31 |

სურ. 8. View1 წარმოდგენის შედეგი

სარგებლობს კლიენტური ნაწილი. მონაცემთა ბაზაში ასეთი მოქმედებების ჩასატარებლად უკვე არსებობს Access -- პროგრამა დიდი შესაძლებლობებით, რომელსაც ძალუძს ასეთი ოპერაციების შესრულება. რა თქმა უნდა, Access კლიენტური ბაზის შემთხვევაში გადადის ნაკლებად კვალიფიციურ მუშაობაზე - მას გაცილებით მეტი შეუძლია. მონაცემთა ბაზის დამოუკიდებლად მოდიფიცირების მაგივრად, კლიენტური ბაზები უკავშირდება პროგრამა SQL Server-ს, რომელიც ამ შემთხვევაში წარმოადგენს ფაქტიურად Windows-ის მზგავს პროგრამას, მომუშავეს ფონურ რეჟიმში სერვერულ კომპიუტერზე.

ყველაზე მნიშვნელოვანი შესაძლებლობა Access-ში SQL Server-თან ერთად მუშაობის დროს მდგომარეობს იმაში, რომ ვმუშაობთ Access-ის ნაცნობ ფანჯარაში იმ ბრძანებების გამოყენებით, რომლებიც წარმოდგენილია მასში. თუმცა ეს შესაძლებლობა არც თუ ისე უმტკივნეულოა. ჩვენ დავინახეთ, რომ სერვერული მონაცემთა ბაზის ობიექტების შექმნა SQL Server -ისთვის არ არის ისეთი თვალსაჩინოა, როგორც Access-ისთვის.

ამ ბოლო დროს შეიმჩნევა ტენდენცია და დიდი დაინტერესება MS Access-ის და MS კორპორაციის მიერ შექმნილი სხვადასხვა პროგრამული სისტემების ინტეგრაციის სრულყოფით [3]. ვიმედოვნებ, რომ ამ პროგრამული პაკეტების მომდევნო ვერსიებშიც ვიხილავთ ამ მიმართულებით მნიშვნელოვან ცვლილებებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Matthew McDonald. Access 2010: The Missing Manual. O'Reilly Media. 2013

2. Introduing Microsoft SQL Server 2012. Ross Mistry , Stacia Misner . 2012. Published by Microsoft Press, Redmond, Washington 98052-6399, ISBN: 978-0-7356-6515-6.

3. www.microsoftproject.ru. В.Иванов. Microsoft начинает интегрировать MS Project и MS Access в единое ERP-решение?

Using MS Access and SQL Server in database management

TSIRA JAPIASHVILI
Asociated professor of the TSU
Faculty of Economics and Business

Article introduces an approach that gives you a way overcome the limitations of Access and use the database with the much more numerous groups of users. For this Access connects to a powerful Microsoft database server. This combination provides a maximum capacity, as highly reliable database processor - SQL Server, and database-management system Access, with convenient user interface and allowing and facilitating a variety of tasks.

# ПРОБЛЕМЫ МАЛОГО И СРЕДНЕГО БИЗНЕСА В АГРОПРОМЫШЛЕННОМ КОМПЛЕКСЕ КАЗАХСТАНА

Ж.Сүндетұлы
д.э.н., профессор, Казахский университет экономики, финансов и международной торговли, г.Астана

Ф.А. Шуленбаева
д.э.н., профессор кафедры «Менеджмент» Казахского университета экономики, финансов и международной торговли, г.Астана

А. Нукешева
к.э.н., доцент, заведующая кафедрой «Менеджмент» Казахского агротехнического университета им.С.Сейфуллина, г.Астана

*В научной статье изложены проблемы предпринимательских структур в аграрном секторе экономики Казахстана. В процессе переходы к рыночной системе хозяйствования произведены ряд реформ в аграрной отрасли государства. Произошло сокращение посевных площадей, претерпевают изменения организационные формы ведения хозяйства. В работе проведен анализ экономических показателей растениеводства и животноводства. Рассмотрены проблемы формирования законодательных основ для частного предпринимательства. Рекомендовано внедрение кооперативных форм хозяйствования для повышения эффективности сельскохозяйственного производства*

Ключевые слова: субъекты малого и среднего бизнеса, крестьянские (фермерские) хозяйства, деконцентрация производства, нарушение технологии производства, устойчивое развитие сельского хозяйства, повышение конкурентоспособности продукции, личные подсобные хозяйства.

Уровень развития предпринимательских структур в сельском хозяйстве Казахстана следует оценивать как невысокий. Так, на начало 2012 года в отрасли числилось всего 201537 субъектов предпринимательства, в том числе 10304 юридических лиц, 706 индивидуальных предпринимателей и 190527 крестьянских (фермерских) хозяйств (К(Ф)Х). В 2011 году по сравнению с 2010 годом численность активно действующих субъектов малого и среднего предпринимательства выросла лишь на 2,5%, в основном за счет крестьянских (фермерских) хозяйств. Количество индивидуальных предпринимателей, малых и средних предприятий за этот период даже уменьшилось.

На практике довольно четко обнаруживается специализация сельхозформирований в производстве сельскохозяйственной продукции по регионам и земельной территории. Так, жители более крупных населенных пунктов и пригородных сел успешно занимаются производством картофеля, плодов, овощей и молочного скотоводства, отдаленных от районных и областных центров – мясным скотоводством, овцеводством и коневодством.

Сельхозпредприятия и крестьянские (фермерские) хозяйства специализируются в основном на продукции растениеводства с преобладанием зернового производства. Этому соответствует и складывающаяся структура посевных площадей, где на долю зерновых в сельхозпредприятиях приходится 81 %, в крестьянских (фермерских) хозяйствах до 73 %. За последние годы уменьшаются размеры землепользований в расчете на 1 хозяйство: если в 1990 г. на 1 сельхозпредприятие приходилось 40140 га сельхозугодий, в том числе пашни 7230 га, сенокосов и пастбищ 32910 га, то в 2011 г. соответственно – 7540 га, 2632 га и 4642 га. В крестьянских (фермерских) хозяйствах – площади сельхозугодий сократились с 498 га до 252 га, пашни – с 89 до 48 га, сенокосов и пастбищ – с 493 га до 195 га. За средними показателями по размерам землепользований в сельхозформированиях имеются большие различия: так,

около 48 % сельхозпредприятий имеют очень мелкие размеры пашни – в пределах 140-145 га и только у 9,2 % предприятий – до 18-20 тыс.га. В основном крупные предприятия сосредоточены в областях северного региона (зернопроизводящие). Среди крестьянских (фермерских) хозяйств – 84,9 % имеют площадь пашни – до 9 га и только 1,2 % - в среднем 900 га.

Большие изменения претерпело животноводство: поголовье всех видов скота (в пересчете на условные головы) сократилось за период 1990-2010 гг. на 38,2 %. Наряду с сокращением произошло перераспределение поголовья по категориям хозяйств: намного понизилась доля сельхозпредприятий – здесь сосредоточено всего 9,0 %, в крестьянских (фермерских) хозяйствах – 15,4 %, остальное поголовье 73,0 % - в хозяйствах населения.

Оценку эффективности сельскохозяйственных формирований невозможно дать одним показателем. Один типсельскохозяйственных предприятий(производственные кооперативы) ориентирован на получение валового дохода, поскольку доход участников (членов кооператива) является суммой оплаты труда и распределяемой прибыли. Другой тип хозяйствования основан на частной собственности учредителей (агрохолдинги, хозяйственные товарищества) и заинтересован, главным образом, в получении максимума дохода за короткие сроки. Одни предприятия выигрывают за счет больших масштабов деятельности (в том числе при лоббировании своих интересов), другие – за счет более эффективного использования своих ограниченных ресурсов и предпринимательских рисков.

Важнейшие характеристики при оценке эффективности предпринимательской деятельности дают ее финансовое состояние и финансовые результаты. Они определяют ее конкурентоспособность и гарантируют экономические интересы всех участников деловых отношений.

По данным Агентства РК по статистике, общий объем валовой продукции сельского хозяйства в 2011 году по сравнению со средними показателями 2001-2005 годов вырос в 3,6 раза, 2006-2010 годами – в 1,8 раза, а с 2010 годом – в 1,6 раза. В структуре валового производства продукции в 2011 году доля сельскохозяйственных предприятий составляет 28,3%, крестьянских (фермерских) хозяйств – 25,3%, хозяйств населения – 46,4%. Соотношение значительно различается по отраслям. Так, удельный вес сельскохозяйственных предприятий при производстве продукции растениеводства достигает 41,7%, животноводческой продукции – лишь 9,3%. В производстве животноводческой продукции доля хозяйств населения составляет 80,5%.

Несмотря на принимаемые меры в последние годы по улучшению экономических условий функционирования сельхозпредприятий и крестьянских (фермерских) хозяйств еще не удается обеспечить их устойчивое и динамичное развитие. Сложившиеся в основной массе мелкие сельхозформирования не имеют возможности использовать передовые технологии в производстве, инновационное обновление материально-технической базы, определяющие низкую эффективность производства. Деконцентрация производства (небольшие размеры пашни, мелкие животноводческие фермы) определила нарушение технологии производства, снижение эффективности деятельности сельхозформирований: из года в год число убыточных предприятий фактически не снижается и находится на уровне – от 18 до 32 %, довольно большой процент приходится на предприятия, закончивших год с нулевым результатом, т.е. окупаются только затрат

Анализ финансовой деятельности предприятий показывает, что большинство из них не располагает достаточными доходами для долгосрочных вложений, в то же время повышение доходности является одним из главных направлений обеспечения устойчивого развития сельского хозяйств, т.е. повышения его конкурентоспособности. Так, в среднем на 1 сельхозпредприятие валовой доход от реализации продукции сельского хозяйства (прибыль) за 2005-2010 гг. составил всего лишь 2,0-17,3 млн. тенге с колебаниями по регионам от 0,3 до 41,0 млн. тенге. Довольно низкий валовой доход (прибыль) имеют предприятия южного и западного регионов – от 0,5 до 6,0 млн. тенге.

Крестьянские (фермерские) хозяйства в основном сложились как мелкие хозяйства, за исключением северных областей, где размер пашни в среднем на 1 хозяйство составляет 290-320 га, объем валовой продукции – более 3,5 млн тенге и валовой доход (прибыль) от реализации продукции в пределах 0,9-2,8 млн. тенге. В южном регионе размещено 72,7 % всех К(Ф)Х, однако на их долю приходится всего 41,6 % товарной продукции и 32,9 % валового дохода (прибыли), полученных от реализации продукции сельского хозяйства во всех К(Ф)Х республики.

В отраслях растениеводства экономические показатели сельскохозяйственных предприятий и крестьянских (фермерских) хозяйств имеют некоторые различия по видам продукции.

За последние два года (2010-2011гг) продуктивность скотоводства в сельскохозяй¬ственных предприятиях по сравнению с крестьянскими хозяйствами немного повысилась. Связано это с улучшением генофонда в скотоводстве, ко¬торое было осуществлено путем завоза скота из-за границы.

Однако в сфере реа¬лизации крестьянские (фермерские) хозяйства имеют явное преимущество, которое ведет к высокой рентабельности мяса и молока. Крестьянские (фер¬мерские) хозяйства, несмотря на

почти одинаковый уровень себестоимости продукции и на низкую продуктивность животных, при реализации мяса формируют высокие цены (на 30 %) и повышают свои доходы. Правильно используя условия на этапах между производителями и потребителями, они добиваются повышения уровня рентабельности мяса до 40 % и выше, тогда как сельскохозяйственные предприятия – чуть выше 10 %. Низкая концен-трация поголовья в крестьянских (фермерских) хозяйствах и малый объем продукции позволяют выбрать наиболее эффективные маркетинговые каналы реализации, ко¬торые приводят к сокращению потерь продукции и к быстрому удовлетворению потребностей целевого сегмента по качеству.

В аграрном секторе Казахстана к малому и среднему бизнесу относится практически все сельское хозяйство, включая домашние хозяйства. По методологии статистики к хозяйствам населения или домашним хозяйствам относятся личные подсобные хозяйства населения, коллективные сады и огороды, дачные участки. Раньше ЛПХ носило в основном некоммерческий характер производства и вторичный характер занятости. При переходе к рыночной экономике произошли значительные изменения в занятости сельского населения, развивается малое и среднее предпринимательство. При этом личные подсобные хозяйства относятся к непредпринимательской деятельности, не требуются их регистрация, и они не облагаются подоходным налогом. Однако в современных условиях личные подсобные хозяйства (ЛПХ) стали самостоятельными субъектами производства и важной сферой приложения труда. Они обеспечивают жителей села не только работой и основными видами продуктов питания, но и значительную часть из них реализует на рынках. Например, в 2011г. хозяйства населения произвели 46,4 % валовой продукции сельского хозяйства, в том числе продукции растениеводства – 22,0 %, животноводства – 80,5 %.

Идентификация животных в скотоводстве, их биркование, которая происходила в 2011 г., позволила получить реальную картину по поголовью крупного рогатого скота, оно снизилось к началу 2012 года на 7,6%. Однако уменьшение поголовья скота во всех категориях в 2011 г. наблюдается не только в скотоводстве, но и свиноводстве, верблюдоводстве. Дело в том, что снижение поголовья по всем видам животных произошло в основном за счет домашних хозяйств. Сброс поголовья в домашних хозяйствах, где производится основная часть продукции, может превратиться в тенденциозный процесс. Для этого есть сейчас все основания: это - отсутствие государственной помощи и невыгодность производства мяса и молока в домашних хозяйствах. Эти два фактора, если не принять эффективную политику по поддержке домашних хозяйств, в ближайшее время, могут сыграть роковую роль в сохранении продовольственной безопасности. Ныне в законодательных актах организационно-правовой статус их не определен. При этом отношение к ЛПХ носит дискуссионный характер, как среди экономистов-теоретиков, так и практиков-управленцев. Одни считают, что ЛПХ для многих жителей села стали основной формой занятости и источником валового дохода семей и предлагают их учитывать наравне с другими хозяйствующими субъектами АПК. Другие - их включают в число самозанятого населения и тем самым снижают уровень безработицы.

Считаем целесообразным, разработать закон РК «О трансформации (преобразовании) личных подсобных хозяйств в индивидуальные предприниматели, крестьянские или фермерские хозяйства». Реформирование личных подсобных хозяйств должно осуществляться эволюционным путем. При этом возможны различные варианты их развития. По результатам опросов региональных и местных органов управления, сельских акимов и непосредственных жителей сел, в первую группу можно включить домашние хозяйства, расположенные в пригородных зонах (до 50-70 км) и сельских районах, которые имеют возможность непосредственно реализовать свои продукции (51% и более) на местных и региональных товарных рынках в целях получения прибыли. Удельный вес таких хозяйств достигает до 25% общей их численности в зависимости от видов производимой продукции и местоположения. Их деятельность можно отнести к предпринимательской, и они могут быть преобразованы в крестьянские или фермерские хозяйства. Вторая группа ЛПХ реализует часть своей продукции (25 – 50%) для получения наличных денежных средств, требующихся на приобретение необходимых товаров и услуг. Эта группа хозяйств, при определенной государственной поддержке и льготном режиме, может развиваться как индивидуальные предприниматели. Третья группа хозяйств, особенно в отдаленных районах, а также имеющие специфические виды деятельности (выращивание грибов, ягод и др.) сохраняет свой старый статус и выполняет функции самообеспечения семьи продовольствием и удовлетворения своего «хобби». Для первой и второй группы хозяйств необходимо выделить земельные участки из земель, закрепленных за сельскими населенными пунктами.

В существующем законодательстве еще недостаточно регулируются нормативно – правовые основы крестьянских (фермерских) хозяйств. Прежде всего, в Гражданском кодексе вообще отсутствует понятие крестьянских или фермерских хозяйств. Нет четких их критериев и в специальных законах «О крестьянском (фермерском) хозяйствах» (1968 г.) и «О внесении

изменений и дополнений в некоторые законодательные акты по вопросам деятельности крестьянских или фермерских хозяйств» (2011г.). Научно-практической основой крестьянских или фермерских хозяйств должна быть семья. В нынешних условиях семья – основа (образ) сельской жизни и порождает сознательное отношение к труду. В КФХ члены семьи принимают трудовое участие в его деятельности, а дети получают трудовое воспитание. Крепкая семья – основа закрепления молодежи на селе и устойчивого развития сельского хозяйства.

Мировая практика развития сельского хозяйства (Западная Европа, США) показывает, что наиболее удачной формой укрупнения производства является не «помещичье» хозяйство, а кооперативное объединение, где труженики являются собственниками земли, имущества и произведенной продукции. В этой связи, по нашему мнению, необходимо внедрение кооперативных объединенных форм ведения сельского хозяйства, для успешного преодоления процессов реформирования агропромышленного комплекса Казахстана.

Список литературы:

1. Малое и среднее предпринимательство в Республике Казахстан. 2006-2010. –Агентство РК по статистике. – Астана, 2011.

2. Закон Республики Казахстан «О частном предпринимательстве» (2006 г., с изменениями и дополнениями на 05.07. 2011 г.):

3. Закон Республики Казахстан «О внесении изменений и дополнений в некоторые законодательные акты по вопросам деятельности крестьянских или фермерских хозяйств» (Утвержден Президентом РК 24 марта 2011 г.).

## Problems of small and medium businesses in the agricultural sector of Kazakhstan

J. Sundetuly

F.L. Shulenbayeva

A. Nukesheva

In a scientific paper problems of business structures in the agricultural sector of Kazakhstan are stated. In the process of transition to a market economy a series of reforms in the agrarian sector of the state have been produced. The reduction of sown areas, are changing into organizational forms of farming. The paper analyzes the economic performance of crops and livestock. Problems of the formation of the legislative framework for private enterprise are considered. Introduction of cooperative farming regarding the improvement of the efficiency of agricultural production is recommended.



რუბრიკა მიჰყავს ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრს ომარ შუღრას

# მენეჯერი და კარიერა

აბრამიშვილი მ.
მრავალპროფილიანი საერო სკოლის („დეა") სპეცჯგუფის მოსწავლე

მენეჯერის მოვალეობა, მრავალმხრივი ორგანიზაციული საქმიანობა. ის ვალდებულია შექმნას ორგანიზაციის მყარი სტრუქტურა, იზრუნოს მის პროდუქტიულობაზე. არა მხოლოდ თვალყური ადევნოს ხელქვეითებს, არამედ უზრუნველყოს მათი წარმატებული მუშაობა, დაიცვას მათი უფლებები და ხელი შეუწყოს თანამშრომელთა განვითარებას.

მენეჯერის ძირითადი ფუნქციებია:

- დაგეგმვა - ორგანიაციის მიზნებისა და მოქმედებების ჩამოყალიბება;
- ორგანიზება - თანამშრომლების მუშაობის ეფექტურობის გაზრდა;
- კოორდინაცია - კავშირების დამყარება მიზნების მისაღწევად;
- მოტივაცია - ,,გამომაფხიზლებელი" პირობების შექმნა თანამშრომლებისთვის.
- კონტროლი - სამუშაო პროცესების გამოკვლევა, შესრულების დრო, შეცდომების აღმოჩენა და აღმოფხვრა.

მენეჯერი წარმატებული რომ გახდეს, საჭიროა, მან გაიაზროს თავისი მოვალეობები, ხოლო ამის შემდეგ შეეცადოს, საქმე ყველაზე უკეთ შეასრულოს. ამისთვის მას დაეხმარება რესურსები ანუ ისეთი საშუალებები, რომლებიც შეუძლია წარმატებით გამოიყენოს ორგანიზაციის მართვის პროცესში. ესენია: ადმინისტრაციული (თანამშრომელთა კონტროლი, აზრთა გაცვლა, დელეგირება), პროფესიული (დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება) და ფსიქოლოგიური (აზროვნების მიმართულება, ლოგიკური მსჯელობა და შესაძლებლობები).

რა თქმა უნდა, არსებობენ წარმატებული და წარუმატებელი, ანუ საშუალო მენეჯერები. საინტერესოა, რა არის მათ შორის მთავარი განმასხვავებელი ნიშნები? თუ ჩვენ ამ კითხვას ,,საშუალო" მენეჯერს დავუსვამთ, ის გვიპასუხებს, რომ ამის მთავარი მიზეზი იღბალია, მაგრამ ალბათ, არ იქნება სწორი, თუ დავეყრდნობით მხოლოდ ამ პასუხს. იღბალი მეტად არაპროგნოზირებადია, შეგვიძლია ჩვენ ვიბრძოლოთ მისთვის ან უბრალოდ, მთელი ცხოვრება მის მოლოდინში გავატაროთ. მთავარი განსხვავება წარმატებულსა და ,,საშუალო" მენეჯერებს შორის არის მონდომება, ნებისყოფა გვწამდეს, რომ არ არსებობს რაიმე, რისი გაკეთებაც შეუძლია სხვას და არა ჩვენ, რომ არავინაა ჩვენზე უკეთესი, მოხერხებული და ჭკვიანი. წარმატების მისაღწევად ერთ-ერთი მთავარი და მნიშვნელოვანი კომპონენტი სწორედ მონდომებაა. ჩვენს მონდომებას არა მარტო ჩვენი კონკურენტი, არამედ უფროსიც დაინახავს. ამის შემდეგ კი წარმატების მისაღწევად ყველაზე უკეთ საკუთარი ხასიათი დაგვეხმარება. ჩვენ ხასიათის სიმტკიცე უნდა შევინარჩუნოთ და ყველაფერს ოპტიმისტურად შევხედოთ. რა არის ოპტიმიზმი, თუ არა ადამიანის განწყობა, რომ აკეთოს საქმე მონდომებულად და განსხვავებულად. ოპტიმისტისთვის დროებითი კრახი არ ნიშნავს ყველაფრის დასრულებას, მისთვის ეს ახალი შესაძლებლობაა მიიღოს გამოცდილება. ამიტომ, რჩევა მომავალი მენეჯერებისთვის - ყველა წარუმატებელი შემთხვევისგან შეიძლება გამოცდილების მიღება, რომელიც მომავალში დაგეხმარებათ.

შემდეგი თვისება, რომელიც მენეჯერს

აუცილებლად დაეხმარება წარმატების მიღწევაში, არის ენთუზიაზმი. ეს ადამიანის კიდევ უფრო დიდი შემართებაა, როდესაც ის დარწმუნებულია საკუთარ თავში, ორიენტირებულია წარმატებაზე და ყველაფერს აკეთებს ამისთვის. ენთუზიამი გვეხმარება, რომ არ მივცეთ თავს უფლება გულგრილად მოვეკიდოთ სამუშაოს. „საშუალო" მენეჯერების უმეტესობას კი ეს არ გააჩნია, ამიტომ კიდევ ერთი განსხვავება ,,საშუალო'' და წარმატებულ მენეჯერებს შორის არის ენთუზიაზმი.

თანამედროვე ეპოქაში ყველა ბიზნესმენი ეძებს ისეთ ადამიანს, რომელიც თავისი საქმის პროფესიონალია, მაგრამ ჩნდება შეკითხვა: როდის ითვლება ადამიანი პროფესიონალად? ,,საშუალო'' მენეჯერები საკუთარ თავს უკვე პროფესიონალებად თვლიან და ფიქრობენ, რომ მათ მიაღწიეს გარკვეულ წარმატებას, ხოლო წარმატებული მენეჯერები ყოველივე ამას სხვაგვარად აფასებენ. ისინი თვლიან, რომ პროფესიონალები არიან მხოლოდ მაშინ, როდესაც მათზე სხვები, როგორც პროფესიონალებზე ისე ლაპარაკობენ. ზოგიერთ ადამიანს ჰგონია, რომ პროფესიონალიზმი არის მის მიერ წარმატებულად შესრულებული სამუშაო, რეალურად კი ეს მხოლოდ პროფესიონალიზმისკენ გადადგმული სულ მცირე ნაბიჯია.

წარმატებული და პროფესიონალი მენეჯერის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია რეპუტაცია. აღსანიშნავია, რომ საქართველოში მას არაფრად აგდებენ და არც უფრთხილდებიან. რეპუტაციას თავად ჩვენ ვქმნით, ამიტომ ნებისმიერ სამსახურსა და თანამდებობაზე მნიშვნელოვნად აისახება მისი გავლენა. შესაძლოა, რომ ჩვენი პროფესიონალიზმი რეპუტაციამ დაჩრდილოს, ამიტომ უნდა ვიყოთ წინდახედულები. თითოეული ქმედება განვსაზღვროთ წინასწარ, რაც ხაზს გაუსვამს ჩვენს ლიდერობას. წარმატებული რომ გავხდეთ, უნდა გაგვაჩნდეს სამი მნიშვნელოვანი კომპონენტი: პიროვნული თვისებები(უნარები), გამოცდილება და განათლება. უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ ეს სამი კომპონენტი ერთად გამოვიმუშავოთ და არა ცალ-ცალკე. ძალიან ბევრი პრაქტიკოსი ბიზნესმენის აზრით უკეთესია, რომ სამსახურში აიყვანონ ადამიანი, რომელსაც აქვს უფრო კარგი პიროვნული თვისებები ვიდრე პროფესიონალიზმი, რადგან ბიზნესში ყველაფერს გრძელვადიანი სტრატეგიით ხედავენ. მენეჯერისთვის საჭირო უნარები, რომლებიც უფრო გაგვიადვილებს წარმატებისკენ მიმავალ გზას (ჩარლზ გიბონის მიხედვით), შემდეგია:

1. მიზნების სწორად დასახვა;
2. რესურსების, პრიორიტეტების მიხედვით განაწილება;
3. გადაწყვეტილების მიღება და პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება;
4. კომპრომისზე წასვლა;
5. დავალებების განაწილება;
6. თვითმოტივაცია და თვითკონტროლი;
7. სამუშაოს ორგანიზება,დაგეგმვა და კომუნიკაცია (რესურსების ეფექტური გამოყენების მიზნით);
8. კარგი ურთიერთობა თანამშრომლებთან;
9. ემოციური სტაბილურობა;
10. ობიექტური თვითშეფასება და შეცდომების აღიარების უნარი.

დღევანდელი ცხოვრების სწრაფი რიტმის გამო, მენეჯერს დროის დეფიციტი აქვს, როგორ უნდა მოახერხოს მან ასეთ ვითარებაში გამოცდილების მიღება. გამოცდილების სწრაფად მიღებისთვის საჭიროა, რომ ყოველდღე გავაანალიზოთ მნიშვნელოვანი მოვლენები, ვაღიაროთ შეცდომები და ვიფიქროთ მათი გამოსწორების გზებზე. ასევე, კარგი იქნება, რომ გვყავდეს ისეთი ადამიანები, ვინც ჩვენთვის მისაბაძია. ჩვენ შევძლებთ ნათლად დავინახოთ მათი დადებითი თვისებები. მაგ.: ორატორული ნიჭი, ადამიანის დარწმუნების უნარი, თავდაჯერებულობა და ამის შემდეგ შევადაროთ ჩვენს ქმედებებს.

ჩვენი კარიერის განმავლობაში, არაერთი საპასუხისმგებლო გადაწყვეტილების მიღება მოგვიწევს. სწორედ იმისთვის, რომ მივიღოთ უფრო ეფექტური გადაწყვეტილება, ნაკლები ძალისხმევით, საჭიროა გამოვიყენოთ წესი ,,80-20'', რომელსაც საფუძვლად უდევს პარეტოს პრინციპი. ის კარგად გამოიყენება ისეთ სიტუაციებში, სადაც საჭიროა მრავალი შესაძლებლობიდან ერთის არჩევა. მისი გამოყენებისთვის უნდა გავიაროთ სამი საფეხური:

- შევადგინოთ სია, ჩამოვწეროთ ყველა ჩვენი ალტერნატივა. თუ ბევრი პუნქტი დაგვიგროვდა, მაშინ დავაჯგუფოთ მსგავსები;
- შევაფასოთ ალტერნატივები. ყოველ პუნქტს დავუწეროთ ნიშანი. ისინი უნდა იყოს განსხვავებული, ალტერნატივების ხასიათის მიხედვით.
- ავირჩიოთ პრიორიტეტული 20%, ყველაზე მაღალი ნიშნის მქონე საქმე მოგვიტანს ყველაზე მეტ სარგებელს. დანარჩენი ალტერნატივები დავივიწყოთ, რადგან ისინი ბევრ დროს წაგვართმევენ და ნაკლებ სარგებელს მოგვიტანენ.

მენეჯერის კარიერული წინსვლისთვის

მნიშვნელოვანია აგრეთვე ,,საიდუმლო იარაღის'' გამოყენება. ვისაც შეუძლია მისი გამოყენება, ის სხვებზე უფრო ხშირად აღწევს წარმატებას. მენეჯერს, რომელსაც შეუძლია დელეგირება, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ჩაითვალოს კარგ ორგანიზატორად; ის არ ითხოვს თანამდებობებს, მას სთავაზობენ თანამდებობებს. ,,საიდუმლო იარაღის'' მფლობელებმა გარკვეულწილად ამოხსნეს კარიერის საიდუმლო. ამ მეთოდით მენეჯერი მმართველობის ერთ-ერთ ძირითად მცნებას ეუფლება; ,,მე კი არ უნდა ვემორჩირებოდე სამუშაოს, სამუშაო უნდა მემორჩილებოდეს მე''.

# К ВОПРОСУ ОФИСНОЙ КОНФЛИКТОЛОГИИ

Бухальцева Виктория

Многопрофильная частная школа «Деа»

Офис без конфликтов - это пустой офис. Там где есть люди - всегда будут трения, размолвки и недопонимания. Что такое конфликт? Конфликт - это встреча двух разных мнений, при которой одна из конфликтующих сторон не принимает позицию другой стороны. Если говорить образно, то конфликт подобен пламени, которое эмоционально подпитывает враждующие стороны.

В своем роде конфликт является одним из средств управления. К сожалению, широко распространено отрицательное отношение ко всяким конфликтам. Поэтому, ошибка большинства руководителей состоит в том, что они, либо не хотят вмешиваться, либо подавляют конфликты без разбора. Конфликт - это всегда неприятные эмоции, нарушение взаимоотношений, потеря психологического равновесия, но если вести его правильно, то он способствует повышению эффективности деятельности.

В конфликте всегда существуют: объект конфликта, участники - „оппоненты” , база конфликта и цели. Часто конфликт переходит из сферы деловых в чисто личностную. Но дело в том, что цели личного характера, непривязанные к целям групп или тем более противоречащие им, достигаются с большим трудом, при большом сопротивлении окружения, они относительно менее осуществимы, чем цели групп. Для существования конфликта одним из главных условий является неделимость объекта спора. Она может быть как физическими свойствами объекта, так и следствием желаний или интересов одного из оппонентов.

Очевидно, что объект, цели, оппоненты в одной и той же конфликтной ситуации связаны определенными отношениями. Надо заметить, что люди, участвующие в конфликте, различны по профессиональной подготовленности, жизненному опыту, чертам характера и темперамента, что откладывает отпечаток на мнения и порождают противоборства.

В некоторых ситуациях столкновения мнений становится самоцелью, а не конфликтом, что оказывает дезинтегрирующее воздействие на деятельность коллектива.

Можно зафиксировать важную закономерность динамики деловых конфликтов. Она состоит в том, что любой деловой конфликт или цепь деловых конфликтов, имеет тенденцию переходить в эмоциональный конфликт.

Другими словами, затянувшийся деловой конфликт может привести к „потере” цели и сформулировать негативное отношение оппонентов друг к другу. Пожалуй, это самая большая опасность, которая кроется в конфликтах. Искусственное затягивание конфликта, стремление руководителей не замечать или заглушать инциденты, приводят к напряженным отношениям между людьми и группами. Чтобы конфликт не перерастал в эмоциональный,он должен находится под контролем руководителя.

Сотрудники офиса чаще всего довольно легко фиксируют окончание конфликта. Как? По каким признакам? Одним из таких признаков служит завершение, а не перерыв в его развитии. Окончание данного инцидента может произойти в единственном случае - в случае изменения конфликтной ситуации: цели, объекта, оппонентов. Цели конфликта могут изменяться под влияниями обстоятельств, в результате переговоров и компромисса.

Объект конфликта может быть изъят или заменен другим объектом. Может измениться отношение оппонента к объекту или один из оппонентов может отказаться в пользу другого. Наконец, один из оппонентов может устраниться от участия в конфликте.

В технике ведения спора важно вовлекать в дискуссию по вопросам, в которых противник менее компетентен, и где он будет сам себя компрометировать.

Очень часто во время конфликта используют

различные виды борьбы. Неплохо обратится к девизу: „Разделяй и властвуй. ” Это пример успеха в борьбе, достигнутого благодаря расчленению сил противника. Частым случаем такого расчленения сил является разжигание конфликта между членами коллектива. Мудрый оппонент объединится со слабым, а не наоборот, чтобы потом не остаться с сильным противником один на один. Один из главных указаний техники борьбы гласит, что следует стремиться выводить из строя руководящие личности коллективов. Это указание приемлемо и к технике ведения диспутов. Когда аргументация противника ведется по определенной системе, когда некоторые из его аргументов получают характер посылок доказательства, ловкий оппонент атакует главным образом эти положения, так как опровержение основ аргументации подрывает доказательность всего, что опирается на эту основу.

Интересные примеры применения метода затяжки можно наблюдать в технике ведения спора. Выжидают момента, когда выскажутся все другие и берут слово в самом конце, когда уже никто из противников не сможет дать ответ.

Именно борьба является той формой деятельности, где люди нарочно затрудняют друг другу достижение целей, усиливая давление принудительных ситуаций, критических положений. Но беспощадная борьба, захватнические и враждебные акты агрессии, интриги и шантаж тоже являются частыми случаями борьбы.

Можно сказать, что техника борьбы, как и любая техника, может применяться с пользой для людей или им во зло. Важно так же, что знание приемов вооружает в известной степени честных людей в борьбе против таких методов.

В итоге, можно сказать, что конфликтная ситуация таит в себе больше возможности для личного развития. Важно уметь ими воспользоваться.

გამოხმაურება

# პროფესორ ირინა გუროვას "მსოფლიო ეკონომიკა" ქართულ ენაზე გამოიცა




"მსოფლიო ეკონომიკა" მნიშვნელოვანი სასწავლო დისციპლინაა, რომელიც საქართველოს მრავალ უმაღლეს სასწავლებელში ისწავლება. აღნიშნულ საგანში, განსაკუთრებით ქართულ ენაზე წიგნის გამოცემა მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს. სწორედ ამიტომ, მისასალმებელია ცნობილი ავტორის, პროფესორ ირინა გუროვას ორიგინალური წიგნის "მსოფლიო ეკონომიკის" ქართულ ენაზე თარგმნა და გამოცემა.

ჩვენი მიზანი არაა წიგნის დაწვრილებითი მიმოხილვა, მაგრამ დაინტერესებულ მკითხველს მასზე გარკვეული წარმოდგენის შესაქმნელად აღვნიშნავთ, რომ წიგნის წერისას პროფესორი ი. გუროვა მთლიანად ეფუძნება გაეროს შესაბამისი ორგანიზაციების, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციისა და მრავალი სხვა ორგანიზაციების ანგარიშებსა და მოხსენებებს.

სახელმძღვანელოში შესწავლილია თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკა: მსოფლიო მეურნეობის რთული ბუნება, მისი რესურსები, მათი გამოყენება ეკონომიკური საქმიანობის პროცესში, კვლავწარმოების მექანიზმები, აგრეთვე ის პროცესები, რომლებიც იწვევს მსოფლიო ეკონომიკის მთლიანობის ზრდას. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა რუსეთის, როგორც მსოფლიო ეკონომიკის შემადგენელი ნაწილის, პრობლემებს.

სახელმძღვანელო შედგება სამი კარისგან. I კარში შესწავლილია მსოფლიო მეურნეობის ბუნება, სტრუქტურა, მისი ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები, აგრეთვე ძირითადი კანონზომიერებები და ტენდენციები, ისეთი, როგორიცაა: ინტეგრაცია და გლობალიზაცია. II კარში განხილულია მსოფლიო მეურნეობის სხვადასხვა რესურსი: ბუნებრივი, ადამიანური, კაპიტალის და ინფორმაციული. III კარი ეძღვნება მსოფლიო მეურნეობის სტრუქტურის შესწავლას, მისი კვლავწარმოების პრობლემებს, ციკლურობის ბუნებას, ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებას, სტრუქტურულ ცვლილებებს, სოციალურ განვითარებას.

სახელმძღვანელოს თავისებურება ისაა, რომ მასში დიდი ყურადღება ეთმობა მსოფლიო მეურნეობის რაოდენობრივ გაზომვას. მდიდარი და მრავალფეროვანი სტატისტიკური მასალა, ამოღებული საერთაშორისო ორგანიზაციების ისეთი რეგულარული პუბლიკაციებიდან, როგორიცაა: „მსოფლიო ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლები" (მსოფლიო ბანკი), „საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა" (მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია), „მსოფლიო ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები" (საერთაშორისო სავალუტო ფონდი), „გაერო-ს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის სტატისტიკური ცნობარი", წარმოდგენილია ცხრილების სახით. სახელმძღვანელოში შესწავლილია მაჩვენებლები, რომლებსაც ფართოდ იყენებენ საერთაშორისო ორგანიზაციები. ესენია: გამოვლენილი შედარებითი უპირატესობის კოეფიციენტი, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაობის ინტენსიურობა, კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის მაჩვენებლები და მისი ინტეგრირებულობა, მსოფლიო ბაზარში, ექსპორტის კონცენტრაციის კოეფიციენტი, ინტეგრაციის მაჩვენებლები გლობალურ ეკონომიკაში და სხვ.

ყოველი თავი შეიცავს პრაქტიკულ დავალებებს, რომლებიც მიმართულია სტატისტიკური მონაცემების დამოუკიდებელი გაღრმავებული შესწავლისკენ. დამოუკიდებლად მუშაობის დროს სტუდენტს აგრეთვე დაეხმარება ვრცელი ბიბლიოგრაფიული სია. სიაში მითითებებია იმ საერთაშორისო ორგანიზაციების რეგულარულ გამოცემებზე, რომლებიც ახორციელებდნენ მსოფლიო ეკონომიკის მონიტორინგს და კვლევას. სახელმძღვანელოს მეთოდური კომპლექსი შედგება სასწავლო და საინფორმაციო მასალებისგან.

სასწავლო ბლოკის მიზანია, სტუდენტებს სასწავლო-მეთოდური დახმარება გაუწიოს დამოუკიდებელი სამუშაოს ორგანიზებაში. ის მოიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს საკურსო ნაშრომების დასაწერად მსოფლიო ეკონომიკასა და საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებზე, ასევე – მეთოდურ რეკომენდაციებს სახელმძღვანელოში მოყვანილი სასწავლო დავალებების შესასრულებლად.

საინფორმაციო ბლოკის დანიშნულება კი ისაა, რომ უზრუნველყოს სტუდენტები საინფორმაციო მასალებით დამოუკიდებელი სამუშაოსთვის. ის მოიცავს სტატისტიკას, რომელიც წარმოდგენილია ცხრილებსა და დანართებში, აგრეთვე ლიტერატურის გაფართოებულ სიას მსოფლიო ეკონომიკის პრობლემების შესახებ.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ჩვენი ქვეყნისადმი ავტორის კეთილგანწყობას და თბილ დამოკიდეულებას. სახელმძღვანელოში იგი სპეციალურ წინასიტყვაობას აკეთებს ქართველი მკითხველისთვის, რომელსაც სრულად გთავაზობთ:

“ძვირფასო ქართველო მკითხველო!

მე დავიბადე ბელარუსში, გავიზარდე უკრაინაში, უმაღლესი განათლება მივიღე რუსეთში იმ დროს, როდესაც მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე არსებობდა ძლევამოსილი სახელმწიფო, რომელიც მრავალ ერს აერთიანებდა. მას შემდეგ პოლიტიკასა და ეკონომიკაში ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ ჩემთვის მარად ძვირფასად და მახლობლად რჩება შოთა რუსთაველის ბრძნული პოეზია, მზიური ქალაქი თბილისი და ქართული სიმღერის მრავალხმიანობა. ვიმედოვნებ, რომ რუსეთში დაწერილი “მსოფლიო ეკონომიკის” სახელმძღვანელო, საქართველოში თავის მკითხველს იპოვის. გამოვხატავ ჩემს ღრმა პატივისცემას და მადლიერებას პროფესორ შოთა ვეშაპიძისადმი, სახელმძღვანელოს რუსულიდან ქართულ ენაზე გადასათარგმნად გაწეული ფასდაუდებელი შრომისათვის.

პატივისცემით,
ირინა გუროვა”

ბოლოს კი აღვნიშნავთ იმათ შესახებაც, ვინც ითავეს და პროფესორ ირინა გუროვას წიგნი ქართულ ენაზე გამოსცეს: მთარგმნელი და მთავარი რედაქტორი: შოთა ვეშაპიძე – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; სამეცნიერო-სარედაქციო საბჭო: აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე (თავმჯდომარე); მეცნიერებათა დოქტორები: თეიმურაზ შენგელია, პაატა კოღუაშვილი, ეკონომიკის დოქტორები: თამარ ათანელიშვილი, ამბროსი გრიშიკაშვილი, ციური დურული, თამაზ ზუბიაშვილი, გიორგი ნანუაშვილი, ნინო ორჯონიკიძე, დალი სეხნიაშვილი (თავმჯდომარის მოადგილე), ალექსანდრე სიჭინავა, რუსუდან ქუთათელაძე, ჯემალ ხარიტონაშვილი.

დარწმუნებული ვართ, რომ წიგნი მოწონებას დაიმსახურებს და სარგებლობას მოუტანს ქართველ სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს, სწრაფად გლობალიზებადი თანამედროვე მსოფლიოს თეორიული ეკონომიკური პრობლემების გაცნობებისა და მისი გადაჭრის გზაზე.

ლოიდ ქარჩავა
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, პროფესორი
ნუგზარ ბაბუაძე
აკადემიური დოქტორი, პროფესორი

# უცხოეთის ეკონომიკური სიახლეები

## მიწის ყიდვა ყველგან ძნელია

ავსტრიაში უცხოელთა მიერ მიწის შეძენა რეგულირდება ცალკეული მიწების კანონით. აგალიტად, ერთ-ერთი მხარის (ბურგელრანდის) კანონით, „უცხოელის მიერ უძრავი ქონების შეძენის შესახებ", უძრავი ქონების შეძენისთვის უცხოელი საჭიროებს ნებართვას, რომლის მიღებაც შეიძლება, თუ ვთქვათ, უცხოელი ავრტრიის ტერიტორიაზე სულ ცოტა, 10 წლიწადს ლეგალურად, კანონიერად იმყოფება და მისი შენაძენით არ ილახება მნიშვნელოვანი ეკონომიკური, სოციალური, კულტურული ან სხვა საჯარო ინტერესი.

დანიაში არარეზიდენტები უძრავ ქონებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძენენ, თუ არიან ევროკავშირის წევრი სხვა სახელმწიფოს მოქალაქეები ან იურიდიული პირები და მუშაობენ ან საქმიანობენ დანიაში. ხოლო თუ მათი სახელმწიფო ევროკავშირის წევრი არ არის, მაშინ ბოლო 5 წელიწადი დანიაში მუდმივ რეზიდენტად უნდა იყვნენ დარეგისტრირებული. ანიის კანონმდებლობა განსაკუთრებით მკაცრია საზაფხულო სახლების შეძენის საკითხში. ზღვის სანაპიროზე მოქმედი შეზღუდვები ანტიგერმანულ წესებად არის ცნობილი – ისინი გერმანელების მიერ სანაპირო ზოლში საკუთრების შეძენას ზღუდავენ.

შვეიცარიაში უცხოელების მიერ მიწის შეძენა დაშვებულია, ოღონდ ნებართვა უნდა აიღონ. კანონის მიზანია, შვეიცარიული მიწის გაუცხოება აიცილოს თავიდა. შეზღუდვები მოქმედებს უცხოეთში მცხოვრებთათვის და არა იმ უცხოელებისათვის, რომლებიც შვეიცარიაში კანონიერად ცხოვრობენ.

ლატვიაში ევროკავშირის არაწევრი სახელმწიფოს მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს არ შეუძლიათ მიწისა და ტყის შეძენა.

თურქეთის კანონმდებლობით, უცხოელზე გაყიდული თურქეთის მიწა მთლიანობაში არ უნდა აღემატებოდეს 2,5 ჰექტარს. მომატება, გამონაკლის შემთხვევებში, მაქსიმუმ 30 ჰექტრამდე არის შესაძლებელი.

უკრაინაში 32 მილიონი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწაა. ნაწილის რადიაციით დასხივების მიუხედავად, უკრაინული მიწები ძალიან ნაყოფიერად ითვლება და ბუნებრივია უცხოელთა დაინტერესებაც. უცხო ქვეყნის ფიზიკური პირები აქ სასოფლო-სამეურნეო მიწას ვერ შეიძენენ, თუმცა, ეს შესაძლებელია იურიდიული პირის დარეგისტრირების გზით. ასევე შესაძლებელია 50-წლიანი იჯარის გაფორმებაც. უცხოეთის ფირმებს 17 მილიონი ჰექტარი აქვთ იჯარით.

ბულგარეთი ჩვენი მსგავსია ბუნებრივი და ინფრასტრუქტურული პირობებით. აქ უცხოელ მოქალაქეებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენა იმ შემთხვევაში შეუძლიათ, თუ ბულგარეთში შპს-ს დაარეგისტრირებენ.

ევროკავშირში, აშშ-სა და სხვა მოწინავე ქვეყნებში მიწის საკუთრება რეგულირდება სხვადასხვა ნორმატიული აქტით. ევროკავშირის ზოგ ქვეყენაში სახელმწიფო დონეზე (ირლანდია, ჩეხეთი) იკრძალება ან იზღუდება სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის გადაცემა. აშშ-ში სასოფლო-სამეურნეო მიწის მხოლოდ 1%-ზე ნაკლები ეკუთვნის უცხო ქვეყნის მოქალაქეებს – ძირითადად ევროპელებს და კანადელებს.

საქართველოში უცხოელს არ შეუძლია, გახდეს მიწის მესაკუთრე, თუმცა კანონმდებლობა მას უფლებას ანიჭებს, მიწა იჯარით აიღოს.

აზერბაიჯანში – ვინც ამ ქვეყნის მოქალაქე არ არის მიწას ვერ იყიდის, თუმცა მისი იჯარით აღების სრული უფლება აქვს.

## ევროკავშირი უკრაინაში მიმდინარე მოვლენების გამო სანქციების მეორე ფაზის ქმედებებს აფართოებს

ევროკავშირის საბჭომ გამოაქვეყნა წერილობითი გადაწყვეტილება, რომლითაც უკრაინაში მიმდინარე მოვლენების გამო სანქციების მეორე ფაზის ქმედებებს აფართოებს. ამის შესახებ „უნიანი" იუწყება. „ეს ხსნის გზას იმ პირთა აქტივების გასაყინად, რომლებმაც მატერიალურად ან ფინანსურად დაუჭირეს მხარი ქმედებებს, რომლებიც მიმართულია უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის წინააღმდეგ. ევროკავშირის ლიდერთა მანდატის შესაბამისად, საბჭომ უნდა დაამტკიცოს ასეთი პირების სია, მათ შორის რუსეთის ფედერაციიდან, ივლისის ბოლომდე", - ნათქვამია ევროკავშირის საბჭოს წერილობით გადაწყვეტილებაში.

„მაიკროსოფტის" 18 ათასი თანამშრომელი უმუშევარი დარჩა

„მაიკროსოფტის" გენერალური დირექტორის, სატია ნადელის განცხადებით, კომპანიაში 18 000 სამუშაო ადგილი შემცირდება. ამის შესახებ ინფორმაცია businessinsider.com ავრცელებს. Businessinsider-ის ინფორმაციით, შემცირებები მარკენტინგის და საინჟინრო განყოფილებებს, ასევე ახლადშეძენილ „ნოკიასაც" შეეხება. როგორც სატია ნადალი აცხადებს შემცირებები გარდაუვალი იყო და ეს საკითხი აღარ გადაიხედება. „მაიკროსოფტში" კადრების მასშტაბური შემცირება ბოლოს 2009 წელს მოხდა, თუმცა მაშინ მხოლოდ 5 800 ადამიანი დაითხოვეს სამსახურიდან.

დღეის მდგომარეობით კომპანიაში 127 104 ადამიანია დასაქმებული. ასე, რომ, ეს შემცირებები გავლენას დასაქმებულთა 15%-ზე იქონიებს. 18 ათასი ადამიანის უმუშევრად დატოვების გამო, კომპანიას ჯარიმა 1,1 მილიარდი დოლარიდან – 1,6 მილიარდ დოლარამდე დაეკისრება.

„კალაშნიკოვი", „გაზპრომი", „როსნეფტი", „ვნეშეკონომბანკი" აშშ-ის მიერ დაწესებული სანქციების სიაში მოხვდნენ

აშშ-ის სახაზინო დეპარტმაენტის საგარეო აქტივების კონტროლის ოფისმა (OFAC) რუსეთის წინააღმდეგ სექტორული სანქციები დააწესა. ამის შესახებ ინფორმაციას აშშ-ის სახაზინო დეპარტამენტის ვებ-გვერდი ავრცლებს. ახალი სანქციების სიაში მოხვდნენ რუსი ჩინოვნიკები, კომპანიები, ასევე დონეცკისა და ლუგანსკის ე.წ სახალხო რესპუბლიკების წარმომადგენლები. შანქციები შეეხოთ რუსულ კომპანიებს - „როსნეფტს", ცონცერნ „კალაშნიკოვს", „გაზპრომს", „ვნეშეკონომბანკს" და სხვა რამდენიმე კომპანიას. აშშ-ს მიერ დაწესებული სანქციების სიაში მოხვდნენ რუსეთის სახელმწიფო დუმის ვიცე-სპიკერი სერგეი ნევეროვი, ყირიმის საქმეთა მინისტრყ ოლეგ საველევი, დონეცკის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ალექსანდრე ბოროდაი და სხვა რუსი მაღალჩინოსნები. ამასთან, აშშ-ის სახაზინო დეპარტამენტის მიერ დაწესებულ სანქციებს მხარი დაუჭირა ქვეყნის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამაც. ღოგორც აშშ-ის პრეზიდენტმა აღნიშნა, რუსეთი არაფერს აკეთებს აღმოსავლეთ უკრაინაში მიმდინარე კონფლიქტის დეესკალაციისათვის. „ჩვენ ხაზს ვუსვამთ ჩვენს სურვილს, გადავჭრათ ეს საკითხი დიპლომატიური მეთოდებით, თუმცა ამისათვის კონკრეტული ნაბიჯები უნდა ვიხილოთ და არა – მხოლოდ სიტყვები მოვისმინოთ" - აღნიშნა ბარაკ ობამამ.

„უცხოეთის ეკონომიკური სიახლეები" სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით მოამზადა ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრატურის I კურსის სტუდენტმა თამთა ფეტელავამ

# ახალი ეკონომისტი

## საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი
## სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

სტატიების მიიღება შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

1. **ტექსტი** აკრეფილი უნდა იყოს Word-ში, AcadNucx-ში, შრიფტის ზომა 12, ინტერვალი სტრიქონებს შორის - 1,5, ველების დაშორება მარჯვენა-მარცხენა მხარეს 2 და 3 სმ. შესაბამისად, ზედა და ქვედა – 2,5 და 2,5სმ. ტექსტი უნდა აიკრიფოს გადატანების გარეშე. ცხრილები გადაყვანილი JPEG -ში. სტატიის მინიმალური მოცულობა უნდა იყოს 5 გვერდი A4 ფორმატის.

2. **ავტორის** სახელი, გვარი, სამეცნიერო წოდება და თანამდებობა, საკონტაქტო **კორდინატები,** (ტელეფონები, ელ.ფოსტა), სურათის ელექტრონული ვერსია JPEG-ში;

3. სტატიას უნდა ახლდეს **რეზიუმე** ქართულ და ინგლისურ ენებზე, მოცულობით 120-150 სიტყვა, აკრეფილი შესაბამისად AcadNusx-ში და Times New Roman ში, შრიფტის ზომა 12. სამეცნიერო სტატიას უნდა დაერთოს გამოყენებული ლიტერატურის სია.

4. სტატია შეიძლება გამოქვეყნდეს **ინგლისურ, რუსულ, გერმანულ და ფრანგულ** ენებზეც. ასეთ შემთხვევაში, ჩვენი მოთხოვნაა, რეზიუმე მოგვაწოდოთ ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტატიის გამოქვეყნების ღირებულება შეადგენს – ჟურნალის ერთი გვერდი **8 ლარი,** რომელსაც ავტორი გადაიხდის დადებითი რეცენზიის მიღების შემდეგ, ხოლო ჟურნალის ღირებულება – 5 ლარი.

5. სტატიის გამოქვეყნების, ჟურნალის შეძენისა და გამოწერის ღირებულების გადახდა შესაძლებელია შპს "ლოი"-ს ანგარიშზე: საიდენტიფიკაციო კოდი 204439296, ანგარიშის ნომერი GE61HG0000000000713602, სს „ხალიკ ბანკი საქართველო", ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდია HABGGE22.

ელექტრონული ფოსტა: economist_n@yahoo.com
ტელ: 299-05-76; 555 277 554; 595 32 30 34.

**PS**. სტატიების მოწოდება ფურცლებით ან CD-თ აუცილებელი არ არის.

## International Precise and Review Scientific-Practical Magazine

Continues taking articles according to this requests:

1. Text must be gathered in Word, size of AcadNusx font 12, interval between lines- 1.5, borders in right and left side- 3 and 2sm. Also, up and down borders- 2.5 and 2.5sm. Text must be picked up without transferring. Tables should be in JPEC. The minimal size of article is 5pages of A4 format.

2. The first name of author, last name, scientific rank and post, coordinates (telephone number, e-mail), electronic version of photo in JPEC.

3. The article must have reziume in Georgian and English languages. The size should be 120-150 words, it must be picked up in AcadNusx and in Times New Roman, size of font-12. Scientific article must have list of used literature.

4. The article may be published in **English, Russian, German and France** languages. So, it is also our request to prepare reziume in Georgian and Egnlish languages too.

The price of article's publication is- one page of journal 8GE L(lari). And auhor will pay this price after getting positive respond. Also, the price of journal is 5GEL(lari).

5. The price of publication article, buying journal and subscription fee could be payed in Ltd. "loi's" account: identification code – 204439296, the account number- GE61HG0000000000713602, "Halyk Bank Georgia", central office, bank code HABGGE22.

Our coordinates:

e-mail: economist_n@yahoo.com
Tel: 299 05 76; 555 277 554; 595 32 30 34.

**PS.** Giving articles with papres or CD-s, is not necessary.

# Smarty

შპს „Smarty" გთავაზობთ სრულ სარეკლამო/პოლიგრაფიულ სერვისს უახლესი დანადგარებითა და ხელსაყრელი ფასებით!!!

**ციფრული ბეჭდვა** | **ფართოფორმატიანი ბეჭდვა** | **სტამბური ბეჭდვა**









- სავიზიტო
- ფლაერი
- ბუკლეტი
- ტრი პლეტი
- ბროშურა
- ჟურნალი
- წიგნი
- ბლანკი
- კოპირებადი
- თვითწებადი
- პოსტერი
- პლაკატი
- ბლოკნოტი
- ეტიკეტი
- კალენდარი: ჯიბის/სამაგიდო/კედლის
- მუყაოს სასაჩუქრე ჩანთა
- კატალოგი
- კოლოფი
- კონვერტი
- მოსაწვევი

**ადგილზე მიტანის სერვისი უფასოდ!!!**

მის.: ქ. თბილისი, აგლაძის ქ.83

598 30 33 20; 551 30 33 20

info@smarty.ge

ntsiramua@gmail.com

www.smarty.ge